

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



№1 იანვარი-მარტი 2015



№1 January-March 2015

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge



Business & Law

ბიზნესი და კანონმდებლობა

№1 იანვარი-
მარტი 2015

საქართველო,

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი
რეგულირებადიან 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უამრავი სტატიების უინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისაღწივად:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 3.
ტელ: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს აუდიტორთა, ხელაღმართა
და უინანსური მენეჯერთა უნივერსიტეტი,
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყვიაძე

მთავარი რედაქტორი:

იური პავასიძე, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილიანა ალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

საგამომცემლო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

იანა მესხია, ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი,
პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია,
დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე,
ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღვინია, ლია ელიავა, და-
ვით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტყარაძე, დემნა კვარაცხელია,
ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ანდრეას სილაგაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ ბახუაძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბურბუ ნაჭყვიაძე.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავაძე.

როზარტ მ. მამუკა (აშშ ფაეტევილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის
პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი მ. დენსი (ნორტვესტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის
პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიბლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერხიანი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი,
ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბულვარული
აღმოსავლეთის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსანდრე რუზი (რუსეთის ფედერაციის ბულვარული ექსპერტთა და
ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ
საკონსულტაციო ჯგუფის „რუსეთი/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური
დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია ბრიგორი (ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,
მოლდოვეთის ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის
ბულვარული აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფადრიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის
საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარპერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

BUSINESS & LAW

№1 JANUARY-
MARCH 2015

SCIENTIFIC,
ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL
Referenced since 2008

WWW.B-K.GE

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:

Tbilisi, Kostava str. 6.

Tel: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27

URL: www.b-k.ge

e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

Bank details:

JSC Bank of Georgia

Bank code: BAGAGE22

c/a GE30BG000000850902700 i/c 404956455

PUBLISHERS:

**THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS
AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY
„IVERIONI“**

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:

ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF

IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE

ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:

LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:

Iasha Meskhia, Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavgadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze.

Member-correspondent of the Georgian Academy of Sciences

AVTANDIL SILAGADZE

Doctor of Law and Politics Sciences

JEMAL GAKHOKIDZE

Doctor of Legal Sciences, Professor

GURAM NACHKEBIA

Doctor of Pedagogical Sciences

MAMUKA TAVKHELIDZE

Fayetteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)

Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,

The Graduate School, Northcentral University,
(Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES

Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)

Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)

Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member,
Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant
Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department,
Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser,
Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

საქართველოს მიწა განსაცდელშია! (მიმართვა საქართველოს საზოგადოებას) -----	5
<i>იური პაპასკუა</i>	
აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება საქართველოში - გაუნაწილებელი გავლენის სფერო თუ შეგნებული არაკომპეტენტურობა -----	8
<i>ლავრენტი ჭუმბურიძე</i>	
ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაცია საქართველოში და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნები -----	19
<i>ვინსენტ რ. ჯონსტონი</i>	
„მანბა კარტა“ - 1215, სახელისუფლებო ეთიკა და ქალთა უფლებები -----	24
<i>ბორის ჭიჭინაძე</i>	
ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პრობლემები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში -----	27
<i>ხათუნა ბარბაქაძე</i>	
კორპორატიული მართვისა და საკუთრების მაჩვენებლები -----	33
<i>ნატო კაკაშვილი</i>	
სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები -----	39
<i>გიორგი ხარშილაძე</i>	
საერთაშორისო რეიტინგებში ასახული საქართველო -----	43
<i>თენგიზ ვერულავა, ნელი კილასონია</i>	
ფინანსური რისკების დაზღვევის ტენდენციები საქართველოში -----	49

CONTENT

<i>Yuri Papasqua</i>	
REGULATION OF ACCOUNTING AND AUDIT IN GEORGIA - UNSHARED SPHERE OF INFLUENCE OR DELIBERATE INCOMPETENCE -----	8
<i>Lavrenti Chumburidze</i>	
FINANCIAL REPORTING AND ACCOUNTING REGULATION IN GEORGIA AND THE REQUIREMENTS OF EU ASSOCIATION AGREEMENT -----	19
<i>Vincent R. Johnson</i>	
THE MAGNA CARTA OF 1215, GOVERNMENT ETHICS, AND WOMEN’S RIGHTS -----	24
<i>Boris Chichinadze</i>	
MUNICIPAL PROBLEM IN FORMER USSR REPUBLICS -----	27
<i>Khatuna barbaqadze</i>	
ABOUT CORPORATE MANAGEMENT AND PROPERTY INDICES -----	33
<i>Nato Kakashvili</i>	
INDICATORS OF FINANCIAL STABILITY FOR THE INSURANCE COMPANIES -----	39
<i>Giorgi Kharshiladze</i>	
GEORGIA IN INTERNATIONAL RATINGS AND INDEXES -----	43
<i>Tengiz Verulava, Neli Kilasonia</i>	
FINANCIAL RISK INSURANCE TRENDS IN GEORGIA -----	49

საქართველოს მინა განსაცდელშია!

მიმართვა საქართველოს საზოგადოებას

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

მინა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფელია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობის სახით ქართველი ერი ვერ იარსებებს. ამას ობიექტური მიზეზები გააჩნია:

I. ქართველმა ერმა იცის, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მისი სამოსახლო მიწა-წყალი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესოა, მის მეზობლობაში კი - ყველაზე საუკეთესო. ეს ქართველს ანიჭებს იმის განცდას (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მის მიერ გაღებული მსხვერპლი ამ მიწის შესანარჩუნებლად უაზრო არ არის: იგი თავის შთამომავლობას დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ ასეთი მთავარი ფრაზები როგორცაა „მშვენიერი საქართველო“, „ტურფა საქართველო“, „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურ-მუხტო ჩემო სამშობლო მხარეო“, „ქართულზე უკეთეს ხილს ვერსად შეჭამ“, „აქაურზე უკეთეს წყალს ვერსად დაღევ“, „ჩვენზე უკეთესი საღვინე ყურძენი არსად მოდის“ და ა.შ. მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. ქართველმა კაცმა ისტორიულად იცის, რომ საქართველოს მიწის დაკარგვით იგი და მისი შთამომავლობა მომავალს კარგავენ.

II. ქართველმა კაცმა იცის, რომ საქართველოს სამხედრო, კულტურული, მორალური თვალსაზრისით, ზოგადად – მოსახლეობის ხარისხის თვალსაზრისით, აგრეთვე საკუთარი ცხოვრების მოწყობის ნიჭის თვალსაზრისითაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს. ამასი მას ეგულება ერთ-ერთი უპირატესობა, რომელსაც იგი თავის შთამომავლობას უტოვებს. ქართველმა იცის (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მისი ერის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ქვეყნის ბუნებრივი მახასიათებლებით (მაგალითად, ყველას ესმის, რომ ადამიანი, რომელსაც თვეში ერთხელ მაინც მთაზე შედგომა და ქვეყნის გადახედვა უწევს, უფრო მეტად არის აღჭურვილი წარმოსახვითა და

აქტიური აზროვნების უნარით, ვიდრე ის, ვინც ტრამალში ცხოვრობს).

აზროვნების აქტიურობა, რაც ადამიანს ბავშობიდან უნვითარდება, როგორც ცნობილია, დიდი ფაქტორია მისი შემოქმედებითი აქტიურობისთვის, შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში.

III. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდგმასაც უნარი აქვთ სრულფასოვნად იშრომონ და იბრძოლონ ყველანაირ ექსტრემალურ პირობებში, სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ხმელეთზეც, ამდენად, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობათა აღზრდის ოპტიმალური ბაზა - საქართველოს ბუნება ადამიანს არც ანაზებს, არც გაუსაძლისი პირობებით ჩაგრავს. იგი მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის!

საქართველოს კანონმდებელს არა აქვს უფლება ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებული) ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს თუნდაც ერთი გოჯი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰარმონიზებული ერთიანი სისტემა ვერ იფუნქციებს მისი ნაწილ-ნაწილ ხელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერისთვის არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან, არც მისდამი საზოგადოებრივი ინტერესებისა და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამონურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა (დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით). სასოფლო-სამეურ-

ნეო მინის უცხოელებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ისტორიას ბარდება!

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოს ნებისმიერი მდიდარი კომპანია რამდენსამე წუთში შეისყიდის გაჭირვებული მცირე ქვეყნის სავარგულებს მთლიანად.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწის გასხვისებაზე სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემაფერხებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვებიც.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და

- უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრედიტული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

- იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. ამ ქვეყნების დემოგრაფიული და საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში ჩვენთვის ტრაგიკულად შეცვლის პროგნოზს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

დღეს საქართველოს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება. მის ძირითად სიმდიდრეს – მის მიწას – უპასუხიმგებლო ადამიანები უცხოელებზე გაყიდვას უპირებენ. საქართველოს კანონმდებლნი იმის უშუალო ცდუნების წინაშე დგანან, რომ საარაკო ღალატი ჩაიდინონ და ახალი კანონპროექტის თანახმად, ჩვენი მიწის განიავების იურიდიული პირობები შექმნან.

ძალიან მოკლედ მოგახსენებთ საქმის ვითარებას.

საქართველოს უპასუხიმგებლო და უმეტარმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს

გააუქმა უამისოდაც უალრესად არასრულყოფილი, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებელმყოფელი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის სასიცოცხლო და საარსებო ბაზა ან და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების უცხოელ მსურველებთან შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარალელურად, სხვა არა არის რა, თუ არა საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ.

კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში ქართული საზოგადოების „ზურგს უკან შევიდა“. მისი საჯარო განხილვა არ მომხდარა. საზოგადოებამ კანონპროექტზე მსჯელობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი ტექსტი საქართველოს პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე დაიდო.

კანონპროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა, როგორც აკადემიურ წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში. მასზე არც ერთი დადებითი გამოხმაურება არ ყოფილა საჯარო სივრცეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტში (არც მის „ალტერნატიულ ვარიანტში“, რომელიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტშია შემუშავებული) არ ჩანს მთავრობის ხედვა და სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის მიმართ. ასევე, არ ჩანს, ანალიზზე დაფუძნებულ რა გამოწვევებს პასუხობს იგი. კანონპროექტი უნდა ემსახურობდეს ხედვის, სტრატეგიის და დასახული მიზნების განხორციელებას და არა შიშველი პრინციპების ჩამონათვალს. თუ პარლამენტი ეცდება ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რომელიც სამუშაო ვარიანტშია და რომელიც იურიდიული პირების ინტერესების ლობირებითაა გაჟღერებული, ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა. ეს არ გამოვა. საქართველოს პარლამენტის წევრებმა მხარი არ უნდა დაუჭერენ ქართული მიწის განიავების დამდგენ კანონს მიღებას.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს შემდეგი:

- საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტე-

რიტორია (მინა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისთვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ექვბოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის.

- საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისგან, არამედ სასურსათო-განაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან) – კონკრეტულად, მას მუდმივად და უცვლელად უნდა ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას (ბუნებრივია, მზარდ თაობათა მანძილზე) ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. ამისი ერთადერთი რეალური გზაა – თავის მიერ კონტროლირებადი პოტენციალის საზღვრებში შეინარჩუნოს ის სანარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი სანარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მინა.

- თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მინის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, მაშინ უყოყმანოდ იწირება თეორიის მოთხოვნა. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ.

- ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მინას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მინას 54,3% ეკავა;

- ამჟამად პლანეტაზე მინის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა;

- მინა არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების წყაროა, არამედ ქართული მოდემისა და ერის განმტკიცების ფაქტორიც;

- ქვეყნის სიძლიერე გლეხკაცის მინასთან მარადიულ კავშირშია;

- გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია;

- მინისგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს, სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმახლებლის ფუნქციის მოშლას.

- ისტორიულად, სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს

იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა – და იცავს. ეს ბუნებისა და საზოგადოების ურყევი კანონია. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.

- მინა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მინის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მინის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მინა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მინის მიყიდვისა არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება.

დღეს ქართველმა ერმა მთლიანად იცის, რომ მოცემულ პირობებში ჩვენი მინის უცხოელებზე განუკითხავი გასხვისება ჩვენი ქვეყნისთვის მავნეა. საქართველოს პარლამენტმა ხელი უნდა აიღოს შემოსული არასასურველი, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებელ-მყოფელი კანონპროექტის განხილვაზე და ორიენტაცია მოახდინოს მინათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონის (მინის კოდექსი) შემუშავებაზე უახლოესი თვეების მანძილზე.

ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად ჰმართებს, რათა ხელი არ ახლონ ჩვენს მარადიულ სამკვიდრებელს.

საზოგადოების

„საქართველოს მინის გუშაგი“ სახელით:

ბოხუა მერაბ, გიორგაძე მამუკა, გოგონია რევაზ, დიხამინჯია თენგიზ, ვაჩნაძე მერაბ, კაციტაძე ჯემალ, კოლუაშვილი პაატა, მარგველაშვილი გულნარა, მაქაცარია გურამ, მაგლობლიშვილი ზაზა, მესხიშვილი ანზორ, მიქელაძე ზურაბ, მურდულია გრიგოლ, ნათაძე ნოდარ, ნაჭყებია ზაურ, პაპასქუა იურ, ჟორდანიას ოთარ, რამიშვილი ბადრი, ფალავა ყარამან, ფრუიძე ლევან, ცნობილაძე პაატა, შათირიშვილი მერაბ, ჩაჩუა ლევან, ჩხეიძე შოთა, ჩხლაძე ნიკო, ჯინჯოლავა ზაურ, ჯოლოხავა დოდო, ჯიბუტი მიხეილ.

აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება საქართველოში

გაუნაწილებელი გავლენის სფერო თუ შეგნებულნი არაქმნიანტენდურობა



იური პაპასიძეა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი,
პროფესორი

2013 წლის დასაწყისიდან მწვავედ დგას საკითხი თუ როგორ უნდა აწარმოოს სამეწარმეო სუბიექტმა ბუღალტრული აღრიცხვა ან ვინ არის უფლებამოსილი ჩაატაროს აუდიტი?!... რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეის მდგომარეობითაც ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. უფრო მეტიც, ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტური საქმიანობის სხვა ბევრ მნიშვნელოვან საკითხთანაც სრული უკუხედიანობა და როგორც ჩანს, პასუხისგამცემიც არავინაა.

მას აქვთ, რაც ნაციონალური მოძრაობის ზეობის პერიოდში, წინა მოწვევის საქართველოს პარლამენტმა ბოლო სასესიო სხდომაზე, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონი დაჩქარებული წესით მიიღო, არსებულთან შედარებით, ფაქტობრივი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის, არსობრივად განსხვავებული ამ ორი სფეროს, ერთი რეგულაციის ქვეშ მოქცევა და თვითრეგულირებაზე გადაყვანამ, უარყოფითი უკუჩვენებები და სახიფათო გვერდითი მოვლენები წარმოშვა. განვითარების, ან ამ პროცესისადმი თუნდაც ხელშეწყობის ნაცვლად, ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტურ საქმიანობაში სრული გაურკვევლობა და განუკითხაობა დამკვიდრდა. ყველაზე ამარზენი კი ისაა, რომ დამდგარ შედეგზე ჭირისუფლობას არავინ ლამობს და არც ნუგეშის თქმის სურვილს გამოხატავს ვინმე.

საქმიან წრეებში კარგად იცინან და ზედმეტად მეჩვენება ბუღალტრული თუ აუდიტური საქმიანობის არსზე, როლზე, მით უმეტეს, მათ მნიშვნელობაზე შევიჩერდე.

ბევრჯერ ითქვა (ავტორიტეტულ გამოცემებში გამოქვეყნდა, პრემიერს მოხსენდა, პარლამენტის ხელმძღვანელობას ეცნობა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმაც გულდასმით წაიკითხა და ფინანსთა მინისტრსაც გაეგზავნა წერილობით) აგრეთვე, რომ

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი წინააღმდეგობაშია ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივებთან. თავისი მრწამსით, ეს კანონი მონოპოლიურია, კორუფციული კარუსელის შემადგენელია და დისკრიმინაციის ელემენტებსაც შეიცავს (რადგან მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტის - ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) ოპერირებისთვის შეიქმნა არაკონკურენტული, განსაკუთრებული მდგომარეობა და ხანგრძლივადიანი კომერციულად ხელსაყრელი გარემო); არანაკლებ კომპეტენტური საქართველოში მოქმედი ადგილობრივი აუდიტორული კომპანიებისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნის ხარჯზე, აღზევდა ცნობილი დიდი ოთხეული და საერთაშორისო ქსელში შემავალი კომპანიების მხოლოდ ვინრო წრე). პრაქტიკულად წაერთვათ ფუნქციონირების შესაძლებლობა აუდიტორთა უმრავლესობას, რაც მთლიანობაში, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ამ კანონს არაფერი აქვს საერთო პროფესიის, მით უმეტეს, ეკონომიკის განვითარების მიზნებთან.

ფაქტობრივად ყველამ გაიზიარა პრობლემის არსი და გარკვეული ნაბიჯებიც კი გადაიდგა წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომის აღმოსაფხვრელად. ახალი მოწვევის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ინიცირებით შეიქმნა და პარლამენტის ვებგვერდზეც გამოქვეყნდა საბაზო კანონპროექტი, რომელშიც

სრულად იყო გათვალისწინებული პროფესიული ორგანიზაციების პრინციპული შენიშვნები. პრობლემის არსის გაზიარებაზე და მისი გამოსწორების მზაობაზე აშკარად მიანიშნებს ის გარემოება, რომ განმარტებით ბარათში, რომელიც კანონპროექტს ერთვოდა, ეწერა: „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზეზს წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულირების გაუმჯობესება და ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც არ აძლევს აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებს, კომპანიებს და კერძო პირებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს კანონის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, ევროდირექტირების რეკომენდაციების გათვალისწინება.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიასთან იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საზედამხედველო სააგენტო“, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ სფეროში არსებული პროფესიული ორგანიზაციების ზედამხედველობას, რეესტრის წარმოებას და სხვა.

კანონპროექტით დეტალურად არის განსაზღვრული სააგენტოს შექმნის წესი, სრუტყურა და უფლებამოსილება¹ და ა.შ. მაგრამ მოგვიანებით ეს კანონპროექტი უკან გაიწვიეს და მისი მიღება არ მოხდა. მერეც რამდენჯერმე იყო ცდა გაეტანათ კანონპროექტის სათადარიგო ვარიანტი, თუმცა ამაოდ.

მაშ, რა მოხდა? რატომ არ შევიდა კანონში ცვლილება? ვის ინტერესებშია ეს?

აგერ უკვე მესამე წელია კანონი მოქმედებაში თუ უმოქმედებაშია, უფრო მეტი დრო კი მის დაგებასა და მუხლებს შორის ჩაკირული უკუღმართობის მხილებას მოხმარდა, მაგრამ მონადინებული აქტივისტების მრავალმხრივი ცდის მიუხედავად, მისი რეამინაცია ვერ ხერხდება.

მოსალოდნელი სავალალო შედეგები ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე იყო ცნობილი. უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების მიზნით, ცხარე დისკუსია მიმდინარეობდა, ერთის მხრივ, საღ აზრსა და მეორე მხრივ, ლობისტურ დაჯგუფებას შორის. ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, დარგის სპეციალისტთა უმეტესობის არგუმენტებს, დაინტერესებული პროფესიული ორგანიზაციების და ხელისუფლების წარმომადგენლები კულუარულ თუ საჯარო გამოსვლებში პატივით უარად პასუხობდნენ, რომ „გულწინფლად ანუხებთ ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტორულ საქმიანობაში შექმნილი ვითარება, ასე გაგრძელება დაუშვებელია, მათი ძალისხმევა მიმართულია პრობ-

ლემის გადაწყვეტისკენ“. მათ შორის მიღწეულიც კი იყო შეთანხმება პრინციპულად განსხვავებულ პოზიციებზეც, თუმცა შედეგი დღემდე არ ჩანს - დიდი ხანია უაზროდ ინელევა კანონში ცვლილებების შეტანა.

სრულმასშტაბიანი ცვლილება ხან ევროდირექტივების არსის გარკვევას, ხან კი სტრუქტურულ რეორგანიზაციას და უსახსრობას დაუკავშირდა. უფრო გამოცდილმა და „წინდახედულმა“ ევროდირექტივით რეკომენდირებული საზედამხედველო ორგანოს შექმნა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მიღებას მიაბა (ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში არ არსებობს და ახლო მომავალშიც ვერ იქნება, გარდა ამისა, კომერციული ბანკების ლობისტები თავგამოდებით შეეცდებიან მისთვის ხელშეშლას). მოკლედ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელოვნურად შეიქმნა ალიბი თითის სხვისკენ გასაშვრად. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და მართლაც, საგანგაშო მდგომარეობის გამო, კანონში ცალკეული მუხლის ამოქმედება რალაც აბსურდული მიზეზებით რამდენჯერმე გადავადდა და „პრობლემის მშვიდ გარემოში“ გადაწყვეტა ყოველ ჯერზე გარკვეული ვადით კონსერვდება. მოვლენების განვითარება კი მოწმობს, რომ გაფაციცებით მიმდინარეობს ვარიანტების შემუშავება, თუ როგორ უნდა შენარჩუნდეს გავლენის სფერო და ინტერესის ობიექტი. ყველაფერი ეს შორს გამიზნული ჩანაფიქრის რეალიზაციის ნაწილია. აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულმა ყველა პირმა ფაქტობრივად იცის საიდან იღებს „უბედურება“ სათავეს, ვის და რისთვის დასჭირდა დარგის თვითრეგულირებაზე გადაყვანა, ვინ დაიწყო და ვინ რა ფასად ჩაითრიეს „საქმეში“. ცნობილია ყველას როლი და დამსახურება. ძნელი მისახვედრი სულაც არაა, რომ გარკვეულ პირთა წრეს დღესაც აწყობს ასეთი ქაოსი. საგულდაგულო შეფუთვის მიუხედავად, კარგად ჩანს ვინ საღ ზის და რომელ ნიღაბს ატარებს.

სამწუხაროა, რომ სახელისუფლებო სტრუქტურებშიც აღმოჩნდნენ „ძალადობრივი წარსულის“ და დრომოჭმული აზროვნების მიმდევარნი. დარწმუნებული ვარ, რომ არა მათი გავლენა, აგრეთვე საქართველოს მთავრობის და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის არაადექვატური დამოკიდებულება პრობლემის გადაწყვეტისადმი, ასეთ ვითარებას კანონის ამოქმედებამდეც ავცდებოდით.

იმათვის, ვისაც პრობლემის მოგვარება ევალება (ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნავს და ხალხის სანუხარი ანუარებს), არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რომ „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“ კანონი მართლაც არ ვარგა. უფრო სწორია ითქვას, რომ ეს აქტი წინააღმდეგობრივი, გაუაზრებელი, გაუმართავი, კერძო მიზნების უზრუნველსაყოფად შეკონინებული წინადადებების თუ ნორმების ასხმას წარმოადგენს და

1 იხ. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.



ამდენად, დაუყოვნებლივ შესაცვლელია. ის, რაც კარგი იყო უკვე გაფუჭდა. რაც დარჩა - ნადგურდება და ხვალ გვიანი იქნება.

ჩვენი მიზანი სულაც არაა ჭიქაში ქარიშხლის ხელოვნურად აზვირთება, მაგრამ ფაქტები თავისთავად ქმნიან შეუწყნარებელ უკიდურესობებს. მათ შორის, თქვენს განსასჯელად გამოვიტან რამდენიმე არსებითად მნიშვნელოვან გარემოებას. ამასთან, ოპონენტებიდანაც იქნება ვინმე ჩაფიქრდეს მაინც, გაერკვეს, რასთან გვაქვს საქმე.

მოდით, ვნახოთ რა მოთხოვნები მოქმედებს დღეს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისათვის?

კანონის თანახმად: „ბუღალტრული აღრიცხვა უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს“¹;

6. კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS for SMEs) და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტებისაგან.

7. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც მოიცავს:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;

1 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება. და-ინტერესებულ პირს შეუძლია თვალი მიადევნოს ორიგინალს და დარწმუნდეს: ფაბრიკაციას ან „კონტექსტიდან ამოგლეჯვას“ ადგილი არ აქვს;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

გ) ინტერპრეტაციებს, რომლებიც მიღებულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ.

8. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.²

10. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია.

11. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS for SMEs), აგრეთვე თავის მიერ დადგენილ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივ (ეროვნულ) სტანდარტებს რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა

2 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები;

და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

12. სავალდებულოა მხოლოდ შესაბამის პერიოდში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) ქართული თარგმანის გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია ამ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად. პირს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების ინგლისური ტექსტი.¹

მოკლედ, ციტირებული ნორმებიდან აშკარად ჩანს, რომ კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა უნდა წარმოებდეს საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ეს სტანდარტები უნდა იყოს თარგმნილი მხოლოდ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ ქართულ ენაზე და გამოქვეყნებული სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. აქ, საგულისხმოა, რომ ასეთი განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილია არა სხვა, არამედ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაცია და ეს სავსებით მისაღებია. მაგრამ რა ან ვინ არის ეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია?

კანონი კი ამ საკითხზე იძლევა კონკრეტულ, ცალსახა შემდეგ განმარტებას: „აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ესაა ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად და არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი ან ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი“², თუმცა, გარდა აღნიშნულისა, კანონი აკრედიტაციასთან დაკავშირებით აწესებს შემდეგ მნიშვნელოვან რეგულაციასაც:

2. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.³

7. ამ კანონის მიზნებისათვის ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც

1 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტები.

2 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ს“ პუნქტი;

3 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, აკრედიტებულად ითვლება მისი წევრობის განმავლობაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს პირველ წელს დაუდასტუროს შესაბამისად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობა ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობა.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამისად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერებიდან 1 თვის განმავლობაში აცნობოს ეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს.⁴

აქედან, როგორც არ უნდა მოინდომო სასურველი ინტერპრეტაცია, აშკარად იკითხება, რომ პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაციას ახორციელებს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო და აკრედიტებულია პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც აკრედიტაციის ცენტრშია რეგისტრირებული, მიუხედავად იმისა, კანონი „თვლის“ თუ არა მას აკრედიტებულად. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრმაც და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წევრმაც უნდა მიმართოს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნულ ცენტრს და აუცილებელია დაფიქსირდეს აკრედიტებულ პირთა რეესტრში.

საქართველოში აკრედიტებულ ორგანიზაციად მიიჩნევა „ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ (ბაფ). ყოველშემთხვევაში, ასეთად აქვს წარმოდგენილი ეს ორგანიზაცია მის ხელმძღვანელობას და ამ „უპირატესობით“ (IFAC წევრობით) ის დიდი ხანია მანიპულირებს (თარგმნის სტანდარტებს, ყიდის მათ დაინტერესებულ პირებზე, ავრცელებს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციებს, მოუწოდებს სუბიექტებს მასთან განევიანებაზე, კანონის ცალკეული მუხლის სატყუარა ინტერპრეტაციებით უქმნის ყალბ მოტივციას და აგულიანებს ობიექტებს არ გააფორმონ ხელშეკრულებები ბაფ-ის არანეკრ აუდიტორებთან და ა.შ.). თუმცა მოდი ვნახოთ, არის თუ არა ბაფ-

4 იხ. ამავე კანონის მე-11-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები;



აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ცენტრში რეგისტრირებული და მასხადადამე, სრულფასოვნად აკრედიტებული?

...ალმოჩნდა, რომ სსიპ აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ცენტრში ასეთი აკრედიტებულად რეგისტრირებული პროფესიული ორგანიზაცია არ იქნება¹.

ამდენად, ბაფ-ც არ არის აკრედიტებული ორგანიზაცია!

ბაფ და ვერც სხვა პროფესიული ორგანიზაცია ვერ იქნება აკრედიტებული იმ მარტივი მიზეზის გამოც, რომ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად არ არის შემუშავებული (ალიარებული, დამტკიცებული) აკრედიტაციის წესი. ამ უკანასკნელს ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი. კანონის თანახმად, აკრედიტაციის ცენტრს ევალება ეს წესი 2015 წლის 1 ივნისამდე წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს².

აქედან გამომდინარე, საქართველოში არ არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ თარგმნილი და ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტები (რომ არაფერი ვთქვათ ორიგინალთან მათ ავტენტურობაზე ან თარგმნის ხარისხსა და სანდოობაზე). არის მხოლოდ ბაფ-ის (არაკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის) მიერ თარგმნილი და დასტამბული სქელტანიანი გამოცემები, რაც კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ არის საკმარისი პირობა მათი ლეგიტიმურად ცნობისთვის. სხვა რომ არაფერი, ეს ხარვეზიც სრულიად საკმარისია ბულალტრული აღრიცხვის ქართულად თარგმნილი „სტანდარტები“ (მისი შემადგენელი ნაწილებით) მივიჩნიოთ არაკონდინციურ, შესასრულებლად არააუცილებელ ბეჭდურ პროდუქტად (რომლის სახმარი ღირებულება გამოცემის დანახარჯებსა და გასაყიდ ფასზე ბევრად

ნაკლებია). ეს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასანევი არგუმენტია!

... და მაინც, მოდი ვნახოთ, სტანდარტებთან მიმართებაში **დაცულია თუ არა კანონის კიდევ ერთი მთავარი მოთხოვნა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ მათ რეგისტრაციასთან დაკავშირებით?**

ამ შემთხვევაშიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბულალტრული აღრიცხვის არც ერთი სტანდარტი საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოში რეგისტრირებული არ არის.

როგორც სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის №549 წერილშია აღნიშნული, „საქართველოს კანონის „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად საქართველოს სტანდარტების რეესტრში რეგისტრირდება ის სტანდარტები, რომლებიც შემუშავებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო/რეგიონული ორგანიზაციის მიერ გამოცემული დოკუმენტების საფუძველზე ან/და რომლებიც მიღებულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის მიერ. აღნიშნული სტანდარტები ადგენენ მოთხოვნებს/პროცედურებს პროდუქციის ან/და მომსახურების მიმართ. სააგენტოს კომპეტენციაში არ შედის სხვა ტიპის დოკუმენტების, მათ შორის პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების რეგისტრაცია საქართველოს სტანდარტად“³.

ამდენად, გამოდის, რომ საქართველოში არ არის სამართლებრივად ნებადართული, გამოსაყენებლად ვარგისი, ქართულად თარგმნილი და სათანადოდ რეგისტრირებული ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტები. აქედან გამომდინარე, ის გამოსაყენებლად სავალდებულო არ არის და მენარმე სუბიექტს (ვერც დიდს, ვერც საშუალოს და მცირეს), ამ ხარვეზის (თუ დაკანონებული განუკითხაობის) აღმოფხვრამდე, ვერც მოსთხოვ ბულალტრული აღრიცხვის წარმართვას სტანდარტების შესაბამისად. მაშ, როგორ უნდა წარმართოს ბულალტრული აღრიცხვა, რომელი

3 იხ. ქ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №5 გვ. 24, მისამართზე: b-k.ge.

სტანდარტებით? რა ხდება? აქამდე ეს ფაქტი არ იყო ცნობილი?

სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით, არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ცნობილია, რომ წინამორბედი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კერძო სამართლის ყველა იურიდიული პირი (გარდა მცირე სანარმოის და არაკომერციული იურიდიული პირისა) 2001 წლიდან ვალდებული იყო ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ეწარმოებინა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად, ხოლო ინდივიდუალურ მენარმეებს, მცირე სანარმოებსა და არაკომერციულ იურიდიულ პირებს უფლება ქონდათ (არ იყო სავალდებულო) გამოეყენებინათ ეს სტანდარტები.

იყო თუ არა ასეთი გადაწყვეტილება სწორი, სრულდებოდა თუ არა ის, სხვა საკითხია და ცალკე განხილვის საგანი, თუმცა სანარმოებს მოეთხოვებოდა დარიცხვის მეთოდით განესაზღვრათ შემოსავლები და ხარჯები, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შედეგები და ფინანსური ანგარიშგება ეწარმოებინათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნულის შეუსრულებლობისთვის ისინი ისჯებოდნენ კიდევაც. ახალი რეგულაციით კი **ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადება სავალდებულოა 2015 წლის 1 ივნისიდან**¹.

როგორ შეიძლება ეს გავიგოთ? აქამდე რაც იყო გაკეთებული (დახარჯული მატერიალური თუ ფულადი რესურსი) წყალში გადაიყარა? ისე ჩამოინერა, რომ არავის მოეკითხოს? დამსახურების მითვლისთვის თუ გრანტების მოზიდვის მომდევნო ნაკადისთვის ხომ არ ხდება ახალი თარიღების დაფიქსირება?

ამგვარად დასმული კითხვები ვინმეს შეიძლება ინტრიგად მოეჩვენოს, თუმცა საკითხი როცა პროფესიას ეხება და რეგულაციის პრობლემის გადაწყვეტით დაკავებული სტრუქტურების თუ პირების ძირითადი ძალისხმევა კვლავ კერძო ინტერესების, საექვო რეიტინგების ტყვეობაში ყოფნის უზრუნველყოფის გახანგრძლივებას ხმარდება, სწორედ ღირსების საქმედ უნდა მივიჩნიოთ რეალური ვითარების წარმოჩენა. ფაქტობრივი მდგომარეობა კი მართლაც მძიმეა.

კანონის მოქმედების (თუ უმოქმედების) გამო, ბუღალტრულ აღრიცხვასთან შედარებით, გაცილებით უარესი შედეგების წინაშე აღმოჩნდა აუდიტორი საქმიანობა. ამ სფეროს რეგულაციაშიც ანალოგიურად ბევრია წინააღმდეგობრივი და გაუმართავი დებულებები, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი გან-

საკუთრებულად საგანგაშოა.

ვისაც გულდასმით აქვს ნაკითხული დღეს მოქმედი კანონი, „აღმოაჩენს“, რომ საქართველოში არ არის არც ერთი აუდიტორი/აუდიტორული ფირმა და მათ არ გააჩნიათ აუდიტის ჩატარების, აუდიტორი საქმიანობის უფლებამოსილება.

ეს როგორ?, იკითხავს ალბათ წარბაზიღული ოპონენტი. როგორ და აი, ასე (ნახეთ რა წერია კანონში):

2. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დამტკიცებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი, რომლებიც ამ კანონის მიღების დღისთვის მიღებული და გამოცემულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ და რომლებიც გადამუშავებული, შეცვლილი, დამტკიცებული და გამოცემული იქნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ.

4. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი არის აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების განსახორციელებლად ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ სახელმძღვანელოდ გამოცემული დოკუმენტების კრებული.

5. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნოს და გამოსცეს იმ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია.

6. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ, ქართულ ენაზე თარგმნილ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA) რეგისტრაციაში გასატარებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამ სტანდარტებს აქვეყნებს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

7. სავალდებულოა მხოლოდ შესაბამის პერიოდში მოქმედი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) ქართული თარგმანის გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. პირს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების ინგლისური ტექსტი.²

შენიშნეთ ალბათ, რომ აქაც ანალოგიური მოთხოვნებია. მოკლედ, აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება უნდა წარმოებდეს საერთაშორისო სტანდარ-

1 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები.

2 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2-მე-7 პუნქტები;



ტების შესაბამისად, ეს სტანდარტები უნდა იყოს თარგმნილი მხოლოდ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ ქართულ ენაზე და გამოქვეყნებული სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია არ არის; შესაბამისად, შეიძლება ითქვას, არ გვაქვს მთავარი ინსტრუმენტი: გამოსაყენებლად სავალდებულო ქართულ ენაზე თარგმნილი ბულალტრული აღრიცხვის და არც აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი; ისინი არც ერთი არაა რეგისტრირებული სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში.

რას იტყვით, არ არის ეს არსებითი პრობლემა?! არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი საწუხარი. მნიშვნელოვანი სხვაც ბევრია. კერძოდ: მოდი, ვნახოთ ვინ უნდა ჩაატაროს აუდიტი? კანონის თანახმად, „სუბიექტის აუდიტი შეიძლება ჩაატაროს აუდიტორმა ან აუდიტორულმა ფირმამ“¹. სავსებით სწორია, აბა ვინ უნდა ჩაატაროს აუდიტი? მაგრამ ახლა ვნახოთ ვინ არის ეს „აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა“? კანონში განმარტებულია, რომ „აუდიტორი ესაა სერტიფიცირებული პირი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას;

„აუდიტორული (აუდიტური) ფირმა (შემდგომ - აუდიტორული ფირმა) - საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს პრო-

ფესიულ მომსახურებას სერტიფიცირებული პირის (პირების) მეშვეობით“.²

ამ განმარტებიდან აშკარად გამოკვეთილია სამი აუცილებელი პირობა: **1 - სერტიფიკატის ქონა (კვალიფიკაცია); 2 - აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობა; 3 - აუდიტორთა რეესტრში რეგისტრაცია.** აქედან, აკრედიტაციასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ვთანხმდებით, რომ საქართველოში არ არის სრულფასოვნად აკრედიტირებული პროფესიული ორგანიზაცია (თორემ ისე, არააკრედიტირებული - რამდენიმეა, მათ შორის, ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია - IFAC-ის წევრი; აუდიტორთა, ბულალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია - EFAA-ის წევრი; ბულალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება და ა.შ).

ისინი აკრედიტებული ვერ იქნებოდნენ თუნდაც იმის გამო, რომ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების განმახორციელებელი პირებისთვის არ არსებობს „ხარისხის კონტროლის შემომწმებლის სერტიფიცირების პროგრამა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება“, რაც (ირონიულად, მაგრამ მაინც) აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას უნდა გაეკეთებინა ჯერ კიდევ კანონის ამოქმედებამდე (2013 წლის 1 იანვრამდე).³

ანუ აკრედიტაციასთან დაკავშირებით კანონის რამდენიმე მუხლი და ძირითადი პირობები, როგორც აღვნიშნე, უკვე დარღვეულია და მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ აუდიტის/მარწმუნებელი მომსახურების ჩატარებაზე სრულფასოვნად უფლებამოსილი აუდიტორი ან აუდიტური ფირმა საქართველოში არაა (სხვათა შორის, ეს უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებულ ფილიალსაც და ფიზიკურ პირებსაც ეხება). დანარჩენ ორ პირობასთან (სერტიფიცირებასთან და აუდიტორთა რეესტრთან)

2 იხ. „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ზ და თ პუნქტები;

3 იხ. კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი.

1 იხ. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

დაკავშირებითაც არსებობს სერიოზული პრობლემა და აი, როგორი: მოდი, ჯერ ვნახოთ ვინ არის სერტიფიცირებული პირი?

კანონის თანახმად, „სერტიფიცირებული პირი არის ფიზიკური პირი, რომელიც აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებულია სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად და რომელიც თავის კვალიფიკაციას ადასტურებს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი განმარტებითი განათლებების სტანდარტის შესაბამისად“.¹

აქედან ირკვევა, რომ კანონი ცნობს სერტიფიცირებული პირის ორ კატეგორიას - სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრს და სერტიფიცირებულ ბუღალტრს.

„სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი არის ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS). ხოლო სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (IFRS for SMEs).² ამასთან, საყურადღებოა, რომ სხვა მნიშვნელოვან წინაპირობებთან ერთად, ფიზიკურ პირს, აუდიტური საქმიანობის განსახორციელებლად მოეთხოვება „იყოს სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“ ან „იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი“. ასევე, აუდიტურ ფირმას პროფესიული საქმის განსახორციელებლად მოეთხოვება „დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“ ან „დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული ბუღალტერი“³;

პრობლემა იმაშია, რომ მოქმედი კანონის შესაბამისად სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრები და სერტიფიცირებული ბუღალტრები საქართველოს არ ჰყავს. ასეთი სერტიფიკატები არავის გაუცია და არც ასეთი სერტიფიკატების გამცემი ინსტიტუტი (ორგანიზაციული სტრუქტურა) არსებობდა. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალდებულებდა აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას 2013 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყო ბუღალტერთა (სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად და სერტიფიცირებულ ბუღალტრად)

სერტიფიცირების პროგრამების შემუშავება⁴, ასეთი პროგრამა შემუშავებული (მიღებული, დამტკიცებული, გამოქვეყნებული) ჯერ არაა. ე.ი. კანონის შესაბამისად არც აუდიტის ჩატარებაზე უფლებამოსილი ფიზიკური თუ იურიდიული პირი გვყავს.

... და თუ მაინც ოპონენტი გაკვირვებული ნამოძახებს: რას ამბობ, აბა ვინ არიან ბაფ-ის მიერ სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრები? ვინ არიან, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. საქმე იმაშია, რომ კანონში წერია: „თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი დაადასტურებს, რომ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი იგივეა, რაც სერტიფიცირების სტანდარტი, რომლითაც ეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ახორციელებდა პირთა სერტიფიცირებას აკრედიტაციამდე, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია თავის მიერ ამ სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებული პირი სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად აღიაროს“.⁵ აკრედიტაციის ცენტრს კი ასეთი პროცედურა ჯერ არ ჩაუტარებია; ამ ცენტრში ჯერ არც ერთი აკრედიტებულად რეგისტრირებული პროფესიული ორგანიზაცია არ ფიქსირდება; აკრედიტაციის ცენტრისთვის არავის მიუმართავს გაერკვია აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი იგივეა თუ არა, რაც სერტიფიცირების სტანდარტი, რომლითაც ეს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ახორციელებდა პირთა სერტიფიცირებას აკრედიტაციამდე.

ამ უაზრო (არაკონდიციური) კანონის მიღებამდე მოქმედებდა აუდიტორთა სერტიფიცირების ერთიანი წესი: საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო (და არა კერძო სამართლის სუბიექტი) ტესტირების საფუძველზე განსაზღვრავდა აუდიტორის კვალიფიკაციას და გაცემდა შესაბამის სერტიფიკატს სფეროების მიხედვით (საქართველოში მხოლოდ ასეთი სერტიფიკატის მქონე აუდიტორები არიან). 2013 წლის 1 იანვრისათვის მოქმედ ასეთი სერტიფიკატებს, მოქმედი კანონით, 5 წლით გაუგრძელდათ ვადა,⁶ თუმცა მათი მფლობელი მხოლოდ სერტიფიცირებული ბუღალტრის დონეზე განიხილება და „უფლება აქვს, რეგისტრირებული იყოს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების

1 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3 პუნქტი.


2 იხ. ამავე კანონის მე-2 მუხლის ლ და მ პუნქტები;

3 იხ. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ა ქვეპუნქტი, მე-7 პუნქტის ა ქვეპუნქტი, მე-8 პუნქტის ა ქვეპუნქტი და მე-9 პუნქტის ა ქვეპუნქტი.

4 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი.

5 იხ. კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტი.

6 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი;



უფლების არმქონე პირთა რეესტრში.¹ ეს ნიშნავს, რომ აუდიტს, როგორც ასეთს, ისინი ვერ ჩაატარებენ (კანონის თანახმად, აუდიტად მოიაზრება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი), სერტიფიცირებულ ბუღალტრებს (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ კვალიფიცირებულ პირებს) კი უფლება აქვთ (განწი-რულნი არიან) **„გამოხატონ სხვა დასაბუთებული ან/და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების შესაბამისი მოსაზრებები“**. გარდა ამისა, ხუთწლიანი ვადა, რომელიც სერტიფიცირებულ აუდიტორებს დაუტოვეს, უკვე მალე ამოიწურება. კადრების მომზადებას დრო და პირობები სჭირდება. ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით სწავლება, რომელსაც ბავ უალტერნატივოდ გთავაზობს ბუღალტერთა სერტიფიცირებისთვის, დროში განელილი, ძვირი პროცესია. სწორედ ამის გამო, ამ პროგრამით „სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“ საქართველოში ძლიერ ცოტაა. ამასთან, ეს პროგრამა არ გახლავთ ერთადერთი და საუკეთესოც. ბევრი ქვეყანა მასზე უარს აცხადებს და ირჩევს ნაციონალური სპეციფიკისათვის უფრო მისაღებ მიმართულებას.

მოქმედი პრაქტიკის თანახმად, ქართული უმაღლესი განათლების სისტემით აკრედიტებული უნივერსიტეტის თუ ინსტიტუტის დიპლომირებული კურსდამთავრებული, რომელიც გადიოდა საგნებს ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და კვალიფიცირებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალისტად, **„სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრის“** ან **„სერტიფიცირებული ბუღალტრის“** სტატუსის მისაღებად იძულებულია ACCA-ის სწავლება და ტესტირება თავიდან გაიაროს.

დღეს მოქმედი რეგულაციის თანახმად, ნათლად

არაა გამოკვეთილი თუ ვინ უნდა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა (ბუღალტერმა თუ „სერტიფიცირებული პროფესიონალმა ბუღალტერმა“ ან/და „სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა“ (იგივე აუდიტორმა). რა განსხვავებაა ბუღალტერსა და აუდიტორს შორის? სად იწყება და მთავრდება ერთის კომპეტენცია ან იწყება და მთავრდება მეორის? თუ ბუღალტერი იგივე აუდიტორია, მაშინ რა საჭიროა სხვადასხვა დასახელება, ერთისთვის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრობა და განგრძობით სწავლება, ხოლო მეორისთვის (ბუღალტრისთვის) ასეთი ვალდებულება რატომ გამოკვეთილად არ ჩანს?

რა არის ეს? რა შეიძლება ამას დაერქვას?

სავსებით მისაღებია, ბუღალტერი და აუდიტორი პროფესიული ორგანიზაციის წევრი გახდეს, გადიოდეს განგრძობით სწავლებას და დრო გამოშვებით ადასტურებდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული და სპეციალობის მიხედვით კვალიფიცირებული პირი სტატუსის მისაღებად კვლავ თავიდან რატომ უნდა გადიოდეს სწავლებას? ვფიქრობ, ეს უაზრობის, დროის და სახსრების ფუჭად ხარჯვის, კომპეტენციათა გამიჯვნის უუნარობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

რატომ არ შეიძლება, რომ შემუშავდეს **ბუღალტერთა („სერტიფიცირებულ პროფესიონალი ბუღალტრის“** ან **„სერტიფიცირებული ბუღალტრის“**) სერტიფიცირების ისეთი ერთიანი პროგრამა, რომელიც იდენტიფიცირებული იქნება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან, უმაღლესი სასწავლებლებისთვის მოხდეს მხოლოდ ასეთი პროგრამის აკრედიტაცია და კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, პროფესიულმა ორგანიზაციამ, სახელმწიფო მარეგულირებელმა თუ საზედამხედველო ორგანომ გამარტივებული ტესტირების საფუძველზე სცნოს (განსაზღვროს) მათი კომპეტენცია?

1 იხ. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი;

არა და, თუ სერტიფიცირებული პირების ახალი ნაკადი არ წამოვიდა, საერთოდ აუდიტორების (პროფესიის) გარეშე დავრჩებით.

ცალკე „ხათაბალა და თავსატეხია“ კანონით განსაზღვრული რეგულაცია აუდიტორთა რეესტრის შესახებ. ეს ის მე-3 აუცილებელი წინაპირობაა, რომლის გარეშეც აუდიტის ჩატარება ნებადართული არაა. „საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ აუდიტორთა რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრაციის შემდეგ“¹.

უდავოა, რეესტრი საჭიროა და აუცილებელიც, ოღონდაც არა ისეთი, როგორც კანონის მიხედვითაა შემოთავაზებული: „რეესტრს აწარმოებს (აწარმოებენ) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია (ორგანიზაციები)“².

„რეესტრი არის 2 ტიპის:

ა) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება;

ბ) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებსაც არ აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება“³.

ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, საქართველოში არ არსებობს არც ერთი აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია. მეორე, დაფუძვანთ, ბაფ მივიჩინეთ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად და სხვა ალტერნატივა არ არის. მაშინ რა ქნას იმ აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ, რომელსაც გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, თუმცა მიზეზთა გამო, არ სურს ბაფ-ის წევრობა (ასეთი კი ბევრია). დაანებოს თავი აუდიტურ საქმიანობას და გადაკვალიფიცირდეს (პირობითად ვთქვათ) მიმტანად? მესამე, ვთქვათ, არის სხვა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია და მასაც აქვს აუდიტორთა რეესტრი. რომელია უფრო სანდო? როგორ უნდა განასხვავონ ისინი მომხმარებლებმა, რომელს მიმართონ?

ასეთი მიდგომა, გარდა იმისა, რომ დისკრიმინაციის ელემენტებს შეიცავს, დაუშვებელია.

აუდიტორთა რეესტრი უნდა იყოს ერთიანი „ა“ და „ბ“ ტიპების გარეშე და აწარმოოს საჯარო რეეს-

ტრმა (ან სახელმწიფო მარეგულირებელმა, საზედამხედველო ორგანომ), ისე, როგორც ამას აკეთებდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო (ეს სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ სავალდებულო აუდიტის ჩატარებისთვის იყოს დაწესებული გამკაცრებული კრიტერიუმი). სხვათა შორის, თუ ამჟამად მოქმედი კანონის ლოგიკას გავყვებით, ეს ერთიანი რეესტრი, ჯერ კიდევ არსებობს და ფაქტობრივად მოქმედა კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 30 ივნისის დადგენილება „საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს შესახებ“⁴, ამ საბჭოს ლიკვიდაცია ჯერ არ მომხდარა და „საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო მისი ლიკვიდაციისთანავე გადასცემს ინდივიდუალური აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ერთიან რეესტრს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“⁵. მაშ, რას ნიშნავს ეს ჩანაწერი? აქ გარკვევით წერია: ერთიან რეესტრს გადასცემს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და არა არქივს. გაუგებარია, სხვა რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს ამ რეესტრს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთვის გადაცემის შემდეგ?

ცხადია, აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მისი წევრი აუდიტორთა რეესტრი (ეს მისი საქმეა), მაგრამ ა(ა)იპ-ის მიერ წარმოებული რეესტრი სახელმწიფოსთვის ვერ იქნება და არც უნდა იყოს „განსაკუთრებული ავტორიტეტი“.

მართალია, კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, „2015 წლის 1 ივნისამდე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში განწევრება არ მოითხოვება“⁶.

ასეთი ცვლილება (პროფესიულ ორგანიზაციებში განწევრიანების მოთხოვნის გადავადება) უკვე მესამედ ხორციელდება და ეს გამოსავალი სულაც არ არის. დროის განწევა მხოლოდ ბაფ-ს აძლევს ხელს. ასეთი „ხრიკი“ უფუნქციოდ დარჩენილი აუდიტორების ბაფ-ში იძულებით განწევრიანებას უქმნის მოტივაციას. პრობლემები უფრო ღრმია და სწორედ ისინია დროულად მისახედი (და არა გავლენათა სფეროების გადანაწილებაზე გამოდევნება).

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ მოქმედ კანონში არის პრინციპულად მიუღებელი, უაზრო, გაუმართავი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დებულებები, რაც ქმნის ქაოსს, აზარალებს ეკონომიკას, უმუშევარს

1 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი;

2 იხ. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი;

3 იხ. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ა და ბ ქვეპუნქტები;

4 იხ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის გ ქვეპუნქტი;

5 იხ. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-16 პუნქტი;

6 იხ. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-15 პუნქტი.

ტოვებს ასეულობით კვალიფიციურ პირს და აქედან გამომდინარე, წარმოშობს გარდაუვალ აუცილებლობას, კანონში შევიდეს ფართო მასშტაბიანი ცვლილებები და დამატებები. უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ შესაქმნელია ახალი კანონპროექტი სრულიად განსხვავებულ, პროევროპულ კონცეფციაზე დაყრდნობით. მიმდინარე წლის 1 ივნისამდე დარჩენილი დრო უნდა მოხმარდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო რეგულაციების შემუშავებას.

პირველყოვლისა, აუცილებელია (და ეს ევროდირექტივებითაცაა განსაზღვრული):

- შეიქმნას დამოუკიდებელი საზედამხედველო მარეგულირებელი ორგანო (არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელ უწყებას მიეზღებოდა მისი ინსტიტუციური მოწყობა, მათ შორის, დასაშვებია ფინანსთა სამინისტროც მოვიზნოთ. სრულიად ალოგიკური იყო საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გაუქმება. თუ სტრუქტურა რაღაც მიზეზის გამო სათანადოდ ვერ მუშაობს, ეს სულაც არაა ამ სტრუქტურის ხელაღებით გაუქმების საფუძველი. შეიძლება შეიცვალოს მმართველობის მიდგომა, ფორმა ან შინაარსი და პრობლემა მოგვარებადია. ამდენად, შესაძლებელია ვიფიქროთ საზედამხედველო ორგანოს პარლამენტისთვის დაქვემდებარებაზეც, მით უმეტეს, არსებოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკული გამოცდილებაც. სრულყოფაზე ყოველთვის შეიძლება მუშაობა);

- პროფესიულ ორგანიზაციებს შეექმნათ თანაბარი სასტატო პირობები (შემდგომ, მოვლენების

განვითარება თვითონ გამოსშირავს მათ შორის სუსტსა და ფორმალურ წარმონაქმნს). ეს აუცილებელია კონკურენტული გარემოს და რეგულაციებზე მუდმივი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით;

მიკრო და მაკრო ეკონომიკის განვითარებაზე გავლენის შესაძლებლობის უნარისა და მნიშვნელობის გამო, ცივილურმა სამყარომ დიდი ხანია ბუღალტრულ აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის თვითრეგულაციაზე უარი განაცხადა.

თუ ევროპული ოჯახი ჩვენთვის ღირებულებას წარმოადგენს, ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივების მიხედვით რეკომენდირებულია სახელმწიფო ზედამხედველობის ინსტიტუტის არსებობა. ეს რეკომენდაცია (თუ მოთხოვნა) ცნობილი იყო კანონის მიღებამდეც.

მაშ, რატომ ვახდენთ დრომოჭმული და უარყოფილი თვითრეგულირების მექანიზმის რეამინაციას? ვის აძლევს ეს ხელს?

დროა ამ კითხვებს პასუხი გაეცეს!

მიგვაჩნია, რომ ერთადერთი პასუხი კი ამ კითხვებზე ახალი, გამართული, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ჩარჩო რეგულაციის მიღებაა. ამასთან, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, მარტო ბაფ-ის ლობისტების მოსაზრებებს და კულუარულ გადაწყვეტილებებს კი არ ღებულობდეს, არამედ საჭიროა (თუ ძლიერ დაგვიანებული არ არის) პროფესიონალი და დარგის განვითარებაზე ორიენტირებული ექსპერტების მონაწილეობით უკვე მუშაობდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების გამართულ ევროპულ მოდელზე. 1 ივნისამდე ცოტა დრო დარჩა.

REGULATION OF ACCOUNTING AND AUDIT IN GEORGIA - UNSHARED SPHERE OF INFLUENCE OR DELIBERATE INCOMPETENCE

Iuri Papaskua

Doctor of Science, Economics Professor

RESUME

This article refers to a topical subject of regulation status of accounting and audit activities in Georgia. In addition to assessment of the actual situation, the article provides arguments on reasons resulting in to a current circumstance.

The author of this article believes that adoption of the following law „**Regarding Accounting and Audit of Financial Statement**“ during the previous convocation of the Georgian Parliament, when these two different spheres fell under a single regulation, as well as transition to a self-regulation of this sphere, will lead to negative reverse reaction and dangerous side effects. Instead of proper development, or at least promotion of this process, a full uncertainty and a disorder have been established in the accounting and audit activities. It turned out that it is impossible to fulfil requirements for accounting and audit activities in Georgia, as per the pre-condition stipulated in the above mentioned law, due to the absence of appropriate international standards and accredited professional organization(s). There is also uncertainty about certification and united registry of auditors what requires, in accordance to time requirements and situation, implementation of adequate measures in the nearest future.

In this article the author proposes certain ways and guidelines for solution of the above described problems.

ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაცია საქართველოში და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნები



ლავრენტი ჭუმბურიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი, ჟურნალ “ბუღალტრული აღრიცხვის” მთავარი რედაქტორი

ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების, აუდიტისა და კორპორაციული მართვის საკითხებს შორის მჭიდრო კავშირია. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება განიხილება არა განყენებულად, არამედ კომპანიების ფუნქციონირების გარემოსა და ანგარიშგების პროცესის ქრილში, რადგან კარგად ინფორმირებული ბაზარი ბიზნესსაქმიანობის საუკეთესო რეგულატორია. ამიტომაც, ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ფაქტორი. ამ პროცესების მართვა კი შეუძლებელია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთო წესებისა და ჰარმონიზაციის გარეშე.

საქართველოს ეკონომიკის განვითარება გარდაუვალად საჭიროებს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს განვითარების ხელშემწყობას, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს ნორმატიული და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. საქართველოში გაცხადებული პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის პირობებში, როდესაც დღის წესრიგში დგება საკითხი - ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი, აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სრულყოფის ღონისძიებები განისაზღვროს საერთაშორისო ტენდენციებისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნების საფუძველზე.

რეგულირების ზემოაღნიშნულ მიმართულებას ალტერნატივა არა აქვს, რადგან „ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ასოცირების ხელშეკრულებით“ საქართველო ვალდებულია იღებდეს, განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც, ძირითადად, მოიცავს:

- ეროვნულ დონეზე შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციასა და ევროკავშირის წესებთან ეტაპობრივ დაახლოებას;
- ინფორმაციისა და ექსპერტული გამოცდილების ურთიერთგაზიარებას;
- ინფორმაციის გაცვლას სახელმწიფოების ბიზნეს კომპანიების რეესტრსა და საქართველოს კომპანიების ეროვნულ რეესტრს შორის;
- ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან.

ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ასოცირების ხელშეკრულებაში (შემდგომში – ასოცირების ხელშეკრულება) გამოყოფილია აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სფეროში გასატარებელი ღონისძიებები და განერილია მათი შესრულების ვადები. აღნიშნული საკითხები მოცემულია ასოცირების ხელშეკრულების 28-ე დანართში „კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, კორპორაციული მმართველობა“. მოკლედ მიმოვიხილოთ ასოცირების ხელშეკრულების 28-ე დანართით გათვალისწინებული რელევანტური დირექტივებისა და რეგულაციების ძირითადი საკითხები, რომლებიც განსხვავებულია კომპანიების სამართლებრივი ფორმისა და სიდიდის მიხედვით:

- კომპანიების სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე, მოთხოვნები (2013/34/EU). დირექტივა მოიცავს:
 - ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებს (შპს), საკრედიტო ინსტიტუტებს (2006/48/EC), სადაზღვევო კომპანიებს (91/674/EC) და იმ ერთეულებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის განსაზღვრული, როგორც საჯარო ინტერესის ერთეული;
 - ბ) პარტნიორობებს, შეზღუდული და შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კომპანიებს, რომელთაც აქვთ შპს-ს მსგავსი იურიდიული ფორმა;
- კომპანიების სიდიდიდან გამომდინარე, მოთხოვნები (2013/34/EU)
 - დირექტივა განსაზღვრავს აღრიცხვის დონეებს სხვადასხვა ზომის ფირმებში. ფირმები ზომის მიხედვით დაყოფილია შემდეგნაირად:
 - ა) მიკროსაწარმო - საწარმო, რომლისთვისაც სრულდება ქვემოთ მოცემული სამი პირობიდან ორი მაინც, ბალანსის შედგენის თარიღისთვის:
 - საბალანსო უწყისის მთლიანი რაოდენობა (ჯამური აქტივები) არ აღემატება €350,000-ს; მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით, მთლიანი ბრუნვა არ აღემატება €700,000-ს; ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებული სამუშაო ძალის საშუალო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს;
 - ბ) მცირე საწარმო - ერთეული, რომლისთვისაც სრულდება ქვემოთ მოცემული სამი პირობიდან ორი მაინც, მისი ბალანსის შედგენის თარიღისათვის:
 - საბალანსო უწყისის მთლიანი რაოდენობა (ჯამური აქტივები) არ აღემატება €4,000,000-ს; მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით მთლიანი ბრუნვა არ აღემატება €8,000,000-ს; ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებული სამუშაო ძალის საშუალო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50-ს;
 - გ) საშუალო ზომის საწარმო - ერთეული, რომლისთვისაც სრულდება ქვემოთ მოცემული სამი პირობიდან ორი მაინც, მისი ბალანსის შედგენის თარიღისათვის:
 - საბალანსო უწყისის მთლიანი რაოდენობა (ჯამური აქტივები) არ აღემატება €20,000,000-ს; მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით, მთლიანი ბრუნვა არ აღემატება €40,000,000-ს; ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებული სამუშაო ძალის საშუალო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 250-ს;
 - დ) დიდი ზომის საწარმო - ერთეული, რომლის მაჩვენებლებიც აჭარბებს ქვემოთ მოყვანილი სამი ზღვრული მაჩვენებლიდან ორს მაინც:
 - საბალანსო უწყისის მთლიანი რაოდენობა (ჯამური აქტივები) - €20,000,000; მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით, მთლიანი ბრუნვა - €40,000,000; ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებული სამუშაო ძალის საშუალო რაოდენობა - 250.

საწარმოების დაყოფა ზომის მიხედვით (2013/34/EU)

	მიკროსაწარმო	მცირე საწარმო	საშუალო საწარმო
საბალანსო უწყისი	≤ € 350,000	≤ € 4,000,000	≤ € 20,000,000
ბრუნვა (Net)	≤ € 700,000	≤ € 8,000,000	≤ € 40,000,000
თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა	≤ 10	≤ 50	≤ 250

მცირე საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვისას გამოკვეთილია აუცილებელი და ნებადართული ინფორმაცია. აუცილებელი ინფორმაცია: ბუღალტრული პოლიტიკა; გადაფასება და აქტივების გადაფასებულ თანხებამდე კორექტირება; განსაკუთრებული თანხები; გრძელვადიანი გადასახდელი თანხები - სულ მცირე 5 წლის შემდეგ; თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა; მენეჯმენტისადმი გაცემული კრედიტი. ნებადართული (შესაძლო) ინფორმაცია: ბრუნვა ძირითად საშუალებებში; ფირმის იმ ქმედებების ბუნება და დანიშნულება, რომლებიც შესული არ არის საბალანსო უწყისში; პოსტ-საბალანსო უწყისის მოვლენები; ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

გამარტივება მიკროსაწარმოებისთვის

ზოგადი	საბალანსო უწყისი შესაძლოა შეიცავდეს მხოლოდ ამ ინფორმაციას	მოგება-ზარალის უწყისი შესაძლოა შეიცავდეს მხოლოდ ამ ინფორმაციას
<p>• აუცილებელი არ არის წინასწარ გადახდების და დარიცხული შემოსავლის, როგორც ანგარიშის წარდგენა;</p> <p>არ საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფირმას აქვს გაცემული გარანტიები და კრედიტები მენეჯმენტისათვის;</p> <p>არ აქვს მენეჯმენტის რეპორტის მომზადების ვალდებულება;</p> <p>პუბლიკაცია ხდება კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით.</p>	<p>გადაუხდელი კაპიტალი;</p> <p>ფორმაციის ხარჯები;</p> <p>ძირითადი საშუალებები;</p> <p>მიმდინარე აქტივები;</p> <p>კაპიტალი და რეზერვები;</p> <p>კრედიტორები.</p>	<p>სუფთა (ნეტ) ბრუნვა;</p> <p>სხვა შემოსავალი;</p> <p>მასალების ხარჯები;</p> <p>თანამშრომლების ხარჯები;</p> <p>ღირებულებების კორექტირებები;</p> <p>სხვა ხარჯები და ჯარიმები;</p> <p>გადასახადები;</p> <p>მოგება (ზარალი)</p>

საშუალო ზომის საწარმოები. საშუალო საწარმოებს ეხება ყველა ის მოთხოვნა, რაც ეხება მცირე საწარმოებს და ამას ემატება: ბრუნვა ძირითად საშუალებებში; საგადასახადო კოდექსის მიხედვით წარმოშობილი კორექტირებები აქტივებში; ინფორმაცია ფინანსურ ინსტრუმენტებზე; დირექტორთა გასამრჯელო; წილის დეტალები შვილობილ კომპანიებსა და ასოცირებულ კომპანიებში; გადავადებული საგადასახადო ვალდებულების პროვიზია და ბრუნვა; კაპიტალისა და აქციების შესახებ დეტალები; საბოლოო მაკონტროლებელი მხარე და ის ადგილი, სადაც კონსოლიდირებული ანგარიშები არის ხელმისაწვდომი; მოგება-ზარალის შეთავაზებული განაწილება; არასაბალანსო საქმიანობის დეტალები; არაკორექტირებული პოსტსაბალანსო მოვლენები.

დიდი ზომის საწარმოებისა და საჯარო ინტერესის კომპანიებისთვის მოითხოვება:

მთლიანი საბალანსო უწყისი; მთლიანი მოგება-ზარალის უწყისი; მთლიანი მენეჯმენტის რეპორტი; ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები- მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც მოეთხოვება მცირე და საშუალო კომპანიებს და დამატებით მოიცავს: ნეტ ბრუნვას, რომელიც დაყოფილი იქნება საქმიანობის კატეგორიისა და გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით.

3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება (რეგულაცია N 1606/2002)

საჯარო ინტერესის მქონე კომპანიებს მოეთხოვებათ ჰქონდეთ ერთიანი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად; აუცილებელია ფასს-ის შესაბამისი ინტერპრეტაციების გამოყენება;

4. მოთხოვნები წლიური ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ანგარიშგების კანონით დადგენილი აუდიტის განხორციელების შესახებ (2006/43/EC)

სავალდებულო აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით გათვალისწინებულია, რომ:

- აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად;
- სავალდებულო აუდიტის ჩამტარებლები უნდა დაექვემდებარონ ხარისხის კონტროლს;
- ადმინისტრაციული სანქციის გასატარებლად უნდა არსებობდეს შესაბამისი კომპეტენტური უწყება, რომელიც მოახდენს სავალდებულო აუდიტორებისა და აუდიტური ფირმების აღიარებას;

• უნდა არსებობდეს სავალდებულო და არასავალდებულო აუდიტორების საზოგადოებრივი ზედამხედველობის სისტემა;

• არსებობდეს ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ აუდიტური ფირმები, მაგალითად: განგრძობითი სწავლება, შიდა ხარისხის კონტროლის სისტემა, პროფესიონალური ეთიკა და ა.შ;

• საზედამხედველო ორგანო იყოს დამოუკიდებელი აუდიტის პროფესიისგან და, შესაბამისად, მართული უნდა იყოს არაპრაქტიკოსი პროფესიონალების მიერ. ტერმინი „არაპრაქტიკოსი“ განმარტებულია დირექტივაში;

• დადგენილ იყოს გარკვეული წესები აუდიტორული ფირმის აღიარებისა და აუდიტორთა რეესტრისათვის;

5. სპეციფიკური მოთხოვნები საჯარო ინტერესის კომპანიების სავალდებულო აუდიტთან მიმართებაში (რეგულაცია 537/2014)

რეგულაცია ხაზს უსვამს, რომ სავალდებულო აუდიტის ჩამტარებელი აუდიტორის მხრიდან აუდირებული კომპანიისადმი სხვა სერვისის შეთავაზება შეიძლება აკრძალული იყოს, რადგან იგი საფრთხეს უქმნის დამოუკიდებლობას, თუმცა ეს საკითხი და მისი რეგულაცია მინდობილია სახელმწიფოზე. რეგულაციაში აგრეთვე გამოკვეთილია, რომ:

- უნდა არსებობდეს მინიმალური მოთხოვნები მისთვის, ვინც ავტორიზებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარებაზე;
- სავალდებულო აუდიტის დასკვნა არ უნდა იქნეს გამოცემული, პროექტის შიდა ხარისხის კონტროლის გავლის გარეშე;
- აკრძალულია ნებისმიერი ისეთი შეთანხმება, რომელიც აუდირებული ფირმის მხრიდან ზღუდავს აუდიტორის მონვევის არჩევანს;
- ხაზგასმულია, რომ უნდა არსებობდეს აუდიტის ჩატარების მაქსიმალური ვადა (პერიოდი, სანამ აუდიტორი ამზადებს ფირმის აუდიტის დასკვნას);
- აუცილებელია აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის გარე შემოწმება;

6. აუდიტური ფირმების ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა (2008/362/EC)

ევროკომისიის ეს რეკომენდაცია ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას აუდიტორის მხრიდან, პროფესიონალური მოვალეობის დარღვევიდან გამომდინარე და იგი უნდა იყოს შეზღუდული; მიზანშეწონილია მაქსიმალური ფინანსური ჯარიმის მიღება, ან იმ თანხით დაჯარიმება, რაც, სავარაუდოდ, ფირმას მიაყენა აუდიტორის მიერ პროფესიონალური მოვალეობის დარღვევამ. აუცილებელია ასეთი პირობების ხელშეკრულებაში დაფიქსირება აუდიტის დაწყებამდე.

ასოცირების ხელშეკრულება ზემოთ განხილული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილის შესრულებას ითვალისწინებს მისი ამოქმედებიდან სამი წლის განმავლობაში. მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვანია დროულად გაანალიზდეს ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროფესიის მარეგულირებელი ცალკეული ნორმების შესაბამისობა და განისაზღვროს მათი თანხვედრაში მოყვანის ღონისძიებები.

მოკლედ მიმოვიხილოთ დღევანდელი ვითარება ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებისა და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციებთან და დირექტივებთან შესაბამისობის მიმოხილვა

- საქართველოში კანონით მიღებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენება სავალდებულოა;
- ეთიკის კოდექსი მიღებულია კანონით, რომელიც მეტწილად შესაბამისობაშია რეგულაციებით განსაზღვრულ ეთიკურ მოთხოვნებთან;
- კანონით დადგენილია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე კომპანიების განსაზღვრის კრიტერიუმები;
- სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი კომპანიებისთვის მოთხოვნილია, რომ დაექვემდებარონ მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმებას.

რეკომენდაციებთან და დირექტივებთან შეუსაბამობები

- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არაა კომპანიების კატეგორიებად დაყოფის (სიდიდისა და გამომდინარე) კრიტერიუმები;
- კანონი არ ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სისტემატური თარგმნის უზრუნველყოფისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მონიტორინგის მექანიზმებს;
- არ არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო, რომელიც მონიტორინგს განახორციელებს პროფესიის რეგულირებაზე. ამ ეტაპზე რეგულატორის ფუნქცია დაკისრებული აქვს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც არ არის დამოუკიდებელი აუდიტის პროფესიისგან;
- შეუსაბამობაა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით. კერძოდ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მოპოვება ხდება ხარისხის კონტროლის სისტემის გავლის საფუძველზე, თუმცა არსებობს მთავრობის ალტერნატიული დადგენილება, რომელშიც კომპანიები დაუდგენელი წესით ხვდებიან;
- ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამისი დირექტივით მოითხოვება, რომ სავალდებულო აუდიტორები უნდა დაექვემდებარონ ხარისხის რწმუნების გადახედვას. საქართველოში, ამ ეტაპზე,

აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ახორციელებს თავისი წევრი აუდიტური ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს, თუმცა მონიტორინგს ექვემდებარებიან მხოლოდ მისი წევრი კომპანიები, ბაზარზე კი ბევრი ისეთი ფირმაა, რომლებიც არ არიან აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრები;

- კანონმდებლობით განსაზღვრული არაა მიკროსაწარმოს ცნება და არ ხდება ასეთი საწარმოებისთვის აღრიცხვის გამარტივებული წესების დადგენა;
- საწარმოთა საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის წესებს შორის დიდი სხვაობაა. აუცილებელია ამ წესების ერთმანეთთან მაქსიმალურად დაახლოება ისე, რომ შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშგებიდან საგადასახადო აღრიცხვის მარტივად წარმოება.

ამრიგად, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შედარებითი ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესიის რეგულირების საქართველოში არსებული სისტემა საჭიროებს მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს. ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად მიზანშეწონილია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ: პროფესიის, ბიზნესის, აკადემიური სექტორისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადებისას მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს პროფესიის რეგულირების სფეროს სახელმწიფო საზედამხებველო სტრუქტურის შექმნაზე, მისი შემადგენლობისა და სტრუქტურის განსაზღვრაზე. ასეთი მიდგომა გაამარტივებს ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან მოცემული სფეროს მარეგულირებელი სხვა ნორმების შესაბამისობის უზრუნველყოფას და შექმნის ისეთ ინსტიტუციურ სისტემას, რომელიც უფლებამოსილებათა დაბალანსების პრინციპის მიხედვით დაფუძნებული იქნება, ერთი მხრივ, პროფესიული ორგანიზაციების მიერ ბუღალტერთა და აუდიტორთა საქმიანობის პროფესიულ რეგულირებასა და ხარისხის კონტროლზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოს მიერ პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და მონიტორინგზე.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროდირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით, რეგულირების სრულყოფის საკანონმდებლო ცვლილებების მიღებითა და პრაქტიკაში დანერგვით შესაძლებელია:

- 1) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით (დანართი 28) გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება;
- 2) ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებით;
- 3) საქართველოს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა - საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიის მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანილი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პრაქტიკის დამკვიდრების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ასოცირების ხელშეკრულება“ დანართი 28, თბ. 2014
2. „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება – გამოცდილება, რეალობა, პერსპექტივა“ - საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, საქართველოს ბაფი თბ. 2010 წელი;
3. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, თბილისი, 29.06. 2012.
4. ლიპარტია ზ. ჭუმბურიძე ლ. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკის ჭრილში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011.

FINANCIAL REPORTING AND ACCOUNTING REGULATION IN GEORGIA AND THE REQUIREMENTS OF EU ASSOCIATION AGREEMENT

Lavrenti Tchumburidze – Doctor of Business Administration, Executive Director of the Georgian Federation of Professional Accountants and Auditors, Chief Editor of the magazine „Accounting“

RESUME

Along with the favorable factors for economic development and overcoming poverty, it is important to have the same favorable factors for free capital movement around the world. This process needs application of recognized international regulations for accounting and financial reporting systems.

This article addresses consistence between the regulation practice in our county and the recommendations of ‘the association agreement about collaboration between Georgia and EU and European Atomic Energy Union and its membership countries’.

There are expressed views about the necessity for adopting legislative changes in developing regulation and its implementation into practice according to the international accounting and auditing practice and the requirements of European Union directives.

THE MAGNA CARTA OF 1215, GOVERNMENT ETHICS, AND WOMEN'S RIGHTS

I. The 800th Anniversary

The Magna Carta, England's "Great Charter of Liberties,"¹ was first issued in 1215. As this landmark legal document marks its 800th anniversary this year, it will be celebrated for many reasons.

The Great Charter was written in the medieval world when King John was forced by rebel barons to make concessions. Ultimately, the document made important contributions to the shaping of western law, particularly in the United States.

The Magna Carta firmly embraced the idea of the Rule of Law, meaning that no one is above the law, not even a king. According to the Magna Carta, everyone is accountable according to the "law of the land." The Great Charter also demanded due process, fair trials, and proportional punishment. There are even provisions in the Magna Carta that dimly foreshadowed the idea that there should be no taxation without representation—the issue that caused the American colonies to break from Britain in 1776.

However, the Great Charter also contained two other interesting sets of provisions. The first set deals with what might today be called ethics in government. The other set of provisions was an early landmark in the recognition of women's rights.

II. Ethics in Government

The 1215 Magna Carta contains a trove of anti-corruption provisions. Though framed in terms addressing the realities of thirteenth-century life, those provisions were driven by the same concerns that inspire modern efforts to fight corruption.

A. Justice is Not for Sale

Clause 40 is the shortest and most elegant provision in the Magna Carta. In language that still glows with ethical clarity, it provides: "To no one will we sell, to no one deny or delay right or justice."²

Bribery of the king and his judges, and delays in rendering judgment, had been serious problems in the decades leading up to the barons' rebellion. Clause 40 has been interpreted as a universal guarantee of equal



VINCENT R. JOHNSON

Professor of Law, St. Mary's University, San Antonio, Texas, USA. Professor Johnson spent his fall 2014 sabbatical in England researching the Magna Carta at Oxford University (St. Benet's Hall) and Durham University.

justice. Today, the principle that justice is not for sale is a cornerstone of the American principles of judicial ethics which broadly prohibit judges from receiving gifts or other things of value from persons whose cases may come before them.

B. Improper Economic Benefit is Prohibited

Three additional clauses in the 1215 Charter were intended, in part, to address other corrupt practices. Clause 28 provided: "No constable or other royal official shall take corn or other movable goods from any man without immediate payment, unless the seller voluntarily offers postponement of this." Clause 30 stated: "No sheriff, royal official, or other person shall take horses or carts for transport from any free man, without his consent. And Clause 31 said: "Neither we nor any royal official will take wood for our castle, or for any other purpose, without the consent of the owner."

These provisions were intended to address abuses related to the right of the king to requisition supplies from citizens as the royal court travelled about England, but with an obligation to pay. The problem was that the

1 See J.C. Holt, *Magna Carta* xvi (2d ed. 1992).

2 The Magna Carta was written in Latin. An English translation can be found on the website of the British Library.

persons from whom supplies were requisitioned were often not paid, or were paid too little, or were paid too late. Some were compensated in “exchequer tallies,” a hated form of currency which could be used only to pay taxes.

The abuses included not only takings to provide for the king’s household, but requisitioning by officials for their own personal benefit. Clauses 28, 30, and 31 were intended to address that kind of abuse, too. In doing so, these clauses anticipated the later development of a broader, fundamental principle of modern government ethics jurisprudence. That principle holds that a government official or employee may not use official power for personal economic benefit.

C. Officials Must Be Accountable

Under anti-corruption principles, public officials and employees must be accountable for corrupt practices. In modern societies, the procedures often involve criminal indictment or impeachment. The Great Charter sought to achieve the same goal by extracting from King John a promise in Clause 55 that a committee of twenty-five barons could hold him accountable, by majority vote, for failure to return all fines unjustly exacted.

D. Judicial Qualifications and Temperament

It is often taken for granted that judges will be learned in the law. However, even today, this is not always the case. Because judicial qualifications were also problems in medieval England, the barons forced King John to promise in Clause 45: “We will appoint as justices, constables, sheriffs, or other officials, only men that know the law of the realm and are minded to keep it well.”

III. Women’s Rights

In the feudal world, “much of the sovereign’s revenue came from feudal incidents resulting from the king’s control of persons under disabilities. This included women whose husbands had died.

A. Forced Remarriage of Widows

In thirteenth century England, a widow “could be married at the wish of her feudal overlord to any man willing to pay the going rate.”¹ However, in rare cases a widow was sufficiently wealthy to be able to outbid suitors and buy a charter from her lord guaranteeing that she would not be forced to remarry. It is said that King John “did a lively business in payments for the

1 See Geoffrey Hindley, *The Magna Carta: The Story of the Origins of Liberty* 167 (2008).

widow’s privilege of remaining single, of remarrying whom she wished, or of keeping control of the lives and fortunes of her minor children.”² The payments, which sometimes included chattels (e.g., hunting animals) as well as money, testified “eloquently to the greed of the King, the anxiety of the victims, and the extortionate nature of the system.”³

The Magna Carta addressed these deeply resented practices in language so strong that it is something of a landmark in the recognition of women’s rights. Clause 8 states with certainty: “No widow shall be compelled to marry, so long as she wishes to remain without a husband. . . .” This victory for women was qualified. This was only a prohibition against a forced *second* or later marriage, and a woman could not choose to remarry without her lord’s consent. Moreover, most widows had no option other than to remarry because there were few career opportunities.

B. Inheritance by Women

At the time of the Magna Carta, “[i]t was customary for a land-owner to bestow marriage portions [of his land] on his daughters.”⁴ In addition, it was usual for a new husband to establish a dowry for his wife as they were leaving the altar. If the husband failed to do so, the law stepped in and fixed the dower at one-third of all his lands. The problem for a widow was that “she could only enter into possession [of the land] by permission of the King. . . .”⁵

To address this problem, Clause 7 of the Magna Carta provided: “At her husband’s death, a widow may have her marriage portion and inheritance at once and without trouble. She shall pay nothing for her dower, marriage portion, or any inheritance that she and her husband held jointly on the day of his death. She may remain in her husband’s house for forty days after his death, and within this period her dower shall be assigned to her.”

Issues remained relating to personal property, including food and other necessities. Those matters were addressed in Clause 26, which provided limited protection to widows and surviving minor children by making clear that their reasonable shares of a deceased man’s estate would not be treated as assets of the estate, except in cases of an unpaid debt to the Crown.

2 Frances Gies & Joseph Gies, *Women in the Middle Ages* 28 (1978).

3 *Id.*

4 William Sharp McKechnie, *Magna Carta: A Commentary on the Great Charter of King John* 216 (2d ed. 1914).

5 *Id.* at 215.

The 1215 Magna Carta was in no sense a model of equal treatment under law. However, it is important to remember that the Magna Carta did in fact protect a much wider array of persons and entities than just “free men” and aristocrats. It recognized the freedom of the church; the rights of “all merchants” and “any man” to travel; the liberties, customs, and obligations of cities and similar entities; and the interests and needs of hostages and mercenaries (in addition to the interests of widows, surviving children, heirs, wards, and persons accused of crime). Though it did not provide for full equality, the Magna Carta moved legal institutions across the globe closer to the ideal of equal justice under law.

IV. Conclusion

Today, authors are quick to point out that only four

of the original 63 provisions in the 1215 Magna Carta are still good law in the United Kingdom. Two of those provisions guarantee the freedom of the English Church and the rights of the City of London. The other two provisions deal with the administration of justice, guaranteeing that justice will not be sold or denied, and that persons will be punished only in accordance with the lawful judgment of their equals or the law of the land.


It is not surprising that the other 59 clauses have been repealed. They dealt in specific terms with the problems of a different age. No one would have expected them to last 800 years. The important thing is that the Magna Carta set high expectations for the development of the law that continue to inspire the reform and administration of justice around the world.

რ ე ზ ი უ მ ე

ამერიკელი პროფესორის ვინსენტ ჯონსონის სტატია ეხება თავისუფლების დიდ ქარტიას, ასევე მაგნა კარტას (ლათ. Magna Carta Libertatum), რომელიც გამოცხადდა ინგლისში 1215 წელს და იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა, რომლის შედეგად თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი ჩამოყალიბდა. ქარტიის თანახმად მეფეს გარკვეული უფლებები უნდა დაეთმო, დამორჩილებოდა სამართლებრივ პროცედურებს და ელიარებინა, რომ მეფეც შეზღუდული იყო კანონით.

ქარტიის შედეგად სასამართლოებს მიენიჭათ დამოუკიდებლობა, ის ამკვიდრებდა შესაბამის სასამართლო პროცედურას და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს. ქარტია აღიარებს მიწისმესაკუთრეთა უფლებებს და მემკვიდრეობის უფლებას და ჩამოთვლის უფლებათა მთელ რიგს, როგორცაა ყველა თავისუფალი მოქალაქის უფლება ჰქონდეთ და მემკვიდრეობით მიიღონ და გადასცენ საკუთრებადა გათავისუფლდნენ ზედმეტი გადასახადებისაგან. გამოცხადდა გადაადგილების თავისუფლება, აიკრძალა სანქციის გარეშე საკუთარი სახლების ჩხრეკა და სხვ.

ხუთი საუკუნის შემდეგ ინგლისის პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომელიც აცხადებდა, რომ აღარ დაუშვებდა სამეფო ჩარევას თავის საქმეებში. იგი უკრძალავდა მონარქებს შეეჩერებინათ კანონის მოქმედება პარლამენტის თანხმობის გარეშე, გამოაცხადდა პარლამენტის წევრების თავისუფალი არჩევნები და სიტყვის თავისუფლება პარლამენტში, რომელიც არ უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ სასამართლოში ან სხვა ნებისმიერ ადგილას. კონსტიტუციურ მონარქიას, საპარლამენტო მმართველობას სწორედ 1215 წელს ჩაეყარა საფუძველი თავისუფლების დიდი ქარტიის საშუალებით.



ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პრობლემები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსოციალისტურ რესპუბლიკებში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად ყოველთვის მიიჩნეოდა ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირება და გაძლიერება. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარების რამდენიმე მოდელი შეიქმნა, იყო პოზიტიური ნაბიჯებიც, თუმცა თვითმმართველობათა რეალური განვითარება მაინც ვერ მოხერხდა



ბორის ჭიჭინაძე

ეკონომიკის აკადემიური
ლოქტორი, აკაკი წერეთლის
სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასწავლებელი

თვითმმართველობების განვითარების აუცილებლობა განსაკუთრებულ მწვავედ დგას დღის წესრიგში ეხლა, რადგანაც პოსტსოციალისტურ რესპუბლიკების უმრავლესობას კურსი ალებული აქვს ევროპული სტრუქტურებისკენ, გამომდინარე აქედან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა. მრავალი წლის განმავლობაში არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტების შემდგომ განვითარებას. მუნიციპალიტეტებისადმი გატარებულ პოლიტიკას არ გააჩნდა მწყობრი ხასიათი, ამას ემატებოდა აღნიშნულ რესპუბლიკებში არსებული მძიმე კრიმინოგენური და ეკონომიკური მდგომარეობა, დაქვეითებული შრომითი და სამეცნიერო აქტივობა, რაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტების განვითარებაზე უარყოფითად აისახებოდა და არაპროგნოზირებადს ხდიდა მათ საქმიანობას.

მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული არაერთი კანონისა, წლების განმავლობაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მუნიციპალიტეტების მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და მათი ცენტრზე დამოკიდებულება კიდევ უფრო იზრდებოდა.

ათწლეულების განმავლობაში არ ხდებოდა მუნიციპალიტეტებში არსებული რეზერვების გამოყენება. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნდათ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროგრამები. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისთვის არ იყო განსაზღვრული სხვადასხვა ადგილობრივი მიმართულებების პრიორიტეტულობა, საკითხები წყდებოდა სპონტანურად, ყოველგვარი განხილვისა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე. ადგილი ჰქონდა კომპეტენციების და

უფლება-მოვალეობების აღრევას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

მდგომარეობა პოსტსოციალისტურ რესპუბლიკებში ამჟამადაც რთულია, ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა, ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონები ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაზე გადასვლას.

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მდგომარეობა თითქმის ერთნაირია და ძირითად მნიშვნელოვან და გადაუწყვეტელ საკითხებად კვლავ რჩება:

- ცენტრსა და რეგიონს შორის უფლება-მოვალეობებისა და კომპეტენციების აღრევა და მათი გამიჯვნის არარსებობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი;
- ადგილობრივ თვითმმართველობებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დასანიშნ პირთა მიმართ დანესებული მოთხოვნების არარსებობა;
- ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არსებული ბიუროკრატიის მაღალი ხარისხი;
- ადგილობრივი თვითმმართველობებში დასაქმე-

ბულ პირთა სახელფასო სარგოების მოუნესრიგებლობა;

- ადგილობრივ თვითმმართველობებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენის კრიტიკრიუმის არარსებობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციების გაორება და მათი კომპეტენციების აღრევა;
- ადგილობრივი თვითმმართველობების ანგარიშვალდებულობის დაბალი ხარისხი მოსახლეობის მიმართ;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის თანამონაწილეობის დაბალი ხარისხი;
- ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე არსებული კომუნალური სახის პრობლემების მოგვარების კუთხით ხელშეწყობის არარსებობა.
- ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის ფაქტიურად არარსებობა.

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით განვიხილოთ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა.

სომხეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებას საფუძველი ჩაეყარა სომხეთის კონსტიტუციით, რომელიც მიღებული იქნა 1995 წელს რეფერენდუმით. სომხეთის კონსტიტუციაში ცალკე თავი აქვს დათმობილი ადგილობრივ თვითმმართველობებს და მათ სამართლებრივ რეგულირებას. იქვე მითითებულია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს უდიდესი როლი გააჩნია სახელმწიფო მშენებლობის მიმართულებით. მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა კონსტიტუციაში 2005 წელს, რითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტების სამართლებრივი სტატუსი, როგორც ცალკე არსებული იურიდიული პირებისა. კონსტიტუციითა და სხვა სამართლებრივი აქტებით ამოცანად იქნა დასახული ცენტრსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებების გამიჯვნა და მათი კომპეტენციების განსაზღვრა. სომხეთში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების და რეგულირების კუთხით არსებობს ორი მნიშვნელოვანი კანონი, ესენია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (მიღებული 2002 წელს) და „ქალაქ ერევნის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (მიღებული 2008 წელს) კანონები. აღნიშნული კანონებით მკაცრადაა განსაზღვრული ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. სომხეთის ადგილობრივი თვითმმართველობებზე სახელმწიფოდან გადაცემულ დელეგირებულ უფლებებზე სამართლებრივ ზედამხედველობას კანონის შესაბამისად ახორციელებს შესაბამისი ცენტრალური ორგანოები. მოქმედი კანონმდებლობით ცენტრალურ ხელისუფლებას მკაცრად ეკრძალება ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობაში ჩარევა.

საბიუჯეტო და საფინანსო-ეკონომიკურ სფერო-

ში ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობა სომხეთში რეგულირდება 1997 წელს მიღებული კანონით „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“. აღნიშნული კანონით განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირების წყაროები.

მიუხედავად სომხეთის კანონმდებლობით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების უფლებებისა და კომპეტენციებისა, მათი დამოუკიდებლობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, გაურკვეველია აღმასრულებელ ორგანოებში დასანიშნ პირთა კრიტერიუმები, ასევე მათი გადაყენების სამართლებრივი პროცედურები. აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია და დიდ პრობლემებს უქმნის სომხეთის ადგილობრივი თვითმმართველობების შემდგომ განვითარებას.

თურქმენეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ისტორია 20 წელზე მეტ ხანს ითვლის. თურქმენეთის კონსტიტუციაში ადგილობრივ თვითმმართველობებს ცალკე თავი აქვს დათმობილი. კანონითა და კანონქვემდებარე აქტებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას და მათი დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გაზრდას. კანონით განსაზღვრულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის მოსახლეობის მხრიდან მმართველობის ფორმა, რომლის საშუალებითაც ადგილებზე გადაიჭრება ისეთი საკითხები, რომლების არ შედის ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციებში. ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტისას მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი მოქალაქეთა თანამონაწილეობის პრინციპი. ადგილობრივი თვითმმართველობები იქმნება ისტორიული, ნაციონალურ-ეთნიკური, რეგიონული და ეკოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, რომელიც ეფუძნება დეცენტრალიზაციის პრინციპს, აღნიშნული მიდგომა კი წინააღმდეგობა უზრუნველყოფილი დემოკრატის გასანვითარებლად.

თურქმენეთის კანონმდებლობით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტას როგორცაა:

- ადგილობრივი ფინანსური წყაროების გაზრდა;
- ადგილობრივი საჯარო მოხელეებისათვის სასწავლო ტრენინგების მოწყობა;
- ადგილობრივი ქონების მნიშვნელოვანი ზრდა;
- ადგილობრივი სამედიცინო მომსახურების ხარისხის ზრდა;
- ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

თურქმენეთში ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმირება დაიწყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის მიღებიდან. უცხოეთის თვითმმართველობების განვითარების ტენდენციების შესწავლიდან გამომდინარე აღნიშნულ კანონში მოცემულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები



წარმოადგენს დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი დემოკრატიის ძირითად მართველობით ფორმას. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ადგილობრივი ხელისუფლებების საქმიანობის გამჭვირვალობას და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე. კანონით მკაცრადაა განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების დროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების უფლებები და კომპეტენციები.

მიუხედავად იმისა, რომ თურქმენეთის კანონმდებლობით მკაცრადაა განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციები, დღის წესრიგში კვლავ დგას ადმინისტრაციული რეფორმის გატარების საკითხი. აღნიშნულმა რეფორმამ კიდევ უფრო ნათელი უნდა გახადოს ცენტრალური ორგანოების დამოკიდებულება ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიმართებაში, რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილებათა მკვეთრი გამიჯვნა.

ყირგიზეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კუთხით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკამ უკვე 20 წელზე მეტია რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია და სასწრაფოდ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს. კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ხელისუფლებათა გადახანჩილება, რაც გამოიხატება ცენტრსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კომპეტენციათა მკვეთრი გამიჯვნით. ადგილობრივი თვითმმართველობების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება კანონით „ყირგიზეთის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. აღნიშნული კანონით ვერ ხდება ადგილობრივი თვითმმართველობების

დამოუკიდებლობის ზრდის უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობას და მათი ცენტრზე დამოკიდებულების ხარისხს ზრდის.

მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზეთის კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებლობის გარანტს, ადგილობრივი თვითმმართველობების სამართლებრივი რეფორმირების გარეშე ფაქტიურად წარმოუდგენელია ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის სტაბილურობა, რაც მთლიანობაში საფრთხეს უქმნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომ განვითარებას. ამჟამად ყირგიზეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში მიმდინარეობს მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით. მზადდება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც უნდა გახდეს ყირგიზეთის ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის გაზრდის საფუძველი.

ტაჯიკეთში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას ხელს უშლის არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, რაც მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით. თვითმმართველობების საქმიანობა რეგულირდება კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დასახლებებში და სოფლებში“, რომელიც მიღებულია 1994 წელს. 2005 წელს დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციური კანონის მიღების აუცილებლობა, კერძოდ მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შესახებ“. მიუხედავად მიღებული კანონებისა ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება მაინც ვერ ხერხდება. ამჟამად ყირგიზეთში არსებობს მართველობის შერეული ფორმა. საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად ადგილობ-

რივი მმართველობითი ფორმა არ შეცვლილა და ამჟამად მოქმედი წესი წარმოადგენს უკვე არსებული გაგრძელებას.

ამჟამად ტაჯიკეთის მთავრობის მიერ მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაზე მუშაობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ადგილობრივი რეფორმების განხორციელება, სამოქალაქო ინიციატივების უზრუნველყოფა, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადანყვეტისას მოქალაქეთა თანამონაწილეობის ზრდა. ტაჯიკეთის რესპუბლიკამ უკვე ბევრი დრო დაკარგა, ამიტომ დღის წესრიგში დგას ადგილობრივი რეფორმების სწრაფი და ეფექტური განხორციელების აუცილებლობა.

რუსეთში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობისას. რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური მშენებლობის ძირითად ინსტიტუტს. 2003 წელს მიღებული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობების საერთო პრინციპების შესახებ რუსეთის ფედერაციაში“ მკაცრად არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებები და კომპეტენციები, მოქალაქეთა მონაწილეობის აუცილებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადანყვეტაში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობების ძირითად ვალდებულებებს წარმოადგენს სახალხო მმართველობის დანერგვისა და მისი ეფექტურობის გაზრდის აუცილებლობა. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული კანონით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებები, მოქალაქეთა საზოგადოებრივი აქტიურობის ხარისხი მაინც დაბალია, უმნიშვნელოა მოქალაქეთა თანამონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადანყვეტაში, აღნიშნულის

გარეშე კი ფაქტიურად წარმოუდგენელია ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება.

რუსეთის სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ტრადიციებიდან გამომდინარე ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე შუძლებელი გახდება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება. ჯერ კიდევ დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობების თანამდებობის პირების მუშაობის გამჭვირვალობის ხარისხი, ფაქტიურად არ ხდება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოქალაქეებთან განხილვა, დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობა და არ ხდება ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლების დივერსიფიკაცია.

ამჟამად რუსეთში დღის წესრიგში დგას ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმირების საკითხი, რომელიც მოითხოვს სპეციალური ფედერალური კანონების მიღებას. ევროსაბჭოს სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად აუცილებელია რუსეთის ადგილობრივი თვითმმართველობების მნიშვნელოვანი რეფორმირება, რომელმაც მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც გახდება საფუძველი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადანყვეტაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის გაზრდისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დემოკრატიული პროცესების დანყება.

ყაზახეთში ადგილობრივი მმართველობის ორგანოები შედიან ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრალურ ხელისუფლების პრეროგატივაა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებებისადმი ხელშეწყობა და ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ რე-



გიონებში ინიშნება სპეციალური წარმომადგენლები. თვითმმართველობების დონეებზე კი ხდება წარმომადგენლობითო ორგანოების არჩევა მოსახლეობის მიერ. მთავრობის მიერ დიდი ყურადღება ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმირების აუცილებლობას, მიუხედავად იმისა, რომ კანონით გარანტირებულია თვითმმართველობების დამოუკიდებლობა, პრაქტიკაში საქმე სულ სხვაგვარადაა, თვითმმართველობები განიცდიან საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების დეფიციტს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტურად გადაწყვეტას, ეს კი უარყოფითად აისახება მთელი ქვეყნის მდგომარეობაზე.

ყაზახეთის მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა სტრატეგია, რომელიც „ყაზახეთი-2030“-ის სახელითაა ცნობილი, სადაც დასახულია მიზნად ცენტრსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კომპეტენციათა მკვეთრად გამიჯვნის აუცილებლობა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლობადაა მიჩნეული ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობების მეთოდის დახვეწა, რამაც უნდა უზრუნველყოს ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილებზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების გადაცემა.

უკრაინაში რესპუბლიკაშიც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კუთხით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკამ უკვე 20 წელზე მეტია რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია და სასწრაფოდ საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს. უკრაინაში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ხელისუფლებათა გადანაწილების საკითხი. მნიშვნელოვნადაა დასახვეწი ადგილობრივი თვითმმართველობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები. პრობლემად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ხარისხი. არ ხდება ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაცია, არ არსებობს თანამდებობებზე დასანიშნ პირთა კრიტერიუმები, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე ადგილი აქვს ნეპოტიზმის ნიშნებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმირების პროცესს. საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია დღეს, რადგანაც უკრაინას კურსი აქვს აღებული ევრო-სტრუქტურებისკენ, რაც მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეებზე.

ამჟამად უკრაინაში ცენტრალური მთავრობის მიერ დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმირების საკითხი, იმედია პროცესები პოზიტიურად განვითარდება და მთავრობის მიერ მიღებული იქნება ისეთი კანონები, რომლების მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თვითმმართველობების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს

თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზრდას.

განხილვამ ცხადყო, რომ თითქმის ყველა პოსტსაბ-ქოთა რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მხრივ პრობლემები ერთნაირია. კერძოდ:

ა) დაბალია თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ხარისხი;

ბ) თვითმმართველობებს არ გააჩნიათ საჭირო ფინანსები და მისი მართვის დამოუკიდებელი ბერკეტები;

გ) გაურკვეველია იმ ქონების შესახებ, რომლებიც უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობებს;

დ) გაურკვეველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასანიშნ პირთა კრიტერიუმები;

ე) არ არსებობს მოხელეთა დანიშნულების არანაირი მექანიზმი;

ვ) არ ხდება ადგილობრივი შემოსავლების დივერსიფიკაცია;

ზ) თვითმმართველობების მიერ არ ხდება დამატებითი საბიუჯეტო წყაროების მოძიება;

თ) გაურკვეველია და დაუსაბუთებელია ადგილობრივ თვითმმართველობებზე გადასაცემი ტრანსფერის გამოანგარიშების წესი;

ი) ტრანსფერების გადაცემისას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს სუბიექტურ მიდგომებს, რაც ნეპოტიზმის ნიშნებს ატარებს;

კ) ფაქტიურად არ ასრულებენ თვითმმართველობები მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ჯანსაღი გარემოს შექმნის და ჯანმრთელობისათვის საშიში რისკ-ფაქტორების გამოვლენას მიმართულებით;

ლ) ადგილობრივ დონეებზე არ ხდება უსახლკარო პირთა გამოვლენის და მათი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;

მ) ადგილობრივ დონეებზე არ ხდება თვითმმართველობების განვითარების გეგმების შედგენა და ამ გეგმების მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელება;

ნ) ფაქტიურად არ ხდება თვითმმართველობების მიერ განეულ ხარჯებზე მოქალაქეთა კონტროლი;

ო) ადგილობრივი ბიუჯეტები მიიღება მოქალაქეებთან კონსულტაციების გავლის გარეშე;

პ) ბიუჯეტების შედგენისას უმნიშვნელოდაა გათვალისწინებული თვითმმართველობების სპეციფიკა;

ჟ) უმნიშვნელოდ იყენებენ თვითმმართველობები უცხოეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას მუნიციპალიტეტების განვითარების უზრუნველსაყოფად;

რ) მნიშვნელოვანი პრობლემებია მუნიციპალური შესყიდვების კუთხით, რაც ძირითადად გაუმართავი კანონმდებლობითაა გამოწვეული;

ს) ადგილი აქვს ცენტრალური და ადგილობრივი

მთავრობების უფლება-მოვალეობათა აღრევას და პარალელიზმს.

გამომდინარე აქედან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული თვითმმართველობების რეგულირების სისტემები სასწრაფოდ საჭიროებს რეფორმირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ უფრო გაღრმავდება უფსკრული ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის, რაც მთლიანობაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე ნეგატიურად აისახება.

რეფორმირების აუცილებლობა გამოწვეულია ასევე 1985 წელს მიღებული ევროპული ქარტიით «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ», სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული იმ ქვეყნების უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც აღიარებენ აღნიშნულ ქარტიას და შესაბამისი რატიფიცირებაც აქვთ მოხდენილი თავიანთ საკანონმდებლო ორგანოებში. კერძოდ ქარტიის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ: «ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითავლისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მმართველობის სფეროში ხელშეკრულებების დადება;

ითვალისწინებენ რა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს;

ითვალისწინებენ რა, რომ მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის;

ითვალისწინებენ რა, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია;

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან მოქალაქეებთან დაახლოებული მმართველობა;

აცნობიერებენ რა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის;

ამტკიცებენ რა, რომ ეს გულისხმობს ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გადანაცვების მიღების უფლების მქონე, დემოკრატიული

გზით შექმნილი ორგანოების მიერ და რომლებსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციის, ამ კომპეტენციის განხორციელებისა და ამისათვის აუცილებელი სახსრების მხრივ, თანხმდებიან» რომ ითანამშრომლონ და მიიღონ ისეთი კანონები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ზრდა და მათი სტანდარტების მიახლოება ევროპულ მოთხოვნებთან.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თვითმმართველობებში არსებული მდგომარეობის განხილვა კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აღვნიშნოთ:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის მოქალაქეთა უფლება, დაკავებული იყვნენ ადგილობრივი საკითხების დაგეგმვა-გადაწყვეტაში;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის სახალხო მმართველობის ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც არსებობს ცენტრალური ხელისუფლების პარალელურად;

დ) ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა იფუნქციონიროს საკუთარი ხარჯებით, საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ;

ე) თვითმმართველობები ვალდებულნი არიან საქმიანობა განახორციელონ საჯაროდ;

ვ) თვითმმართველობებმა განეული საქმიანობის შესახებ სისტემატურად უნდა წარუდგინონ ანგარიში ხალხს;

ზ) თვითმმართველობებმა პერიოდულად უნდა მოახდინონ საკითხების საჯარო განხილვები მოქალაქეებთან.

მხოლოდ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაცვის შემდეგ იქნება თვითმმართველობები ნამდვილად დამოუკიდებელნი და მათი მუშაობა დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული, რაც მთლიანობაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, გამომდინარე აქედან უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეთა კეთილდღეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) Уваров В. Н., Государственная служба и управление, Учебник, Г. Петропавловск 2004 г.
- 2) „Проблемы и перспективы развития местного самоуправления в странах СНГ и Европы„ Сборник материалов. Г. Москва, Российский университет дружбы народов. 2013 г.
- 3) www.geostat.ge--საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ოფიციალური ვებ.გვერდი.
- 4) www.parliament.ge--საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ.გვერდი.

კორპორატიული მართვისა და საკუთრების მარკეტინგები

ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, როგორც კერძო სექტორისა და მენარმეობის განვითარება, ასევე, საკუთრების დაცვა, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე, რადგან კომპანიების ეფექტიანი საქმიანობა დამოკიდებულია კორპორატიული მართვის ხარისხზე, თუ როგორი სახის მართვის ორგანოები არსებობს ქვეყანაში, როგორია მათი უფლებამოსილებები, კომპეტენცია და მათი პასუხისმგებლობის საკითხები მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისთვის.



როგორც წესი, ინვესტორს არ გაუჩნდება სურვილი ფული დააბანდოს ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მისი საკუთრების ეფექტური კონტროლისა და დაცვის მექანიზმები. სწორედ ამიტომ, კორპორატიული მართვის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიებისთვის განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური ღირებულების მართვის ამოცანა, რადგან ღირებულებების მართვის მიდგომების გამოყენება არის კომპანიის ღირებულების ზრდის პოტენციალი.

ღირებულებაზე დაფუძნებული მართვა - კომპანიის მართვის სისტემაა, რომლის მიზანია ღირებულების მაქსიმიზაცია და შესაბამისად, სისტემის შექმნის მიზნები, რესურსების განაწილების პროცესი, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების შეფასება ეფუძნება დამატებული ეკონომიკური ღირებულების მაჩვენებელს.

დამატებული ეკონომიკური ღირებულების კონცეფცია **Economic Value Added (EVA)** - კომპანიის ღირებულების შექმნამ უნდა გამოიმუშაოს ინვესტირებულ კაპიტალზე მეტი მოგება, ვიდრე მისი კაპიტალის ღირებულებაა. ძირითადად EVA არის სპეციფიკური მიდგომის ტერმინი ეკონომიკური მოგების გამოანგარიშებისთვის, რომელსაც კომპანია გამოიმუშავებს ყველა კაპიტალური დანახარჯის გამოქვითვის შემდეგ.¹ აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება როგორც ღირებულების განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრი, ასევე, მართვისა და კომპანიის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც კომპანიის მფლობელებს ეძლევათ შეფასების საშუალება.

ბუღალტრული მოგების გამოანგარიშებების სიზუსტე განიხილავს სესხით დაფინანსების დარიცხვებს, მაგრამ გამორიცხავს საკუთარი კაპიტალით დაფინანსებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ეკონომიკური მოგება და მაშასადამე, EVA განსხვავდება ბუღალტრული მოგებისგან იმით, რომ იგი მოიცავს კომპანიის მთელი კაპიტალის ხარჯებს - როგორც სესხზე, ასევე საკუთარ კაპიტალზე.

ამგვარად, დადებითი EVA ღირებულება ძირითადად მიუთითებს აქციონერული ღირებულების შექმნაზე, მაშინ როდესაც უარყოფითი EVA ღირებულება გვატყობინებს ღირებულების დაცემის შესახებ. კომპანია რეალურად არ ქმნის აქციონერულ ღირებულებას, სანამ იგი არ შეძლებს დაფაროს ყველა მისი კაპიტალური დანახარჯი. EVA-ს მონაცემებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პოტენციური ინვესტორები, რომელთა გარეშეც კომპანიის შემდგომი განვითარება შეუძლებელია.

კომპანიის ბუღალტრული გაანგარიშებებით სავსებით შესაძლებელია ჰქონდეს დადებითი შედეგები მოგების თვალსაზრისით, თუმცა EVA-ს უარყოფითი მონაცემებით ეს კომპანია ვერ ქმნიდეს დამატებულ ეკონომიკურ ღირებულებას. მოკლედ რომ ვთქვათ, EVA ეს არის კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის (მდგრადობის) ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. ღირებულებაზე დაფუძნებული მართვის სისტემის დანერგვა, როგორც წესი, გავლენას მოახდენს, როგორც კომპანიების ღირებულებისა და მოგების გაზრდაზე, ასევე მმართველო-

¹ ჯეიმს ს. ვან ჰორნი; ჯონ მ. ვახოვიჩი, უმც. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2009, გვ., 426.

ბითი გადაწყვეტილების ხარისხის ამაღლებაზე.


დამატებული ეკონომიკური ღირებულების კონცეფცია **Economic Value Added (EVA)** პოპულარულია. კომპანიისთვის EVA კონცეფციის გამოყენება არის კორპორაციული სტრატეგიისა და ინვესტიციების საუკეთესო დამაკავშირებელი აქციონერების ღირებულებასთან. ზოგადად, დამატებული ეკონომიკური ღირებულების მაჩვენებლები გამოიყენება მხოლოდ შიდა საბუღალტრო აღრიცხვისათვის და არა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სანდო ინფორმაციის ნაკლებობით.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობებში სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის გზით საფუძველი ჩაეყარა საკუთრების სხვადასხვა ფორმის ჩამოყალიბებას, რომელიც არ იყო განმტკიცებული შესაბამისი კანონმდებლობით. ყოველივე ეს კი ბუნებრივია არათანაბარ პრობებში აყენებდა ეკონომიკურ სუბიექტებს და შესაბამისად, გარკვეულ ბარიერებს უქმნიდა მენარმეობის განვითარებას.

კორპორაციების მიერ ბიზნესის მართვა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მოქალაქეთა კეთილდღეობაზე და სოციალურ პრობლემატიკაზე. საქართველოს კანონმდებლობა კორპორატიულ მართვასთან დაკავშირებულ დებულებებს ნაკლებად შეიცავდა, თუმცა ბოლო წლებში აღნიშნული დებულებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კანონმდებლობა გარკვეულ ზოგად წესებს ადგენს, თუმცა კომპანიებს უფლებას აძლევს, რომ სხვა საკითხები შიდა წესდებითა და ნორმებით დაარეგულირონ. კომპანიებმა წელიწადში ერთხელ მაინც პარტნიორთა საერთო კრება უნდა გამართონ. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კომპანიის საქმიანობის სფეროს სცილდება, პარტნიორთა საერთო კრების თანხმობას საჭიროებს. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა, ფილიალების შექმნა, წლიური შედეგების დამტკიცება, აუდიტორის არჩევა, ასევე სანარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.¹

საქართველოში კერძო სექტორის განვითარებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ რეგისტრირებულ სანარმოთა 91,6% (539 099 ერთეული) კერძოა. სწორედ კერძო სექტორში იქმნება ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების 91,4%, გამოშვებული პროდუქციის 93,4%, ბრუნვის 95,7%, კერძო სექტორშია დასაქმებულითა 89,4%.²

საკუთრების ფორმები საქართველოში.



წყარო: <http://www.geostat.ge>. 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.

1 საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. muxli 8-9.

2 <http://www.geostat.ge> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მეწარმეობა საქართველოში, 2014 წელი.


აღნიშნული მონაცემების მიხედვით, კომპანიების 11.3%-ი სახელმწიფოს საკუთრებაშია (სულ 7 724 ეკონომიკური სუბიექტი, რომლის სანესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი სახელმწიფოს საკუთრებაშია). კომპანიების 91.6%-ი (სულ 539 099 კომპანია) კერძო პირის საკუთრებაშია, ამასთან აღნიშნული კომპანიების 89.4%-ში (სულ 526 409 კომპანია) მფლობელი კერძო პირი - საქართველოს მოქალაქეა, 1.6%-ის (სულ 9 469 კომპანია) მფლობელი უცხოელი კერძო პირია, ხოლო 0.5%-ი (სულ 3 221 კომპანია) კერძო შერეული ფორმისაა - ეკონომიკური სუბიექტების სანესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობითაა.

2013 წელს ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის მოცულობამ 41 249.9 მლნ. ლარი შეადგინა¹, მათ შორის, ბრუნვა საკუთრების ფორმის მიხედვით 2013 წელს ასე გამოიყურება: saxelmwifოს საკუთრებაში მყოფი საწარმოებისთვის - 1 910.6 მლნ ლარია, კერძო - 42 417.4 მლნ ლარია, კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები) - 29 248.7 მლნ ლარი, ხოლო კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები) - 13 168.7 მლნ ლარი.²

რას შეეხება დამატებულ ღირებულებას 2013 წელს 12 139.1 მლნ. ლარი შეადგინდა, მათ შორის სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოებისთვის - 1 041.1 მლნ ლარია, კერძო - 11 098.0 მლნ ლარია, კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები) - 7 188.7 მლნ ლარი, ხოლო კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები) - 3 909.3 მლნ ლარი.³

კომპანიები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით საქართველოში ასე გამოიყურება:

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები საქართველოში.



წყარო: <http://www.geostat.ge>. 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.

2013 წელს მთლიანმა ბრუნვამ ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმის მიხედვით 44 327.9 მლნ. ლარი შეადგინა, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - 35 994.0 მლნ. ლარი, სააქციო საზოგადოება - 4 155.3 მლნ. ლარი; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება - 33.5 მლნ. ლარი; კომანდი-

1 <http://www.economy.ge>
2 <http://www.geostat.ge>
3 <http://www.geostat.ge>

ტური საზოგადოება 9.2 მლნ. ლარი, კოოპერატივი 2.4 მლნ. ლარი, ინდივიდუალური მენარმე 2 693.7 მლნ. ლარი; კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა 1 439.9 მლნ. ლარია.

2013 წელს დამატებული ღირებულება ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმის მიხედვით 12 139.1 მლნ. ლარია, მათ შორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - 8 779.4 მლნ. ლარი, სააქციო საზოგადოება - 1 486.9 მლნ. ლარი; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება - 10.1 მლნ. ლარი; კომანდიტური საზოგადოება 3.5 მლნ. ლარი, კოოპერატივი 0.2 მლნ. ლარი, ინდივიდუალური მენარმე 314.0 მლნ. ლარი; კერძო სამართლის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა 563.3 მლნ. ლარია.¹

ბოლო წლებში ქართულ ბანკებში წინსვლა შეინიშნება კორპორატიული მართვის წესების შესრულების მხრივ. ამის მიუხედავად, ამ სფეროში რამდენიმე სუსტი რგოლი მაინც რჩება. არ არსებობს უწყება, რომელიც შესაბამისი ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობას განახორციელებს.² 2010–2011 წლების „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშიში,“ საქართველოს 139 ქვეყნიდან 78–ე ადგილი უჭირავს კომპანიების კორპორატიული ეთიკის მხრივ.³

ღირებულების მართვა - საკმაოდ ახალი კონცეფციაა კომპანიებისთვის. ბაზრების სწრაფი ზრდის ზეგავლენის გამო მენეჯერები ორიენტირებულნი იყვნენ საბაზრო წილების განაწილებაზე და დიდი ყურადღება არ დაუთმეს ღირებულების მართვას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში მენეჯერები უფრო ინტერესდებიან მართვის ახალი მიდგომებით, რომელიც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას ბიზნესის ღირებულების მდგრადი ზრდა. აღნიშნული საკითხი ინარჩუნებს აქტუალობას კონკურენტუნარიანობის პირობებშიც.

კომპანიებისთვის, რომლებიც განახორციელებენ ეკონომიკური ღირებულების მართვის მეთოდებს, მთავარი ფაქტორი მენეჯმენტის მხარდაჭერა და ასევე, თანამშრომლების მიერ ღირებულების საფუძველზე მართვის კონცეფციის გაგების უზრუნველყოფაა. მართლაც, სრულყოფილი სასწავლო-განმარტებითი მუშაობა დენერგის შედეგზე დადებით გავლენას მოახდენს, ხოლო სწავლების არქონა შესაძლებელია წარუმატებლობის მიზეზი გახდეს. ეკონომიკური ღირებულების მართვა კომპანიებისათვის ძალიან აქტუალურია, რადგან ღირებულებების მართვის მიდგომების გამოყენება არის კომპანიის ღირებულების ზრდის პოტენციალი. ჩვენი აზრით, ღირებულების მართვის სისტემის გამოყენებით მიღებული სარგებელი არსებითი უნდა იყოს კომპანიებისათვის. წარმატების მთავარი ფაქტორი ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერაა, ხოლო მხარდაჭერის არარსებობა დიდი ალბათობით არის რისკის ფაქტორი.

იმ ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკური მოგების შექმნაზე და კომპანიის შიდა ღირებულებაზე, მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლების შერჩევა, რომლებიც ახასიათებენ კორპორატიულ მართვას და საკუთრების კონცენტრაციის სტრუქტურას და დონეს, კერძოდ:

- გაყიდვების მაღალი რენტაბელობა;
- კაპიტალის სტრუქტურა: კომპანიის ნასესხები და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა;
- კომპანიის ამონაგების ზრდის ტემპი;
- გაყიდვების რენტაბელობა, კომპანიის რენტაბელობა EBIT-ის (მოგება პროცენტებამდე და გადასახადებამდე) მიხედვით;

- აქტივებზე ნორმირებული საქმიანი რისკი;
- კომპანიის სიდიდე - კომპანიის მთლიანი აქტივები;
- აქციონერთა შორის უცხოელი აქციონერების არსებობა;
- დამოუკიდებელი დირექტორების წილი დირექტორთა საბჭოში;
- სახელმწიფო საკუთრება: სახელმწიფოს, როგორც აქციონერის არსებობა;
- დარგობრივი ფაქტორები: კუთვნილება განსაზღვრული დარგისადმი.

ეკონომიკური მოგების შექმნაზე და კომპანიის შიდა ღირებულებაზე დადებით გავლენას ახდენს:

- გაყიდვების რენტაბელობა: ოპერაციული რენტაბელობის ზრდის დროს იზრდება საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობაც;
- ზრდის ტემპები: კომპანიის ამონაგების ზრდის ტემპი იწვევს საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის ზრდას;
- უცხოელი ინვესტორები: კომპანიის საკუთრებაში არსებული წილი, რომელიც ეკუთვნის უცხოელ ინვესტორებს, დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკური მოგების შექმნაზე;
- აქტივებზე ნორმირებული საქმიანი რისკი: საქმიანი რისკი, ერთი მხრივ, უკავშირდება დაბანდების რისკიანობას, მაგრამ, მეორე მხრივ, კომპანიების სწრაფ ზრდას, რაც განსაზღვრავს ღირებულებაზე მის დადებით გავლენას;
- დამოუკიდებელი დირექტორების რაოდენობა (წილი) დირექტორთა საბჭოს შემდაგენლობაში. დამა-

1 <http://www.geostat.ge>

2 <http://transparency.ge/nis/node/51>

3 World Economic Forum, The Global Competitiveness Report 2010-2011, 382.

ტებით დამოუკიდებელი დირექტორის ჩართვა საბჭოში ზრდის ეკონომიკურ მოგებას;

- საკუთრების კონცენტრაციის მაღალი დონე (აქციების წილი კომპანიის სამი უმსხვილესი აქციონერის ხელში) - საკუთრების კონცენტრაციის გაზრდა გამოიწვევს საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის გაზრდას;

- მსხვილ კომპანიებს აქვთ ეკონომიკური შემოსავლის უფრო მაღალი დონე. მნიშვნელოვანია კომპანიის მთლიანი აქტივების კაპიტალის სიდიდე, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკური მოგებაზე.

ეკონომიკური მოგების შექმნაზე და კომპანიის შიდა ღირებულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს:

- დირექტორთა საბჭოში მონაწილეების დიდი რაოდენობა - რაც აიხსნება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წარმოშობილი პრობლემებით;

- ინსტიტუციონალური ინვესტორების არსებობა - ინსტიტუციონალური ინვესტორების საკუთრების წილის გაზრდა იწვევს ეკონომიკური შემცირებას.

აღნიშნული ფაქტორები - დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებლობა და სიდიდე, საკუთრების კონცენტრაცია უმსხვილესი აქციონერებისა და ინსტიტუციონალური ინვესტორის ხელში, ასევე, კომპანიის სიდიდე, მისი რისკის დონე და კაპიტალის სტრუქტურა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ კომპანიის ეკონომიკური მოგების ფორმირება.

ღირებულების მართვის პრინციპის დანერგვის ინიციატორები, როგორც წესი, უნდა იყვნენ აქციონერები - რაც მიანიშნებს მართვისა და გამჭვირვალობის მაღალ ხარისხზე, რაც მენეჯერებს მისცემს მსგავსი მართვის სისტემის სრულფასოვანი გამოყენების საშუალებას. ღირებულების მართვა ვერ დაინერგება, თუ მენეჯმენტი არ გამოიყენებს ღირებულების არჩეულ პარამეტრებს ყოველდღიური გადაწყვეტილებების მისაღებად. აუცილებელია მოვახდინოთ მოტივირება ღირებულების შესაქმნელად, კერძოდ, ხელმძღვანელობისთვის შემუშავდეს ღირებულებაზე დაფუძნებული მოტივაციის სისტემა; ხოლო თანამშრომლებისათვის შემუშავდეს ღირებულებაზე დაფუძნებული ბონუსების სისტემა და ასევე, დაინერგოს საქმიანობის შედეგების შეფასების პროცესები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ღირებულების მართვის ამოცანა. ზოგადად, კომპანიების უმეტესობაში შესაძლებელია ღირებულებების მართვის მეთოდების დანერგვა, თუ ძირითადი მოთხოვნები ამ მეთოდების გამოყენებისათვის იქნება დაცული, კერძოდ:

- ორგანიზაციული სტრუქტურა - კომპანიებში გამოყოფილ უნდა იქნეს ცალკეული ერთეულები - მოგების ცენტრები, რომელთა ხელმძღვანელებიც პასუხისმგებლები იქნებიან მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე;



- კომპანიებში ძირითადი და აუცილებელი ინფორმაციის მონაცემთა შეგროვების სისტემები, სიხშირეთა ანალიზი და ანგარიშების ფორმირების მოცულობა მოიცავენ ღირებულების პარამეტრებს. აუცილებელია, მხოლოდ მათი უტყუარობის დონის ამაღლება, რაც შესაძლებელია ანალიზის დეტალიზაციით;

- ღირებულების მაჩვენებლები ამა თუ იმ დონეზე არსებობს კომპანიების მართვის სტრუქტურებში, მომდევნო ნაბიჯი კი უნდა იყოს მათი ჩაშლა ოპერაციების დონეზე და ასევე, უნდა მოხდეს გამოყენებული საანგარიშსწორებო მონაცემების სისრულე და სანდოობის უზრუნველყოფა.

კორპორაციების მიერ ბიზნესის მართვა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მოქალაქეთა კეთილდღეობაზე და სოციალურ პრობლემატიკაზე. კორპორატიული მართვის სისტემა დამოკიდებულია, როგორც მარეგულირებელ ნორმებზე, ასევე ტრადიციებზე და სოციალურ ფასეულობებზე. კორპორაციული მართვა, როგორც წესი, განსხვავებულია, როგორც ქვეყნების, ისე კომპანიების ტიპის მიხედვით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური ღირებულების მართვის ამოცანა, რადგან ღირებულებების მართვის მიდგომების გამოყენება არის კომპანიის ღირებულების ზრდის პოტენციალი. ღირებულებაზე დაფუძნებული მართვა - კომპანიის მართვის სისტემაა, რომლის მიზანია ღირებულების მაქსიმიზაცია და შესაბამისად, სისტემის შექმნის მიზნები, რესურსების განაწილების პროცესი, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების შეფასება ეფუძნება დამატებული ეკონომიკური ღირებულების მაჩვენებელს.

სათუნა ბარბაქაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, თბ., 1995
2. <http://www.geostat.ge> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მენარმეობა საქართველოში, თბ., 2014
3. <http://www.economy.ge>
4. ჯეიმს ს. ვან ჰორნი; ჯონ მ. ვახოვიჩი, უმც. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009
5. <http://transparency.ge/nis/node/51>
6. World Economic Forum, The Global Competitiveness Report 2010-2011

ABOUT CORPORATE MANAGEMENT AND PROPERTY INDICES

Khatuna Barbakadze

Faculty of Economics and Business at TSU
Associate Professor

SUMMARY

Development of private sector and enterprise is as important for the economy of the country as property protection, which should be ensured by proper basis of legal framework. As usually investor will not invest in a country, where does not exist effective control and protection mechanism of ownership. This is the reason why importance of corporate management has become so actual.

The efficient performance of companies depends on the quality of corporate management and its main body - the board of directors' activities, as well as on regulatory norms, traditions and social values. Corporate management is different by countries and types of companies. What kind of management bodies exist in the country, what are their rights, competence and responsibilities, these are key issues in order to attract investments.

Economic cost management task is very actual for companies in market economy conditions, because usage of value management approaches is the potential of company value growth. In our opinion, profit received from usage of value management system is essential for companies. The key factor of success is active support of management and lack of support is most likely the risk factor.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მზღვეველის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულებისთვის, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიას ჰქონდეს ე.წ. „გადახდისუნარიანობის მარჟა“, ე.ი. აქტივების სიჭარბე ვალდებულებებთან შედარებით. გადახდისუნარიანობის ფინანსურ გარანტიებად აღიარებულია სადაზღვევო კომპანიის საკუთარი კაპიტალი.



გადახდისუნარიანობის მარჟის პირველი კონცეფცია აღმოცენდა დიდ ბრიტანეთში¹ 1946 წელს, სადაც მითითებულია, რომ სადაზღვევო კომპანიებში, რომლებიც სპეციალიზდებიან სადაზღვევო მომსახურებაზე სიცოცხლის დაზღვევის გარდა, აქტივები ვალდებულებებს უნდა აღემატებოდნენ სადაზღვევო პრემიის სიდიდის 10%-ის ოდენობით. გადახდისუნარიანობის რისკი მით უფრო მეტია, რაც უფრო სუსტად რეგულირდება ბაზარი. მაგალითად შვედეთში არ არის დაფიქსირებული მზღვეველთა გადახდისუნარიანობის არც ერთი შემთხვევა.²

ევროკავშირის კონცეფციის სადაზღვევო ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის შესახებ, ევროკავშირის პირველი საკოორდინაციო დირექტივის თანახმად, 1973 წლის 24 ივლისიდან ყოველი სადაზღვევო კომპანია, სიცოცხლის დამზღვევი სადაზღვევო კომპანიების გარდა, ვალდებულია ჰქონდეს:

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისი ტექნიკური რეზერვები, რომლის სიდიდე და განთავსების წესი განისაზღვრება დამოუკიდებლად მონაწილე ქვეყნის მიერ.
2. გადახდისუნარიანობის რეზერვი (მარჟა), როგორც დამატებითი ფინანსური გარანტია, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ვალდებულებებისგან.
3. საგარანტიო ფონდი, რომელიც შედგება ვალდებულებებისგან თავისუფალი ქონებისგან, სიდიდით გადახდისუნარიანობის რეზერვის 1/3-მდე. ეს ფონდი იქმნება იმისთვის, რომ გადახდისუნარიანობის რეზერვი საქმიანობის პროცესში ზღვარზე დაბლა არ დაეშვას.

სადაზღვევო ბაზრისთვის აქტუალური საკითხია სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სადაზღვევო ბაზრის განვითარების, რადგან სან-

დო და სტაბილურად მომუშავე კომპანიებს შეუძლია პოტენციური კლიენტების მოზიდვა, განსაკუთრებით დაზღვევის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა: სიცოცხლის დაზღვევა.

1980 წლებში ფინეთში და შემდგომ დიდ ბრიტანეთში შეიქმნა „Finnish Solvency Working Party“ და „British Solvency Working Party“, რომლების მიზანი იყო სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შესწავლა, რომელთა მიზანი იყო სადაზღვევო პროცესის მოდელის შექმნა და ამ მოდელის მეთოდის შესწავლა. ამასთან შემუშავდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ახალი სტანდარტები „Finnish Solvency Working Party“ და „British Solvency Working Party“-ს საფუძველზე.

2002 წელს ევროკავშირის 2002/12 და 2002/13 დირექტივების შესაბამისად აღნიშნულ კონცეფციაში შევიდა შესწორებები.³ პირველი დირექტივა შეიცავს, სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის ნორმატივის და სადაზღვევო კომპანიის გარანტირებული ფონდის გაანგარიშების მეთოდის კას.

მზღვეველთა გადახდისუნარიანობაზე კონტროლი საშუალებას აძლევს საზედამხედველო ორგანოს ადრეულ სტადიაზე გამოავლინოს პრობლემური შემთხვევები და დაიცვას დამზღვევები. გადახდისუნარიანობის რეგულირებაზე Solvency-ის მიერ მიღებულ იქნა მოთხოვნები 2002 წელს, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წელს. რომლის საფუძველზე გაიზარდა მინიმალური საგარანტიო ფონდი, შეიცვალა ლიკვიდური კაპიტალის სტრუქტურა. გაძლიერდა კონტროლი მზღვეველებზე, ვინაიდან დადგინდა გადახდისუნარიანობისადმი მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა, გაფართოვდა საზედამხედველო ორგანოების უფლებები, მზღვეველის საქმიანობაში ჩარევის თვალსაზრისით.

1 Theory and Practice of insurance. Francois Outreville. Kluwer Academic Publishers. 1997.

2 Sigma No7. 1995. Zurich. Swiss Re.

3 Solvency Control Levels, Draft Guidance Paper, IAIS Subcommittee on Solvency and Actuarial Issues, Draft version 24 June 2002.

Solvency I - არის მარტივი და გასაგები სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ერთმანეთს შეუდარდეს სხვადასხვა კომპანიის შედეგები. თუმცა გააჩნია ნაკლოვანებებიც, როგორცაა: აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება არ ემყარება საბაზრო პრინციპებს; გამოყენებული სიდიდეები - პრემიები და გადახდები - დაზღვევაში (სიცოცხლის დაზღვევის გარდა), მათემატიკური რეზერვები, რისკისქვეშ მყოფი კაპიტალი, სიცოცხლის დაზღვევისას - სრულად არ შეესაბამება ანდერრეიტინგული რისკის შეფასების კორექტირებას; გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჯა არ მოიცავს საინვესტიციო რისკს; მხედველობაში არ მიიღება რისკების დივერსიფიკაცია, რისკების გაცემის გარკვეული ფორმები, დამოკიდებულება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის; გადაზღვევის გათვალისწინება შეზღუდულია. რისკების გადაცემა ისევე როგორც გადამზღვევის კრედიტუნარიანობა არასაკმარისად გაითვალისწინება.¹

2001 წელს ევროკომისიამ დაიწყო პროექტის Solvency II-ის განხორციელება სადაზღვევო კომპანიებზე ზედამხედველობის ევროპული სისტემის გადახედვის მიზნით.²

იგი მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

ფასდება სადაზღვევო კომპანიის საერთო ფინანსური სტაბილურობა; გამოიყენება დაზღვევაში ადაპტირებული სამ საფეხურიანი სტრუქტურა ბანკებისთვის, ბაზელის ნორმატივების ანალოგიურად; შეფასება ხორციელდება სარისკო მიდგომის მეშვეობით, რაც მზღვეველებს განაწყობს პროფესიონალურ დონეზე მართონ იგი, და შემდგომში გამოყონ საკუთარი მოდელები.

Solvency II უნდა შეესაბამებოდეს შეფასების და ანგარიშგების სტანდარტებით IASB-ს მოთხოვნებს (IASB – ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო); ამის გარდა, იგი უნდა შეესაბამებოდეს AIAIS-ის (სადაზღვევო ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაცია) და IAA-ს (საერთაშორისო აქტუალური ასოციაცია) მოთხოვნებს.³ Solvency II-ის სისტემა ბაზელის წესების ანალოგიურად გულისხმობს მოთხოვნების სამ ჯგუფს: ნორმატიული კაპიტალის რაოდენობრივი განსაზღვრა; ხარისხობრივი მოთხოვნები, კონტროლის პროცედურები საზედამხედველო ორგანოების მხრიდან; მოთხოვნებს უყენებს საბაზრო გამჭვირვალობას.

სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის მინიმალური დონისადმი მოთხოვნა სხვადასხვა ქვე-

ყანაში უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და პრაქტიკულად 20%-ის ფარგლებში თავსდება.

გარდა აღნიშნული მაჩვენებლისა გამოიყენება საკუთარი სახსრების დაფარვის საკმარისობის დონის მაჩვენებელი (Capital Adequacy Ratio ან (AR)), რომელიც გამოითვლება როგორც სხვაობა სადაზღვევო ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის ფაქტიურ დონესა და მის ნორმატიულ სიდიდეს შორის:

$$CAR = \frac{U_f - U_n}{U_n} \cdot 100\%$$

სადაც $U_f(n)$ - გადახდისუნარიანობის ფაქტიური (ნორმატიული) დონე.

სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა მიიღწევა მაშინ, როცა საკუთარი სახსრების ფაქტიური სიდიდე შეესაბამება ნორმატიულს. საკუთარი სახსრების გადახდისუნარიანობის ნორმატიული სიდიდე განისაზღვრება სამი მაჩვენებლით:

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის შეფასებისას მიუხედავად იმ ქვეყნისა, რომელშიც იგი მუშაობს, Standard & Poor's-მა გამოიყენა ერთი და იგივე კატეგორიები. ეს კრიტერიუმები, დაჯგუფებულია რეიტინგული ანალიზის რვა მიმართულების მიხედვით, და როგორც წესი, ითვალისწინებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დარგობრივ, სამენარმეო და ფინანსურ რისკებს (Insaranse Criteria: Property / Casaalty Edition Ratings Pirect, საკრედიტო ანალიტიკურ სისტემაში Standard & Poor's). ამის გარდა Standard & Poor's ასევე იხილავს თუ რა გავლენას ახდენს ქვეყნის და რეგიონალური ფაქტორები მზღვეველის საოპერაციო საქმიანობაზე.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობა მიიღწევა ანაზღაურებული სანესდებო კაპიტალით, რომელიც სადაზღვევო რეზერვებით მიღებული ვალდებულებების ადექვატურია. მზღვეველის ფინანსური მდგრადობის, მისი საიმედობის მაჩვენებელია გადახდისუნარიანობა.

ფინანსური ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკით შემოთავაზებული ფინანსური კოეფიციენტებია :

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს სანარმოს მესაკუთრეთა წილს მის საქმიანობაში ავანსირებული საშუალებების საერთო ოდენობაში. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0.5 – 0.8 ფარგლებში მერყეობს. რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ფინანსურად, მით უფრო მდგრადია სანარმო. საერთოდ, მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალეები საკუთარი სახსრებით დაიფარება. აღნიშნული მაჩვენებელი სანარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / ბალანსის აქტივების ჯამი.

1 Principles on Capital Adequacy and Solvency. IAIS Solvency and Actuarial Issues Subcommittee, 2002.

2 Principles on Capital Adequacy and Solvency. IAIS Solvency and Actuarial Issues Subcommittee, 2002.

3 Solvency Control Levels, Draft Guidance Paper, IAIS Subcommittee on Solvency and Actuarial Issues, Draft version 24 June 2002.

ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი მიუთითებს ქონების რა ნაწილია შექმნილი ნასესხები წყაროების ხარჯზე და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი = ნასესხები წყაროები / ბალანსის აქტივების ჯამი. სასურველია მისი მნიშვნელობა 0,5-ზე ნაკლები იყოს.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი თავისი ეკონომიკური შინაარსით სანარმოს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის რეალური შესაძლებლობის მახასიათებელია და იგი გაიანგარიშება, როგორც მიმდინარე აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის სხვაობის თანაფარდობა საბრუნავი აქტივების ჯამთან. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი = (მიმდინარე აქტივები-მოკლევადიანი ვალდებულებები) / საბრუნავი აქტივების ჯამი.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციური შესაძლებლობის მახასიათებელია და საბრუნავი და ბრუნვის გარეშე აქტივების თანაფარდობით გაიანგარიშება. თუ აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 0,5-ის ტოლია ან მეტია, მაშინ ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა დარღვეული არ არის და აქედან გამომდინარე, სანარმოს ფინანსურ მდგომარეობას გაუარესების საშიშროება არ ემუქრება.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი = საბრუნავი აქტივები / გრძელვადიანი აქტივები.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისთვის გამოყენებული საკუთარი საბრუნავი კაპიტალის წილს, ანუ საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში. თავად ამ კოეფიციენტის ნორმალური სიდიდე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული და განისაზღვრება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან. მისი საშუალო ნორმატიული მაჩვენებელი მეტია ან ტოლი 0,5-ის.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიცი-

ენტი = საკუთარი საბრუნავი სახსრები / საკუთარი კაპიტალი.

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი ზოგადად ახასიათებს სანარმოს ფინანსურ სტრუქტურას და მდგრადობას. რაც უფრო მეტია საკუთარი სახსრების წილი კაპიტალში, მით უფრო დაბალია კომპანიის ფინანსური რისკები. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით მოვლენად ითვლება. კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია, წინააღმდეგ შემთხვევაში სანარმოს ფინანსური მდგომარეობა არასაიმედო ხდება. მისი გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / ნასესხები კაპიტალი.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით დაფინანსების წყაროების მთლიან ჯამთან და გვიჩვენებს საკუთარი სახსრების ხვედრით წილს დაფინანსების წყაროების საერთო ოდენობაში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ტოლია, ვინაიდან გაანგარიშებაში ერთი და იგივე სიდიდეები მონაწილეობს. (აქტივების და მათი დაფინანსების წყაროების სახით).

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი/დაფინანსების წყაროების მთლიანი ჯამი.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს. მაჩვენებლის ზრდა ნასესხები სახსრების ზრდაზე მიუთითებს, რაც სანარმოს ფინანსურ სტაბილურობას საფრთხის წინაშე აყენებს. თუ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთამდე დაეცა, ეს ნიშნავს, რომ ქონებას სრულად აფინანსებენ მესაკუთრეები. მისი გაანგარიშება ხდება ფორმულით:

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი = მთლიანი აქტივები/საკუთარ კაპიტალი.

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფ-



იცინტი მიუთითებს, გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარე ინვესტიორების მიერ და რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო დამოკიდებულია საწარმო გარე ინვესტიორზე.

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი = გრძელვადიანი ვალდებულებები / გრძელვადიანი აქტივები.

საწარმოს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას ახასიათებს ნასესხები სახსრების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი, რომელიც სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური ლევერიჯის სახელითაა ცნობილი და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

ფინანსური ლევერიჯი = გრძელვადიანი ვალდებულებები / (საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები).

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი განსაზღვრავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს გამოყენებული კაპიტალის თანხაში და მისი ზრდა დინამიკაში უარყოფითი მაჩვენებელია. გამოიყენება ფინანსური ლევერიჯის რამდენიმე ფორმა, კერძოდ:

ფინანსური ლევერიჯი = (სესხები + პრივილეგიური კაპიტალი) / (მთლიანი აქტივები - მოკლევადიანი ვალდებულებები).

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია. რაც უფრო მეტია ნასესხები წყაროების ხვედრითი წილი, მით მეტი იქნება ამ სეს-

ხებზე გადასახდელი პროცენტების ოდენობა. შესაბამისად, უარესდება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი. ფინანსური ლევერიჯის დონის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მოგებისა და ფულადი ნაკადის ზრდის ტემპები.

ფინანსური ლევერიჯის კატეგორია დაკავშირებულია ფინანსურ რისკთან, რომელიც არსებობს გრძელვადიან ვალდებულებებზე პროცენტის გადახდისთვის საჭირო სახსრების უკმარისობის გამო. ფინანსური ლევერიჯის ზრდა საწარმოს ფინანსური რისკის ზრდას მოასწავებს. წმინდა მოგება დაბალი იქნება იქ, სადაც ფინანსური ლევერიჯი მაღალია. თუ საწარმოს საქმიანობა მთლიანად საკუთარი სახსრებითაა დაფინანსებული, მაშინ ფინანსური ლევერიჯი ერთის ტოლია. ამ დროს რისკი არ არსებობს, ხოლო მოგების ცვლილება მთლიანად რეალიზაციის მოცულობის ცვლილებით, ანუ საწარმოო პირობებითაა გამოწვეული.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არის მისი ფინანსური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი, ფინანსური რესურსების და კაპიტალის გამოყენების, ვალდებულებების შესრულების სრულყოფისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის წინაშე.

ნატო კაკაშვილი -
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე თბ., 2012
2. theory and Practice of insurance. Francois Outreville. Kluwer Academic Publishers. 1997.
3. Solvency Control Levels, Draft Guidance Paper, IAIS Subcommittee on Solvency and Actuarial Issues, Draft version 24 June 2002.
4. Principles on Capital Adequacy and Solvency. IAIS Solvency and Actuarial Issues Subcommittee, 2002.
5. Solvency Control Levels, Draft Guidance Paper, IAIS Subcommittee on Solvency and Actuarial Issues, Draft version 24 June 2002.

INDICATORS OF FINANCIAL STABILITY FOR THE INSURANCE COMPANIES.

Nato Kakashvili - TSU Professor

SUMMARY

In order to performance their financial obligations by insurer, it is necessary to have the insurance company “Solvency margin”, iesurplus of assets to liabilities. Financial guarantees are recognized as a solvency of the insurance company’s own capital.

Current issue of insurance companies is a financial stability and solvency in the insurance market, which is an important factor in the development of the insurance market, because reliable and stable companies can attract potential customers, especially in the vital areas of insurance, such as life insurance.

The insurance company’s financial condition is an indicator of its financial competitiveness, financial resources and the use of capital, and other economic activities to improve the performance of obligations.

საერთაშორისო რეიტინგებში ახსნული საქართველო

მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა განვითარების შესაფასებლად და გასაზომად ეფუძნება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლებს, არამედ განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორების შეფასებასაც. დღევანდელ ცვალებად სამყაროში რეიტინგებსა და ინდექსებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი აქვეყნებს, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალიზაციის ფონზე, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში სრულიად ახალი ტიპის კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდა.


საერთაშორისო ორგანიზაციები მთავრობებს სთავაზობენ სხვადასხვა ინდექსების მეშვეობით შეაფასონ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებები. მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოყენება არ ცვლის ცხოვრების დონის შეფასების მაჩვენებლებს, მათი მნიშვნელობა აიხსნება სურვილით, რომ სახელმწიფოებს დაანახონ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა: წარმატებები და ნაკლოვანებები, რომ დასახონ სამომავლო პერსპექტივები.

ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ სამ მნიშვნელოვან ინდექსზე: **ბიზნესის კეთების სიმარტივე, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი**. პირველი ორი არა მხოლოდ სპეციალისტებისთვის, არამედ მოსახლეობისთვისაც კარგად არის ცნობილი, ხოლო ბოლო ინდექსზე მხოლოდ აკადემიურ წრეებში მსჯელობენ

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსს ამუშავებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი შემადგენელი სტრუქტურა. აღნიშნული ინდექსი ძირითადად ორიენტირებულია პოტენციურ ინვესტორებზე, რათა მათ შეექმნათ ნათელი წარმოდგენა სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის წარმოების პროცესზე. ინდექსი აგებულია ათი მაჩვენებლის საფუძველზე, რომლებსაც თანაბარი წონები აქვთ მინიჭებული. ეს მაჩვენებლებია: **ბიზნესის დაწყება; სამშენებლო ლიცენზიების რაოდენობა; მუშაკთა დაქირავება; საკუთრების რეგისტრაცია; კრედიტის აღების შესაძლებლობა; ინვესტორთა დაცვა; გადასახადების გადახდა; საზღვრისპირა ვაჭრობა; კონტრაქტების შესრულება; ბიზნესის დახურვა**. თავისთავად ცხადია, რომ სხვადასხვა მაჩვენებლები სხვადასხვა ერთეულებში იზომება.

პირველი კვლევაში მონაწილეობას, რომელიც 2004 წლიდან იღებს სათავეს, იღებდა 133 ქვეყანა და მოიცავდა მხოლოდ 5 სფეროს. ყოველწლიურად ქვეყნების რიცხვის ზრდის შედეგად, იზრდებოდა იმ სფეროების მოცვა, რომელიც ქვეყნების საერთო რეიტინგს განსაზღვრავდა. შედეგად 2014 წელს გამოქვეყნებული ანგარიში მოიცავს 189 ეკონომიკის 10 მაჩვენებელს. ამ 189 ქვეყნიდან აფრიკას წარმოადგენდა 47 ქვეყანა; ლათინური ამერიკას და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებს 33 ქვეყანა; ევროპას და ცენტრალური აზიას 25 ქვეყანა; აღმოსავლეთი აზიას და წყნარი ოკეანის ქვეყნებს: 25 ქვეყანა; შუა აღმოსავლეთს და ჩრდილოეთი აფრიკს: 20 ქვეყანა; სამხრეთ აზიას: 8 ქვეყანა; OECD-ის მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს: 31 ქვეყანა.

დიაგრამა : საქართველოს პოზიცია “ბიზნესის კეთების სიმარტივის” რეიტინგში 2006-2015 წლებში¹



1 საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო: <http://economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia>

საქართველო „ბიზნესის კეთების რეიტინგში“ რეგულარულად 2006 წლიდან ხვდება. თავდაპირველად იგი 112-ე ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა მისი რეიტინგი ყოველწლიურად უმჯობესდებოდა და უკვე 2007 წელს მნიშვნელოვანი ნინსვლა განიცდა, დაწინაურდა რა მთელი 75 ადგილით და საბოლოოდ 37-ე ადგილზე მთელ მსოფლიოში. აღნიშნული ნახტომისებური ცვლილება რეიტინგში ძირითადად განპირობებული იყო იმ რეფორმების კურსით, რაც 2004-2005 წლებში განხორციელდა. მოყოლებული 2005 წლიდან ქვეყანაში 36 ძირითადი რეფორმა განხორციელდა, რომელიც ეხებოდა, როგორც ინსტიტუციურ, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით და გაუმჯობესებული პოზიცია ყველა მაჩვენებლებში შეინიშნება.

ცხრილი 1: საქართველოს პოზიცია „ბიზნესის კეთების რეიტინგში“ 2015 წელს: ¹

	პოზიცია 2015 წელს	კომპონენტის ქულა	პოზიცია 2014 წელს	კომპონენტის ქულა
ბიზნესის კეთების რეიტინგი	15	79.46	14	79.61
ბიზნესის დაწყება	5	97.73	4	97.72
სამშენებლო ნებართვების გაცემა	3	91.44	3	91.43
ელექტროენერჯით მომარაგება	37	84.69	36	84.64
ქონების რეგისტრაცია	1	99.88	1	99.84
კრედიტების აღება	7	85.00	5	85.00
მინორიტატული ინვესტორთა დაცვა	43	60.83	43	60.83
გადასახადების გადახდა	38	82.76	22	86.99
ვაჭრობა საზღვრებს შორის	33	84.02	31	84.08
კონტრაქტების დაცვა	23	71.82	23	71.82
გადახდის უუნარობა	122	36.48	130	33.68

საქართველომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში „ბიზნესის კეთება 2015“, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით, მსოფლიოში მე-15 ადგილი დაიკავა. საქართველოს მაჩვენებლები ორ ძირითად ჯგუფად უნდა დავყოთ. პირველი ოთხი მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენ ექვს მაჩვენებელში მისი შედეგები გაცილებით უარესია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი ოთხი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ადმინისტრირების პროცესთან მათი გაუმჯობესება პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში შესაძლებელი იყო. შედეგად, გატარებულმა რეფორმებმა დადებითი შედეგი გამოიღო. დანარჩენი მაჩვენებლები სიღრმისეულ ეკონომიკურ რეფორმებს მოითხოვენ, რომელთა განხორციელება დროის მოკლე პერიოდში საკმაოდ რთულია, ხოლო მეორეს მხრივ, მათი შედეგები ეკონომიკაზე მყისიერად არ აისახება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა შეჩერდეს ორი მაჩვენებლის ამკარა განსახვავებაზე. საქართველოში ბიზნესის დაწყება საკმაოდ ადვილია, ხოლო ბიზნესის დახურვას ყველაზე ცუდი მაჩვენებელი გააჩნია ქვეყანას. თავისი არსით, ორივე ეს მაჩვენებელი ადმინისტრირების სფეროს მიეკუთვნება. ლეალურად თუ ვისმჯელებთ, ბიზნესის დაწყება მიეკუთვნება დისციპლინურ ადმინისტრირებას, ანუ ბიზნესის დაწყება რეგულირდება ლიცენზიებითა და ნებართვებით, შესაბამისად ლიცენზიებისა და ნებართვების გაუქმება ამარტივებს ბიზნესის დაწყების პროცესს. ბიზნესის დახურვა კი მაკონტროლებელი ადმინისტრირების სფეროა და აქ მხოლოდ ნებართვების ან ლიცენზიების შემცირებით შეუძლებელია პროცესის გამარტივება. განსხვავება ადმინისტრირების ამ ორ ფორმას შორის ამკარად მიანიშნებს თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს განსხვავება ასევე ადასტურებს თუ რატომ არის საქართველოს განმაზოგადებელი ეკონომიკური მაჩვენებელი მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ამკარა დისონანსში იმ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებსაც ამ ინდექსით დაახლოებით საქართველოს მსგავსი მაჩვენებელი აქვთ.


ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშებას აწარმოებენ ისეთი ცნობილი და ავტორიტეტული ორგანიზაციები, როგორცაა: **ჰერიტეჯის ფონდი და უოლსტრიტ ჟურნალი** (Heritage Foundation & Wall Street Journal). ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აგებულია თავისუფლების ათ პრინციპზე: **ბიზნესის; ვაჭრობის; ფისკალური; სამთავრობო დანახარჯები; მონეტარული; საინვესტიციო; ფინანსური; საკუთრების უფლებები; კორუფცია და სამუშაო ძალა.**

2014 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსმა 178 ქვეყანა მოიცვა, მათ შორის: ევროპა 43 ქვეყანა; აზიისა

1 http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2015_geo_1.pdf

და წყნარი ოკეანის აუზის 42 ქვეყანა; ჩრდილოეთ ამერიკის 3 ქვეყანა; სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის 29 ქვეყანა; ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილო აფრიკის 15 ქვეყანა და აფრიკის 46 ქვეყანა.

დიაგრამა 1: საქართველოს პოზიცია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 1996-2014 წლებში¹



დადებითი ტენდენციით ხასიათდება ქვეყნის საერთო რეიტინგი. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ მაჩვენებელთა ორი ჯგუფი — **დაბალი და მაღალი მაჩვენებლები**. ამ უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოთ კორუფცია და საკუთრებითი უფლებები, რაც ძირითადად განხორციელდა ადმინისტრირების გაუმჯობესების ხარჯზე, კერძოდ, ძალიან სწრაფი ლიბერალიზაციით საქართველომ მიაღწია რამდენიმე მაჩვენებლის მიხედვით ძალიან კარგ შედეგებს, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, კერძოდ, 22-ე ადგილი მსოფლიოში და მე-12 ვეროპაში საშუალო ქულით 72.6 აღემატება 5.5 ქულით ვეროპის რეგიონის საშუალო ქულას (67.1). ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველო აღმოჩნდა უმეტესად თავისუფალ ქვეყანათა ჯგუფში

ცხრილი: 2: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მისი შემადგენელი კომპონენტების Heritage Foundation-ის მიხედვით²

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	69.2	69.7	70.4	70.4	69.4	72.2	72.6
ბიზნესის თავისუფლება	85.0	85.0	87.9	87.3	86.9	90.6	87.8
სავაჭრო თავისუფლება	71.0	80.6	89.1	89.2	89.2	89.2	88.6
ფისკალური თავისუფლება	90.7	86.8	89.1	87.5	87.8	88.2	87.3
სახელმწიფო ხარჯები	81.3	74.6	65.0	60.3	55.8	68.9	69.7
მონეტარული თავისუფლება	71.4	70.9	70.2	76.7	74.2	72.6	78.4
საინვესტიციო თავისუფლება	70.0	70.0	70.0	70.0	70.0	75.0	80.0
ფინანსური თავისუფლება	60.0	60.0	60.0	60.0	60.0	60.0	60.0
საკუთრების უფლება	35.0	35.0	40.0	40.0	40.0	45.0	40.0
კორუფციისგან თავისუფლება	28.0	34.0	39.0	41.0	38.0	41.0	42.8
შრომის თავისუფლება	100.0	99.4	93.7	92.1	92.1	91.1	91.2

არსებობს ორი მსხვილი ორგანიზაცია, რომლებიც მსოფლიოში ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანალიზს ახორციელებენ. ეს არის მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი IMD და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum). თითოეული ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად გამოსცემს ანგარიშს (World Competitiveness Yearbook და Global Competitiveness Report), რომელიც მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებსა და კონკურენტუნარიანობას ეძღვნება. ისინი მსოფლიო ტენდენციებისა და ბენჩმარკინგის ანალიზისთვის აუცილებელ მონაცემებს იძლევიან. ზოგივე ანგარიშში სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის შეფასების რთული მეთოდოლოგია გამოიყენება, სა-

1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2 <http://www.heritage.org/index/visualize>

დაც განიხილება ფაქტორების ფართო სპექტრის ერთობლიობა, რომელიც მსოფლიო დონეზე ქვეყნის ნარმატებას განსაზღვრავს და მისი მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები). GCI ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ქვეყნების ეკონომიკის კონკურენტული განვითარების სტადიები (ეტაპები) განისაზღვრება ორი კრიტერიუმის მიხედვით. პირველი კრიტერიუმი ეს არის ქვეყნის მშპ-ს დონე მოსახლეობის ერთ სულზე, ვალუტის საბაზრო კურსის გათვალისწინებით, ხოლო მეორე - ქვეყნის განვითარების დამოკიდებულება ძირითად ფაქტორებზე. პირველი კრიტერიუმის მიხედვით გამოყოფენ სამ სტადიას (ეტაპს):

- **სტადია პირველი: ფაქტორებზე ორიენტირებული 2.000 აშშ დოლარი; პირველი სტადიიდან მეორე სტადიაზე გარდამავალი პერიოდი: 2.000-3.000 აშშ დოლარი;**
- **სტადია მეორე: ეფექტიანობაზე ორიენტირებული 3.000-9.000 აშშ დოლარი; მეორე სტადიიდან მესამე სტადიაზე გარდამავალი პერიოდი: 9.000-17.000 აშშ დოლარი;**
- **სტადია მესამე: ინოვაციებზე ორიენტირებული 17.000 აშშ დოლარი.**

მეორე კრიტერიუმის მიხედვით, იზომება ქვეყნის განვითარების დამოკიდებულება ძირითად ფაქტორებზე. ამით მიახლოებით გაიანგარიშება ის, თუ ქვეყნის ექსპორტში რა წილი მოდის ნედლეულზე. იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტში სანედლეულო პროდუქცია 70%-ზე მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება განვითარების ისეთ სტადიაზე, სადაც ეკონომიკის ზრდა უზრუნველყოფილია ძირითადად საბაზო ფაქტორებით. ხოლო ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა ამ სტადიებს შორის იმყოფება, ითვლება „გარდამავალი ეკონომიკის“ ქვეყნებად. ჩვეულებრივ, გარდამავალი ქვეყნებისთვის განვითარების მდგენელთა ხვედრითი წილი თანდათან იცვლება და ხდება განვითარების ერთი სტადიიდან მეორეში ნარნარი გადასვლა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსი თანდათანობით „სჯის“ იმ ქვეყნებს, რომლებიც მზად არ არიან ეკონომიკის განვითარების შემდგომ სტადიაზე გადასავლისათვის.

მსოფლიოს კონკურენტუნარიანობის ინდექსის მდგენელები დაჯგუფებულია სამ სუბინდექსში, რომელთაგან თითოეული მნიშვნელოვანია მხოლოდ ეკონომიკის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. ასე მაგალითად, საბაზო მოთხოვნების სუბინდექსი შედგება მდგენელებისგან, რომლებიც გადამწყვეტია იმ ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომი-




კური განვითარება დამოკიდებულია საბაზო ფაქტორებზე (ბუნებრივი რესურსები და სამუშაო ძალა); ეფექტიანობის გამაძლიერებლების სუბინდექსი შედგება იმ მდგენელებისგან (მწარმოებლური კაპიტალდაბანდებები), რომლებიც შედარებით მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ეფექტიანობის ამაღლებაზე. ინოვაციებისა და განვითარების ფაქტორების სუბინდექსი მოიცავს იმ მდგენელებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია გონებრივ, შემოქმედებით შრომაზე და ინოვაციებზე.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის კვლევა საშუალებას მოგვცემს განვათავსოთ თეორიული შეხედულებები ქვეყანათაშორის კონკურენციის თავისებურებებზე და დავაფუძნოთ საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და გლობალური კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციის მიმართულებები.

საქართველოსათვის კონკურენტუნარიანობის ანალიზი IMD-ს საერთაშორისო კვლევებისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ჩარჩოებში პირველად – 1993 წელს ჩატარდა. ეს იყო კვლევა, რომელიც ეძღვნებოდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს. საქართველო გლობალური კონკურენციის მხრივ, მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის 69 - ე ადგილზეა - ასეთია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის ანგარიშის შედეგები, იმყოფება რა ეფექტიანობის მამოძრავებელი ქვეყნების სიაში (2011-2012 წლებში პირველიდან მეორე საფეხურზე გარდამავალი ქვეყნების სიაში იმყოფებოდა). 2014-2015 წლებში საქართველოს მდგომარეობა 2013-14 წლებთან შედარებით: ძირითადი მოთხოვნები 48-ე ადგილი, 4.9 ქულა (გაუმჯობესდა 9 საფეხურით), ეფექტიანობის გამაძლიერებელი 79-ე ადგილი, 3.9 ქულა (გაუმჯობესდა 7 საფეხურით), ინოვაციისა და განვითარების ფაქტორი 118-ე ადგილი, 3.1 ქულა (გაუმჯობესდა 4 საფეხურით).

დიაგრამა: საქართველოს პოზიცია მსოფლიოს კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით¹



თუმცა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენციის ინდექსისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული ასპექტების მიხედვით, საქართველოს გაცილებით უკეთესი ქულები აქვს: მაგალითად, იგი მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით მე-15, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების მხრივ — 22-ე, ევროპაში კი მე-12 ადგილზეა - „მეტწილად თავისუფალ“ კატეგორიაში.

ქვეყნისთვის ამ განსხვავებებს ინვესტავად ინდექსების სპეციფიკა. პირველ ორ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ლიბერალიზაციაზე - ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემოზე, და ზოგადად, ეკონომიკურ თავისუფლებაზე. გლობალური კონკურენციის ინდექსი კი აქცენტს ამ ფაქტორების გარდა, ეფექტიანი მმართველობისთვის აუცილებელ ინსტიტუტებზეც აკეთებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში მიუთითებს, რომ ლიბერალიზაცია და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. ამის მიზეზია ძველი, ანტისაბაზრო ინსტიტუტები, რომელთა დემონტაჟიც აუცილებელია და მათ ნაცვლად საჭიროა ახალი, ეფექტიანი მმართველობისთვის ხელსაყრელი ინსტიტუტების შექმნა.

1 <http://economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia>

ხელისუფლების მიერ ეკონომიკური რეფორმები მიმართული უნდა იყო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ეკონომიკისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომელზეც უნდა დაფუძნდეს ყველა სხვა ეკონომიკური ღონისძიებებიდან მიღებული წარმატებები. ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ბაზისს, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობის ამაღლებას, საქართველოს უკეთეს შიდა, რეგიონულ და საერთაშორისო ინტეგრაციას, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა ქვეყნის პრიორიტეტული დარგების ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მრეწველობა განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალებაა.

მოკლევადიან პერიოდში, იმისთვის რომ მოხდეს უმუშევრობის სწრაფი შემცირება და განხორციელდეს ეკონომიკის სტიმულირება სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მნიშვნელოვანი პროექტები, რომელიც გაითვალისწინებს შრომის ბაზრის კონიუქტურას. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვით ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ერთის მხრივ კერძო სექტორს გაუმჯობესდება გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის და მეორეს მხრივ, შექმნის სამუშაო ადგილებს. ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სახსრების ეკონომიკაში ინვესტირებით, მოხდება ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირება, რაც ბუნებრივად გააჩენს ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს და შექმნის დამატებითი კერძო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას.

ამ ღონისძიებების კონცეპტუალიზაცია შესაძლებელია ერთიან სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკურენტუნარიანობის მუდმივ ზრდაზე. ამავე პროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია ყოველწლიურად დამუშავდეს კონკურენტუნარიანობის ანგარიში და სამოქმედო გეგმა, რაშიც დიდი როლი ეკონომიკის სამინისტროს ეკისრება.

გიორგი ხარშილაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა.

1. **Doing business in 2005** : Removing obstacles to growth / The World Bank. - [Washington : World Bank ; Oxford] : Oxford Univ. press., [2005]
2. **Doing better business through effective public consultation and disclosure** : A Good practice manual / IFC. - [Washington : IFC, 1998]
3. **Doing business, 2010** : reforming through difficult times / a co publication of Palgrave Macmillan, IFC a. The World Bank. - [Washington : World Bank, 2009]
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
5. The Global Competitiveness Report 2014-2015
6. The Global Competitiveness Report 2013-2014
7. <http://www.heritage.org/index/visualize>
8. <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia>

GEORGIA IN INTERNATIONAL RATINGS AND INDEXES

Giorgi Kharshiladze

PhD student of St. Andrew the First-Called Georgian University

Summary

Nowadays, world countries ratings have a great importance. According to this, world leading organizations, such as World Bank, Heritage foundation, Fraser institute annually publishes world countries rating, which are composed of several indicators. In this article is discussed the place of Georgia in three main world's indicators: Indicator of Economic Freedom, the Global Competitiveness Index and the United Nations "doing business" index. The articles analyzes the shortcomings and delays, that the government should consider in order to improve country's future rankings, which will be guarantee that it will be relatively improve Foreign Direct Investments, which in turn guarantee economic growth and reducing unemployment.

ფინანსური რისკების დაზღვევის ტენდენციები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა რთული და მრავალნაზნაგოვანი პროცესია, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების ფორმირება-ამოქმედებასა და მათი ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობასთან.



გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში წარმოშობილი მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დღის წესრიგში აყენებს მათი გადაწყვეტისთვის ყველაზე მოქნილი და ეფექტიანი გზების ძიებას. საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმირების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ერთი მხრივ, ბაზრის, როგორც ეკონომიკური სისტემის, უპირატესობათა მაქსიმალური გამოვლენა და საბაზრო ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირება-ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკურად მიზანშეწონილი მასშტაბებით განხორციელება იმ ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც განვითარების მოცემულ ეტაპზე ყველაზე მეტად მიესადაგება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეალური ზრდის მოთხოვნებს.

ფინანსურ სექტორში ყველაზე მეტად განვითარებულია საბანკო სექტორი, სადაც ხორციელდება მრავალი ინოვაცია. მომსახურების სფეროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა, რაც ფინანსური ტექნოლოგიების სირთულის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს, ბანკების საქმიანობა სულ უფრო მრავალფეროვანი და რთული გახდა. შედეგად, საბანკო სისტემაში სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ რისკების მართვას. საბანკო პრაქტიკაში რისკი არის გარკვეული შემთხვევების დადგომისას ბანკისთვის ზარალის მიღების საშიშროება. იმ ბანკებში, სადაც ეფექტურად ხდება რისკების მართვა, დიდი ალბათობით სწორადაა ორგანიზებული რისკების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულების საქმიანობა.

რაც შეეხება რისკების დაზღვევის მსოფლიოში აღიარებულ და დანერგილ პრაქტიკას, როდესაც ბანკები თვითონ რისკებს აზღვევენ სადაზღვევო კომპანიებში და დამდგარი რისკის დროს უშულოდ სადაზღვევო კომპანია გამოდის პასუხისმგებლის როლში, საქართველოში მსგავსი პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს, უფრო ზუსტად კი ჯერაც ჩანასახის სტადიაშია. ფინანსური რისკების დაზღვევის წილი ეროვნული ბანკის 2012 წლის ანგარიშით 0.5%-ს შეადგენს [8, გვ. 89]

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას [23, გვ. 27]. ამ განმარტების ქვეშ ძირითადად იგულისხმება მომავალში მოსალოდნელი შედეგის მკაფიოდ დადგენის შეუძლებლობა, რის შედეგადაც შესაძლოა საბანკო დაწესებულებამ იმაზე უარყოფითი შედეგი მიიღოს, ვიდრე ეს მას აქვს განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ საბანკო დაწესებულებებს წინასწარ აქვთ შემუშავებული მისაღწევი გეგმები (სცენარი), რომლის მიუღწევლობაც მათთვის ნიშნავს ფინანსურ რისკს. შესაბამისად, საბანკო დაწესებულებები ცდილობენ განსაზღვრონ ე.წ. საბანკო რისკები და მართონ ისინი ისეთნაირად, რომ უარყოფითი გადახრის შემთხვევაში რეაგირების გზით მოახდინონ რისკების მინიმუმება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიდგომით, რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არ არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან. ვინაიდან რისკების იგნორირება შეუძლებელია, კომერციული

ბანკების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს რისკების შემცირება. მასში იგულისხმება ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა ერთის მხრივ კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და მეორეს მხრივ საკუთარ კაპიტალს შორის [1, გვ. 287-288).

საბანკო რისკები სამ ძირითად კატეგორიაში ერთიანდებიან: საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები და ოპერაციული რისკები.

საკრედიტო რისკი არის ბანკის კლიენტების მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის ან გაკოტრების შედეგად გამოწვეული დანაკარგების რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან (დებიტორები) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორც კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ.

საოპერაციო რისკებს განეკუთვნება დანაკარგის ან სანქციის რისკი, რაც გამოწვეულია პროცედურებისა და შიდა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, ხარისხის კონტროლის სისტემაში შესაძლო ჩავარდნებით, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით.

საბაზრო რისკებს განეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების (ფასიანი ქაღალდების) საბაზრო ფასების და უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებით, მერყეობით და საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერი სხვა ცვლილებით გამოწვეული რისკები. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, საფონდო, სავალუტო და სასაქონლო პოზიციების რისკებს. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის საქმიანობისგან (ინვესტიციების განხორციელება, სხვა კომპანიათა კაპიტალში ნილობრივი მონაწილეობა, სესხების გაცემა და სხვ.)

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი. საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად.

ბანკების რისკი მათ მარჯასაც ეხება (მარჯა არის სხვაობა ბანკის მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთსა და ანაზრებზე გაცემულ პროცენტს შორის). საპროცენტო რისკი იმის საშიშროებაა, რომ შემცირდება მოგების მომტანი აქტივების შემოსავლიანობა, ან მნიშვნელოვნად მოიმატებს პროცენტების გაცემაზე განეული ხარჯები და თანაც შემცირდება ბანკის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა, ე.ი. წმინდა მოგება. ბოლო წლებში ბანკებმა მიაგნეს საპროცენტო რისკის შემცირების ხერხებს, მაგრამ მისი მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია.

ლიკვიდობის რისკი - არის ბანკის რისკი, გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

ა) **საბაზრო ლიკვიდობის რისკი**, კერძოდ რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ბანკმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით.

ბ) **დაფინანსების ლიკვიდობის რისკი**, კერძოდ რისკი იმისა, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან.

ლიკვიდობის რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა: კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა და სხვა. ლიკვიდობის რისკის მართვა უკიდურესად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არა მარტო ბანკისთვის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორისთვის [4].

საბანკო რისკების რეგულირება მეთოდების ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია რისკისგან ბანკის დაცვისკენ. ფინანსების გლობალიზაციის პირობებში იზრდება საერთაშორისო რეგულირების მნიშვნელობა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მსოფლიო საფინანსო სისტემის მყარი განვითარების ხელშეწყობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იცვლება საბანკო რეგულირებისადმი და ზედამხედველობისადმი ტრადიციული მიდგომა. საბანკო ზედამხედველობის ორგანოები სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საბანკო კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგს და გადადიან რისკების მართვის პროცესის მონიტორინგზე, რომელსაც თავად ახორციელებენ. მეორე მნიშვნელოვანი სიახლეა ინფორმაციის საჯაროობისადმი მოთხოვნების გამკაცრება, რომელიც მიმართულია აღნიშნული მონიტორინგის ფუნქციების საზოგადოებაზე გადატანისკენ [2, გვ. 27-32].

საბანკო სისტემის რისკების რეგულირების მექანიზმები საკმაოდ მრავალფეროვანია და როგორც წესი კომპლექსურად მოქმედებენ, ანუ ავსებენ ერთმანეთს. საბანკო სისტემის დონეზე ძირითად მარეგულირებლებს სახელმწიფო ორგანოები (ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკის სახით) და თვითრეგულირებადი ორგანოები (კომერციული ბანკების რისკების მართვის სამსახურები) წარმოადგენენ. თუმცა,

ბოლო პერიოდში ბევრი ქვეყნის საბანკო სექტორის მიერ განსაკუთრებული ყურადღება გადატანილია საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (The Basel Committee on Banking Supervision) მიერ შემოთავაზებულ რეგულირების მექანიზმებზე, რომლის იმპლემენტაციაც ჯერ ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ იწყება, ხოლო შემდეგ მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა კომერციულ ბანკებს ეკისრებათ.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი არის ფორუმი საბანკო ზედამხედველობის საკითხებში რეგულარული თანამშრომლობისათვის. მისი მიზანია მსოფლიო მასშტაბით გააძლიეროს ზედამხედველობის საკითხები და საბანკო ზედამხედველობის ხარისხი. კომიტეტის წევრია მსოფლიოს 27 ქვეყანა. კომიტეტის ამოცანაა ინფორმაციის გაცვლის ეროვნული საზედამხედველო საკითხების, მიდგომების და ტექნიკის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს პრობლემათა საერთო გაგებას. კომიტეტი საყოველთაო გამოყენებისათვის ამუშავებს გაიდლაინებსა და საზედამხედველო სტანდარტებს.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი კომიტეტი ყველაზე მეტად ცნობილია კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტებით, ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ფუნდამენტური პრინციპებით და ტრანსპარენტული საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო შეთანხმებით. კონტაქტების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება საბანკო ხელმძღვანელების საერთაშორისო კონფერენცია (ICBS). საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი კომიტეტის სამდივნო განთავსებულია საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკში ბაზელში (შვეიცარია). კომიტეტში მომუშავე ექსპერტები საჭიროებისამებრ აძლევენ რჩევებს ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს საზედამხედველო საკითხებში.

„ბაზელი II“, რომელიც წარმოადგენს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებს, 2004 წლის ივნისში გამოქვეყნდა და მას შემდეგ ბევრმა ქვეყანამ დაიწყო საკუთარი საბანკო ზედამხედველობის რეგულირების ამ ახალ პრინციპებზე გადასვლა. ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის მონაცემებით, 2015 წლამდე დაახლოებით, 95 ქვეყნის რეგულატორი ამა თუ იმ ფორმით განახორციელებს „ბაზელი II“-ს რეკომენდაციებს. საქართველოში მისი დანერგვა 2011 წლისათვისაა დაგეგმილი [4].

„ბაზელი II“, ითვალისწინებს, როგორც საკრედიტო და საბაზრო, ისე საოპერაციო რისკებსაც. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა საოპერაციო რისკის შემთხვევების კატეგორიები, რომელთა დადგომასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვეს [17]:

- შიდა მაქინაციები — მაგალითად: ტრანზაქციის შეცდომით გატარება, თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, მითვისება, გამოძალვა, ქრთამის აღება და სხვა

- გარე მაქინაციები — მაგალითად: გარეშე პირების მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, ყაჩაღობა, გაყალბება (ფულის, ჩეკების, დოკუმენტების), „ჰაკერობა“ და სხვა;

- თანამშრომელთა ქცევა და უსაფრთხო სამუშაო გარემო — მაგალითად: თანამშრომელთა მხრიდან კომპენსაციების მოთხოვნა მორალური ან ფიზიკური ზიანისა და დისკრიმინაციისათვის, თანამშრომელთა ორგანიზებული გაფიცვები და სხვა;

- ბიზნესის, პროდუქტების და კლიენტთა ქცევები - მაგალითად: ფიდუციარული (ნდობითი) შეთანხმების დარღვევა, კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, უთანხმოება საკონსულტაციო საქმიანობასთან დაკავშირებით, ლიმიტების გადაჭარბება, ფულის გათეთრება.

- მატერიალური აქტივების დაზიანება - მაგალითად: ტერორიზმი, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები და სხვა;

- საქმიანობის შეფერხება და სისტემების მოშლა - მაგალითად: კომპიუტერების და პროგრამების მწყობრიდან გამოსვლა, შეფერხებები სატელეკომუნიკაციო სისტემებში, შეფერხებები კომუნალურ სფეროში და სხვა.

„ბაზელი I“-საგან განსხვავებით (სადაც ყურადღება ძირითადად საკრედიტო რისკებზეა გამახვილებული), ბაზელის კომიტეტის მიერ მომზადებული „ბაზელი II“-ის საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციები ითვალისწინებს სტანდარტებისა და რეგულაციების შექმნას იმის თაობაზე, თუ რა მოცულობის კაპიტალი უნდა დაარეზერვოს საფინანსო ინსტიტუტმა რისკების შესამცირებლად. „ბაზელი II“, შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

I. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები (Minimum Capital Requirements). წარმოადგენს კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების ანგარიშს კრედიტორული, საბაზრო და ოპერაციული რისკების მიხედვით. კაპიტალის აქტივებთან დამოკიდებულება გაიანგარიშება რეგულირებას დაქვემდებარებული კაპიტალის და რისკით შეწონილი აქტივების გამოყენებით. მთელი კაპიტალისა და აქტივების შეფარდება (დამოკიდებულება) არ უნდა იყოს 8% ზე ნაკლები [17].

კაპიტალი / საკრედიტო რისკი + საბაზრო რისკი + საოპერაციო რისკი \geq 8 %

II. ზედამხედველობის პროცესი (Supervisory Review Process). განიხილება საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, ასევე რისკების მართვის და ანგარიშების გამჭვირვალობის პრინციპები საბანკო ზედამხედველობის ორგანოების წინაშე. მოიცავს საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებს (სტრეს-ტესტირება, დეფოლტის განსაზღვრა, საოპერაციო და კრედიტების კონცენტრაციის რისკი), ტრანსსასაზღვრო კავშირების ზრდას და ურთიერთქმედებას, ასევე დაცვის გარანტიებს [17].

III. საბაზრო დისციპლინა (Market Discipline). ავსებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს (I კომპონენტი) და ზედამხედველობის პროცესს (II კომპონენტი). კომიტეტი მიისწრაფის საბაზრო დისციპლინის სტიმულირებისკენ ინფორმაციის გახსნილობის შესახებ მოთხოვნების კომპლექსის შემუშავებით, რომლებიც საშუალებას მისცემს ბაზრის მონაწილეებს შეაფასონ ძირითადი მონაცემები გამოყენების სფეროზე, კაპიტალზე, რისკიანობაზე, რისკის პროცესების შეფასებაზე და შესაბამისად დაწესებულების კაპიტალის საკმარისობაზე. კომიტეტის აზრით, ინფორმაციის ასეთ გახსნილობა განსაკუთრებულად აქტუალურია [17].

ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების და მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, საბანკო სისტემის დონეზე საბანკო რისკების რეგულირების ძირითად მექანიზმებს წარმოადგენს:

1. ახლადშექმნილი ბანკებისთვის კაპიტალის მინიმალური დონის დაწესება;
2. მოთხოვნები კაპიტალის სტრუქტურისადმი და საკმარისობისადმი;
3. შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სამსახურების ორგანიზაციისა და საქმიანობისადმი მოთხოვნები;
4. ბანკის საერთო რისკებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობისადმი მოთხოვნები;
5. რისკების რაოდენობრივი შეფასების მეთოდებისადმი ნორმატიული მოთხოვნები და სხვა.

კომერციული ბანკების დონეზე რისკების მართვის გარე მექანიზმების გარდა გამოიყენება შიდა მექანიზმებიც, რომელთაც მიეკუთვნება რისკების შეფასების და მართვის შიდა მოდელები და მეთოდები: ლიმიტირება, ჰეჯირება, შიდა კონტროლი...

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის დადგენილია რისკის შემდეგი სახეები: საკრედიტო რისკი (თავი III), საბაზრო და საპროცენტო რისკები (თავი IV), ლიკვიდობის რისკი (თავი V), საოპერაციო რისკი (თავი VI), სამართლებრივი რისკი (თავი VII), რეპუტაციის რისკი (თავი VIII), სტრატეგიული რისკი (თავი IX) და შესაბამისობის რისკი (თავი X) [4]. წესებში საკმაოდ დეტალურად არის მოცემული თითოეული რისკის არსი და მათი მართვის ინსტრუმენტები. აღნიშნული წესების შემუშავებას საფუძვლად უდევს ბაზელის ფორმატით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS – Bank for International Settlements) ყოველწლიური შეხვედრები, საერთაშორისო პრაქტიკა და კომერციულ ბანკებში რისკების მართვის აუცილებლობა. წესები კომერციული ბანკების მიერ რისკების ეფექტიანად მართვისა და გაკონტროლების მიზნით შეიქმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბანკის მენეჯმენტს დროულად აღმოაჩინოს შესაძლო დანაკარგები და მისი უარყოფითი გავლენა ბანკის კაპიტალზე. გამომდინარე მის მიერ დადგენილი წესებიდან, 2008-2009 წლებში ეროვნული ბანკის ანტიკრიზისულ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულება გააჩნდა:

- საბანკო სექტორისთვის მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების მიწოდება;
- გაცვლითი კურსის კონტროლი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად [15, გვ. 61].

რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ, კომერციულმა ბანკმა თანამიმდევრობით უნდა განახორციელოს მათი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. რისკების შეფასების მიზანი ის არის, რომ ბანკმა შეძლოს მისი ბიზნეს საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების გაანგარიშება, რათა განისაზღვროს რისკების გავლენა ბანკის კაპიტალზე, რომელიც ამ ბიზნეს საქმიანობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამის პარალელურად ბანკის მიერ რისკების მონიტორინგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ბანკის მიერ რისკების შეფასება, განსაკუთრებით ნებისმიერი ისეთი რისკის, რომელიც მნიშვნელოვანია და/ან შეუძლია გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე [4].

საბანკო რისკების მართვის თავისებურებები. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, კომერციული ბანკების რისკების მართვა უნდა განხორციელდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ბანკმა უნდა გაატაროს დაუყოვნებელი ღონისძიებები რისკების მართვის მომზადებასთან დაკავშირებით, მათ შორის დაადგინოს ბანკის შიდა მდგომარეობა, რომლის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნეს რისკების მართვის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად. ბანკმა რისკების მართვა უნდა განახორციელოს ეტაპობრივად ან მის გარეშე [4].

„კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“ დებულების შესაბამისად, საქართველოს საბანკო

სექტორში რისკების მართვის პროცესი მოიცავს შემდეგს:

1. რისკების დადგენა: რისკების დადგენის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობის რისკის იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს;

2. რისკების შეფასება: რისკების შეფასება გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი;

3. მონიტორინგი და ლიმიტები: რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, მიმუშავებული უნდა დადგინდეს:

- ♦ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბანკის რისკების მასშტაბები ან მისგან გამონეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის ზღვრები;

- ♦ გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებაში და ადამიანური რესურსების უნარი;

- ♦ ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტს და საჭიროების შემთხვევაში დირექტორატს;

4. რისკების მართვის საინფორმაციო სისტემები: რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ნაწილია, რომელიც რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად აუცილებლად უნდა შემუშავდეს;

5. რისკების კონტროლი: ბანკმა უნდა დააწესოს რისკების კონტროლი, რათა მართოს კონკრეტული რისკი, რადგან მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი რისკი, რომელმაც შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს ბანკის არსებობა;

6. აქტივების და ვალდებულებების მართვა: საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისათვის ბანკებმა უნდა განახორციელონ აქტივებისა და ვალდებულებების მართვა;

7. სტრეს-ტესტების გამოყენება: რისკების შეფასების მოდელების სტრეს-ტესტების გამოყენება [4].

თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ ბანკის მიერ რისკების მართვა არ არის ადეკვატური ან ეფექტიანი ბანკის განსაკუთრებული რისკის პროფილისათვის, კომერციულ ბანკს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გაუწიოს ინტენსიური ან სპეციალური ზედამხედველობა [4].

საინტერესოა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების უმეტესობა რისკების მართვის მეთოდოლოგიას საიდუმლოდ ტოვებს. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ რამოდენიმე ზოგადი მეთოდი აქვს გამოქვეყნებული დეკლარირების დონეზე. ამ მხრივ ყველაზე ინფორმაციული ბანკი „რესპუბლიკას“, რისკების მართვის მექანიზმებია. რისკების ეფექტიანი და საიმედო მართვისათვის ბანკი „რესპუბლიკა“, კატეგორიების მიხედვით შემდეგი სახის რისკების მართვას აწარმოებს:

- **საკრედიტო რისკი:** ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამონეული დანაკარგის რისკი. საკრედიტო რისკი შესაძლოა გაიზარდოს კონკრეტული კონტრაგენტის მასშტაბური დაკრედიტების გამო, რაც მაღალი კონცენტრაციის რისკს წარმოადგენს;

- **საბაზრო რისკი:** საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით, მერყეობითა და კორელაციით გამონეული რისკი;

- **საოპერაციო რისკი** (სამართლებრივი, საბუღალტრო, ეკოლოგიური, შესაბამისობისა და რეპუტაციის რისკი): დანაკარგის ან სანქციის რისკი, რაც გამონეულია პროცედურებისა და შიგა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, აგრეთვე, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით;

- **საინვესტიციო პორტფელის რისკი:** ბანკის საინვესტიციო პორტფელში კაპიტალის ღირებულების მერყეობით გამონეული რისკი;

- **სტრუქტურული პროცენტისა და კონვერტაციის კურსის განაკვეთის რისკი:** ბანკის აქტივთა გაუფასურების ან დანაკარგის რისკი, რაც გამონეულია პროცენტების ან კონვერტაციის კურსის განაკვეთის ცვლილებით;

- **ლიკვიდურობის რისკი:** დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი;

- **სტრატეგიული რისკი:** სტრატეგიასთან დაკავშირებული ან შერჩეული სტრატეგიის შეუსრულებლობის რისკი;

- **ბიზნესის რისკი:** ხარჯების შემოსავალზე მეტობით გამონეული ზარალის რისკი.

რისკების ეფექტიანი მართვა აუცილებლად გულისხმობს ყველა შესაძლო რისკის მართვას. აღნიშნული

მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ბანკში დამკვიდრებულია სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, შიდა აუდიტის, გარე აუდიტისა და თვით რისკების მართვის შიდა სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა და ლია კომუნიკაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკმა უნდა განსაზღვროს რისკების მართვასთან დაკავშირებული თითოეული დონის სამსახურისათვის ზუსტი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

ბანკისთვის არსებითი რისკის ფაქტორები საზოგადოდ ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: შიდა და გარე ფაქტორებად. რისკების შიდა ფაქტორები ბანკების საქმიანობის შედეგად ჩნდება და დამოკიდებულია მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების ხასიათზე, თვით ბანკების მიერ თავიანთი საქმიანობის ყველა მხარის მართვაზე. ასეთი ფაქტორებია, კერძოდ:

- ბანკის პასივების, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის მეტნაკლებად არაეფექტიანი სტრუქტურა;
- ბანკის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული მეტ-ნაკლებად არაეფექტიანი სტრატეგია და პოლიტიკა, მათ შორის – რისკების ზომისა და ხარისხის არასწორი შეფასებები, მცდარი გადაწყვეტილებები, ოპერაციების ჩატარების პირობებისა და ვადების არასწორად განსაზღვრა, ბანკის დანახარჯებისა და დანაკარგების სათანადო კონტროლის უქონლობა და ა.შ.
- ბანკის თანამშრომელთა არასაკმარისი პროფესიონალიზმი;
- ბანკის საინფორმაციო, ფინანსური უსაფრთხოების მეტ-ნაკლებად არასაკმარისი უზრუნველყოფა;
- ბანკის კომპიუტერულ სისტემებში შეფერხების, დოკუმენტების დაკარგვის, ბუნებრივ გატარებათა არასწორად და არადროულად განხორციელების შესაძლებლობა;
- ბანკის თანამშრომელთა მხრიდან თაღლითობისა და ბოროტმოქმედების აღკვეთის სრული გარანტიის უქონლობა და სხვა.

საბანკო რისკების გარე ფაქტორები (წყაროები) ის პოტენციური, არასასურველი მოვლენებია, რომლებიც ბანკის გარეთ არსებულ სივრცეში ხდება და მის საქმიანობაზე არაა დამოკიდებული. ასეთი ფაქტორებია:

- პოლიტიკური;
- სოციალური;
- სამართლებრივი (სამართლებრივი ნორმების უქონლობა, მათი გამკაცრება და დარღვევა);
- საერთო ეკონომიკური და ფინანსური;
- კონკურენტული (ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მხრიდან ზენოლა);
- ინფორმაციული (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კომერციული, ტექნიკური, ფინანსური და სხვა ინფორმაციის უქონლობა ან მათი უკმარისობა);
- სტიქიური უბედურებები (დაუძლეველი ძალის მქონე არასასიკეთო ბუნებრივი მოვლენები), აგრეთვე: ძარცვა, ავარიები და ხანძარი.

ბანკების დაცვა რისკისგან. ბანკები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ რისკებისგან თავის დასაცავად. მათგან შეგვიძლია გამოვყოთ - ხარისხის მართვა, დივერსიფიკაცია, დეპოზიტების დაზღვევა და საკუთარი კაპიტალი.

ხარისხის მართვა რისკისაგან დაცვის ერთერთი მეთოდია, რომლის დროსაც მენეჯერები ცდილობენ მანამდე გადაჭრან ბანკში წარმოქმნილი პრობლემები, ვიდრე ისინი სერიოზულ სირთულეებს შეუქმნიან ბანკებს.

დივერსიფიკაცია არის რისკის შემცირების მიზნით კაპიტალის გადანაწილება სხვადასხვა აქტივებში. ბანკები, ჩვეულებრივ, ცდილობენ გამოიყენონ რისკის შემამცირებელი დივერსიფიკაციის ორი ტიპი - პორტფელური და გეოგრაფიული. პორტფელის დივერსიფიკაცია ნიშნავს ბანკის კრედიტებისა და დეპოზიტების განაწილებას კლიენტთა ფართო წრეზე. გეოგრაფიული დივერსიფიკაცია ნიშნავს, კლიენტების მოზიდვას სხვადასხვა გეოგრაფიული რაიონებიდან ან განსხვავებული ეკონომიკის პირობების მქონე ქვეყნებიდან. დივერსიფიკაციის ეს ფორმები ყველაზე ეფექტიანად ამცირებენ საბანკო რისკს, რადგან ამ დროს ერთი ჯგუფის კლიენტებისაგან მიღებული შემოსავლების კლების კომპენსირება სხვა ჯგუფისაგან მიღებული შემოსავლების მატებით ხდება.

დეპოზიტების დაზღვევა რისკისგან თავის დაცვის კიდევ ერთი მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს კრიზისის დროს ანაბრების დაბრუნების გარანტიას.

საკუთარ კაპიტალს (მფლობელთა კაპიტალს) იყენებენ რისკის შესამცირებლად, როდესაც ყველა დამცავი ხერხი ამოიწურება. მის ხარჯზე კომპენსირდება წარუმატებელი კრედიტებისა და ფასიან ქალაქობებში დაბანდებულ ინვესტიციათაგან, აგრეთვე, დანაშაულობებისა და მმართველური შეცდომისგან მიღებული დანაკარგები. ასე რომ ბანკს შეუძლია ფუნქციონირების გაგრძელება წამოჭრილი პრობლემე-

ბის მოგვარებამდე და ზარალის დაფარვამდე. საკუთარი კაპიტალი ბანკის გაკოტრების საწინააღმდეგო უკანასკნელი საშუალებაა, რაც უფრო მაღალია გაკოტრების რისკი (რომელი ფაქტორიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს საფრთხე, მით უფრო მეტი საკუთარი კაპიტალი უნდა ჰქონდეს ბანკს.

კომერციული ბანკების მიერ რისკების მინიმიზაციის ერთ-ერთი საშუალება ადეკვატური კაპიტალის შექმნაა. საქართველოში მოქმედი ბანკისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა დგინდება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით. საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს 12 მილიონ ლარს. საზედამხედველო კაპიტალის შემდგომი ზრდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ფულადი ფორმით და მხოლოდ საქართველოს ეროვნული ვალუტით. საზედამხედველო კაპიტალი არის კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისა და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილებისათვის [4].

პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტს. საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) ინვესტიციები საქართველოს რეზიდენტი ბანკების სანესდებო კაპიტალში;

ბ) არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების სანესდებო კაპიტალში.

რადგანაც საბანკო საქმიანობა მეტად სარისკოა, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო სფეროს სახელმწიფო რეგულირებას, რომელიც ითვალისწინებს ბანკების ლიცენზირების მთელ რიგ პრინციპულ მოთხოვნებს, მათი საქმიანობის სფეროს შეზღუდვას, კაპიტალის საკმარისობას, ლიკვიდურობას, აუცილებელი რეზერვების ფორმირებას.

საქართველოს კანონმდებლობით კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის სრული უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების მიზანია საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების მეანაზრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე ეროვნული ბანკის ინტერესების მაქსიმალური დაცვა. საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს კომერციული ბანკებისათვის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით და მათი შესრულების კონტროლის განხორციელებით. საბანკო საქმიანობაზე კონტროლი ორი სახისაა: შიდა და გარე. გარე კონტროლს ახორციელებს ეროვნული ბანკი და გარე აუდიტორები. შიდა კონტროლის ორგანიზებას ახდენს თავად ბანკი. ამ ფუნქციას ახორციელებენ მენეჯერები, მათი უფლებამოსილების შესაბამისად, აგრეთვე შიდა აუდიტის შესაბამისი ორგანოები. შიდა საბანკო კონტროლის მთავარი დანიშნულებაა უარყოფითი ტენდენციების, ასევე საბანკო საქმიანობის ნაკლოვანებების აღმოჩენის და აღმოფხვრის ოპერატიული სისტემის შექმნა. შიდა საბანკო კონტროლი უპირველესად მიმართულია სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და ნორმატივების დაცვისაკენ.

მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტები:

ა) ბანკის მიერ ერთი პირისთვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;

ბ) ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;

გ) ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;

დ) ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს.

აგრეთვე დადგენილია ბანკის მიერ პირებისათვის სესხის გაცემის შემდეგი შეზღუდვები:

ა) ბანკს ეკრძალება კლიენტს მისცეს სესხი თავისი აქციების შესაძენად;

ბ) ბანკს ეკრძალება კლიენტს მისცეს სესხი ამავე ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის ან მაკონტროლებელი პირის აქციების შესაძენად;

გ) ბანკს ეკრძალება კლიენტს მისცეს სესხი ამავე ბანკის შვილობილი კომპანიის აქციების შესაძენად.

ამ დებულებით დადგენილი ლიმიტების გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ბანკის მიერ გაცემული სესხები და სხვა ვალდებულებები, რომლებიც:

ა) პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

ბ) პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო-ს„ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;

გ) უზრუნველყოფილია „ეგთო-ს„ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;

დ) უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაჯავშნული დეპოზიტებით.

ფინანსური რისკების დაზღვევა საქართველოში. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ქართული სა-დაზღვევო კომპანიები შემდეგი სახის ფინანსურ რისკებს აზღვევენ:

სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბი-სი-აი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პოლისებს:

- საბაჟო ვალდებულებათა შესრულების გარანტია - ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი
- საგარანტიო მომსახურება;
- სასაქონლო კრედიტის (კონსიგნაციის) რისკების დაზღვევა.

„ჯიპიაი ჰოლდინგმა“ შეიმუშავა სადაზღვევო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავენ ფინანსური ინსტიტუტების პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზებას. მათ შორისაა:

- **BBB** - ბანკების კომპლექსური სადაზღვევო მომსახურება;
- ელექტრონული და კომპიუტერული დანაშაულისაგან მიყენებული ქონებრივი ინტერესის დაზღვევა;

- კომპანიის დირექტორებისა და მენეჯერების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

ჩარტის ევროპა ს.ა. საქართველოს ფილიალი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პროდუქტებს:

ა) საბანკო ბარათის მფლობელთა დაზღვევა

• პოლისის მფლობელის მიერ გამოშვებული ბარათის თაღლითური გზით გამოყენება ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემდეგ – დაკარგული ან მოპარული ბარათის უკანონოდ გამოყენება;

- ბარათით ბანკომატიდან აღებული ფულის გატაცება ძარცვა/ყაჩაღობის გზით – ძარცვა;

• ბარათით შეძენილი ნივთის ქურდობა (უბრალო ქურდობის გამოკლებით), ძარცვა, ყაჩაღობა ან შემთხვევითი დაზიანება - შენაძენის დაცვა;

- ბარათის და მასთან ერთად ოფიციალური დოკუმენტაციის დაკარგვა ან მოპარვა – დოკუმენტების შეცვლა.

ბ) კეთილსინდისიერების/ბოროტმოქმედებისგან დაზღვევა გულისხმობს ფულის ან სხვა ქონების დაკარგვას, რომელიც ქურდობის, თაღლითობის, დატაცების ან სხვა მსგავსი ბოროტმოქმედების შედეგად და ჩადენილია ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ განზრახ, დამოუკიდებლად ან სხვასთან შეთქმულებით. იგი მოიცავს შემდეგ რისკებს:

• თანამშრომლის (დამოუკიდებლად ან მესამე მხარესთან შეთქმულებაში მყოფი) მიერ დამზღვევისათვის განზრახ მიყენებული ზიანი;

- მესამე პირთა დანაკარგი სათავსებში;
- დანაკარგი გადაზიდვის დროს;
- გაყალბებული საგადასახადო დავალებები;
- ჩეკებისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბება;
- მესამე მხარის კომპიუტერული თაღლითობა.

გ) დირექტორებისა და ოფიცრების პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს დირექტორების, ოფიცრების და კორპორატიული პასუხისმგებლობის დაზღვევას და ითვალისწინებს კომპანიის, მისი შვილობილი კომპანიების დირექტორებისა და ოფიცრების დაცვას მესამე მხარის სარჩელებისაგან. ასეთი მესამე მხარე მოიცავს: აქციონერებს, თანამშრომლებს, კლიენტებს, კონკურენტებს. პოლისით შეიძლება დაიფაროს შემდეგი:

• საიდუმლოს შენახვის ვალდებულების დარღვევა, შეცდომა, დაუდევრობა (მაგრამ არა პროფესიული პასუხისმგებლობა);

- დაზღვეული კომპანიის ან სხვა ორგანიზაციის დირექტორის ან ოფიცრის რაიმე სახის ქმედება;
- დასაქმების წესების დარღვევა.

დ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს ყველა იმ ზარალის დაფარვას, რომლისთვისაც დამზღვევს სარჩელი წარედგინება პროფესიული მოვალეობების დარღვევით გამოწვეული ზიანის გამო. არამართლობიერი პროფესიული ქმედება მოიცავს: გაუფრთხილებლობას, შეცდომასა

და დაუდევრობას; მოვალეობის შეუსრულებლობას; რწმუნების დარღვევას, მათ შორის რწმუნებულის ვალდებულებების დარღვევას; საიდუმლოს გათქმას; უფლებამოსილების შესახებ გარანტიის დარღვევას; ქორს და ცილისწამებას (არა წინასწარ განზრახული სისხლის სამართლის ქმედება); თანამშრომელთა არაკეთილსინდისიერებას, თაღლითობას, ბოროტგანზრახვით ან სისხლის სამართლის ქმედებას; დოკუმენტების (და კომპიუტერული სისტემების) დაკარგვას; სასამართლოში დასწრების ხარჯების ანაზღაურებას.

საინტერესოა რომ ჩარტის ევროპა ს.ა. საქართველოს ფილიალი ფინანსურ რისკებში აერთიანებს პასუხისმგებლობის დაზღვევას. საზღვარგარეთაც მიღებულია მსგავსი პრაქტიკა.

„აი-სი, ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პროდუქტებს:

- კომპლექსური საბანკო დაზღვევა
- საქმიანობის დროებით შეჩერებისგან დაზღვევა
- გირაოს დაზღვევა
- საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი ფინანსური გარანტიები
- სხვა ფინანსური გარანტიები.

საქართველოში ფინანსური რისკების დაზღვევას გარკვეულ სტიმულაციას აძლევს სახელმწიფო. კერძოდ, სახელმწიფო ითხოვს გარანტებს კომპანიებისგან (გარანტი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელსაც გასცემს ან ბანკი ან სადაზღვევო კომპანია). სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები არ აფორმებენ ხელშეკრულებას შემსრულებლის მიერ გარანტიის პოლისის წარდგენის გარეშე, არც წინასწარ თანხებს რიცხავენ, რაც იმას ნიშნავს რომ ფინანსური რისკებისაგან დაზღვევა ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სადაზღვევო ბაზარზე.

ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტებიდან გამოყოფენ შემდეგ სადაზღვევო პაკეტებს:

საგარანტიო მომსახურება - წინასაატენდერო გარანტია (საჭიროა იმისათვის რომ კლიენტმა ტენდერში მიიღოს მონაწილეობა); ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (იმისათვის რომ კლიენტმა ბენეფიციართან გააფორმოს ხელშეკრულება); საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა (ბენეფიციართან წარსადგენად წინასწარ ავანსის ასაღებად); საბაჟო გარანტია (რაიმეს დროებითი განბაჟების ან დროებითი გადამუშავების რეჟიმში მოსაქცევად); TIR-ის გარანტია (საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად) და ხარისხის გარანტია (ამა თუ იმ სამუშაოების დასრულების შემდეგ ბენეფიციარი შემსრულებელს უკავებს პროექტის ღირებულების გარკვეულ პროცენტს, მასზე, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუ რაიმე დეფექტი აღმოიფხრა, დაკავებული თანხის მეშვეობით კლიენტი აღმოფხვრის ამ დეფექტებს. ხარისხის გარანტიის წარდგენის შემთხვევაში დაკავებული თანხა კლიენტს უბრუნდება და ამ გარანტიის მეშვეობით ხდება მომავალში ზარალის ანაზღაურება.

ყველაზე აქტიური მოთხოვნა ფინანსური გარანტიებიდან არის წინასაატენდერო, ხელშეკრულების შესრულების და საავანსო გარანტიებზე.

საბაჟო ვალდებულებათა შესრულების გარანტია. ფინანსური რისკების დაზღვევის აღნიშნული პოლისის გაცემა შეუძლია ბანკებსაც (ამდენად ის არ წარმოადგენს მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების პროდუქტს). საბაჟო გარანტია არის საქონლის მესაკუთრის, მფლობელის ან გადამზიდვის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წერილობით ან ელექტრონული ფორმით საბაჟო ვალდებულების (გადასახდელების გადახდა, საქონლის საბაჟოზე დროული წარდგენა და სხვა) უზრუნველყოფა. მაგალითად, როცა საზღვარგარეთიდან დროებით შემოაქვთ საქონელი, ვალდებულებების პირობების დარღვევისას სადაზღვევო კომპანია (ან ბანკი) აანაზღაურებს ხარჯებს.

სახელმწიფო შესყიდვების დაზღვევა - როდესაც რომელიმე სახელმწიფო უწყება აცხადებს ტენდერს (მაგალითისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შკოდის მარკის ავტომანქანების შეძენა) და გამარჯვებულ კომპანიას შესყიდვის განსახორციელებლად გადასცემს თანხას, სწორედ შესყიდვებისთვის განკუთვნილ ვადაში იზღვევა გადაცემული თანხა. ამ დროს კომპანიის არაკეთილსინდისიერებით გამოწვეული რისკის თავიდან ასაცილებლად (თუ გადაიფიქრებს ან უბრალოდ უარს იტყვის მოვალეობის შესრულებაზე) ტენდერის ორგანიზებაზე განეულ ხარჯებს დაფარავს სადაზღვევო კომპანია. **სატენდერო გარანტია** უზრუნველყოფს სატენდერო მასალების კეთილსინდისიერად მომზადებას. იგი გარანტიას აძლევს დამქირავებელს, რომ ტენდერის მონაწილე გამარჯვების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობებით გაფორმდება ხელშეკრულება. ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს კონტრაქტის ღირებულების დაბალ საპროცენტო განაკვეთს და უქმდება ხელშეკრულების შესრულების შემდეგ. რისკები:

1. სატენდერო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ ტენდერის მონაწილის უარი ტენდერში მონაწილე-

ობაზე, ტენდერის მოქმედი ვადის ამოწურვამდე.

2. ტენდერში გამარჯვების შემდეგ მონაწილის უარი დამკვეთთან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე.

3. ტენდერის მონაწილე დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედებისთვის საკონტრაქტო სამუშაოს შესრულების დროს.

მაგალითად, რომელიმე სახელმწიფო უწყება მის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გადასცემს თანხას, რათა განახორციელოს შესყიდვა. შესყიდვებისთვის განკუთვნილ ვადაში იზღვევა გადაცემული თანხა, რათა თავიდან იქნას აცილებული კომპანიის არაკეთილსინდისიერებით (მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა) გამონეული რისკი. ამ შემთხვევაში განეულ ხარჯებს ტენდერის ორგანიზებაზე და ა.შ. დაფარავს სადაზღვევო კომპანია.

საავანსო გარანტია. გარანტია ეძლევა დამქირავებელს, მასზედ რომ მის მიერ კონტრაქტორისადმი წინასწარი ანგარიშსწორებისას გადახდილი თანხა ხელშეკრულების შესაბამისად გაიხარჯება ან წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა დაუბრუნდება დამქირავებელს კონტრაქტორის მიერ.

გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. აღნიშნული გარანტია არის პასუხისმგებლობა მასზედ, რომ კონტრაქტორი შეასრულებს სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. გარანტი პასუხისმგებელია შეუსრულებლობაზე, დაგვიანებაზე და განსაზღვრულ ჯარიმებზე.

სასაქონლო კრედიტის (კონსიგნაციის) რისკების დაზღვევა. კომპანია სთავაზობს მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას ისეთი შეთანხმების საფუძველზე, რომ ანგარიშსწორება მოხდება მოგვიანებით. სასაქონლო კრედიტის რისკების დაზღვევა იცავს მომწოდებელს და მწარმოებელს კრედიტის პირობებით მიწოდებული საქონელის ან მომსახურების გადაუხდელობის რისკისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოდგენილია სამი ტიპის პოლისით: ფინანსური დანაკარგებისაგან დაზღვევა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის ხუთი წლის დინამიკა. როგორც ცხრილიდან ჩანს პირველი ოთხი წელი ის ზრდადი იყო, ხოლო 2012 წელს ადგილი ჰქონდა ვარდნას თითქმის 50%-ით.

ცხრილი: 1. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	ალდაგი ბი-სი-აი	2008758	1569440	686649	1469155	793669
2	"იმედი L International" *	482912	331107	482801	507635	258962
3	ჯი-პი-აი ჰოლდინგი	507543	963617	1160358	1740533	1351179
4	„სახალხო დაზღვევა“	1036899				
5	„არდი ჯგუფი“			612191	2223767	1879410
6	„ირაო“	3062868	3511620	1169884	172010	1936
7	ტაო	645436	1332159	463788	88077	24312
8	„სტანდარტ დაზღვევა საქართველო“			3018	22416	48037
9	აი-სი ჯგუფი	1174445	1962263	1117564	241664	54699
10	პარტნიორი	137384	68101	150732		
11	ვესტი	6150889	9387349	5618801		
12	მოზიუსი		222351	2818485		
13	უნისონი				562318	427476
	ჯამი	15207134	19348007	14284271	7027574	4839680

* სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International“-ის მონაცემები წარმოდგენილია 2012 წლის 9 თვის ანგარიშგების შესაბამისად

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. <http://nbg.gov.ge/index.php?m=489>

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს საფინანსო დანაკარგებისაგან დაზღვევას. როგორც ცხრილში ვხედავთ, საფინანსო დანაკარგებისაგან დაზღვევის დინამიკა არის ზრდადი.

ცხრილი: 2. საფინანსო დანაკარგებისაგან დაზღვევა

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	ჯი-პი-აი ჰოლდინგი	559 321	421039	415444	504248	498320
2	„სახალხო დაზღვევა“	58746				
3	„ქართუ“		29750		38957	37341
4	„ირაო“	26103	171290	176771		750031
5	ჩართისი ჯორჯია	34122	13600	400558	577368	248 000
6	აი-სი ჯგუფი	94645	328030	253266	278422	255365
7	პარტნიორი	18738				
8	ვესტი			6374		
9	უნისონი				14496	240482
	ჯამი	791674	963709	1252414	1413490	2029654

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. <http://nbg.gov.ge/index.php?m=489>

საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევისთვისაც ასევე დამახასიათებელია ზრდადი დინამიკა, თუმცა მისი ბაზარი ნაკლებად სტაბილურია, რადგან მუდმივად იცვლება კომპანიები ან აკლდება ძველი, ან ემატება ახალი მოთამაშე.

ცხრილი: 3. საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	"იმედი L International" *		952	18,012	908,727	8,648
2	ქართუ	12,796	9,438			
3	„არდი ჯგუფი“					83,092
4	ტაო					398,916
	ჯამი	12,796	10,391	18,012	908,727	490,656


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. <http://nbg.gov.ge/index.php?m=489>

ექსპერტთა აზრით, ფინანსური რისკების დაზღვევის ბაზარი საქართველოში ზრდადია და თანდათან ვითარდება. ქვემოთ მოცემული გრაფიკიდანაც ნათლად ჩანს, რომ წლის დასაწყისისთვის გაფორმებული პოლისები ყოველთვის არ მუშაობდა წლის ბოლომდე. ჩვენთვის უცნობია კონტრაქტის შეწყვეტის მიზეზები, (რადგან ამაზე საუბრისგან თავი შეიკავეს კომპანიის წარმომადგენლებმა), მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რომელიღაც მხარე არ იცავდა ნაკისრ ვალდებულებას (იხ. გრაფიკი 1).

ამრიგად, არც ერთი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურა არ აფორმებს ხელშეკრულებას შემსრულებლის მიერ გარანტიის პოლისის წარდგენის გარეშე, არც წინასწარ თანხებს რიცხავენ, რაც იმას ნიშნავს რომ ეს პროდუქტი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სადაზღვევო ბაზარზე.

ეროვნული ბანკის მონაცემებით ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოდგენილია სამი ტიპის პოლისით: ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევა, ვალდებულებათა დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა. დღესდღეობით გაიცემა, შემდეგი სახის ფინანსური გარანტიები: წინასატენდერო გარანტია, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა, საბაჟო

გრაფიკი: 1. ფინანსური რისკების პოლისების გაყიდვების სტატისტიკა 2009-2012წწ.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ. გვერდი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. <http://nbg.gov.ge/index.php?m=489>



გარანტია, TIR-ის გარანტია (საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად) და ხარისხის გარანტია. პროდუქტის განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტი იქნება პირველ რიგში, თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანია ისე არ აანაზღაურებს ზარალს, როგორც გარანტიაში აქვს განერილი და ეს უკვე გამოიწვევს სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის დაკარგვას. სწორედ სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის არ არსებობის ბრალია, რომ ბევრი ბენეფიციარი მხოლოდ ბანკიდან წარმოდგენილ ფინანსურ გარანტიას ითხოვს, რაც ხელს უშლის სადაზღვევო ბაზარზე ამ პროდუქტის განვითარებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროდუქტის უმთავრესი ნაკლია ის გარემოება, რომ ის არ არის მხოლოდ დაზღვევის პროდუქტი და მისი გაცემა შეუძლიათ ბანკებსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფინანსური რისკების დაზღვევა ნაკლებადაა განვითარებული. დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია გასცემს ფინანსურ გარანტიებს. სადაზღვევო ბაზარზე საერთოდ არ არსებობს ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტი, რომლის გაცემა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების პრე-როგატივია. ბანკები იყენებენ შიდა რისკ-მენეჯმენტს, რომელსაც არეგულირებს ეროვნული ბანკი. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რისკების დაზღვევაში ბანკები გვევლინებიან სადაზღვევო კომპანიების კონკურენტებად.

სადაზღვევო სფეროში ფინანსური რისკების დაზღვევის განვითარების ხელისშემწყობ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ პროექტების ზრდა, რომლებზედაც გამოცხადდება ტენდერები. ასევე მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლება. ამით მენარმე შეეცდება ფინანსური გარანტიის საჭიროებისას მიმართოს არა ბანკს, არამედ სადაზღვევო კომპანიას.

თენგიზ ვერულავა,
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნელი კილასონია,
საქართველოს ბიზნესის აკადემიის მენეჯერი.

ბიბლიოგრაფია

1. ბერიძე რ. 2009. საბანკო მენეჯმენტი, თბილისი.
2. ბორჩაშვილი ბ. 2011. საბანკო რისკების მართვის თავისებურებები საქართველოში, თსუ.
3. გიგოლაშვილი გ. 2010. სადაზღვევო საქმე. თბილისი.
4. დებულევა „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება #71, 2008 წ. 17 მარტი, www.nbg.gov.ge
5. მაგრაქველიძე დ. 2012. ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები, თბილისი.
6. ნარმანია დ. 2011. საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თსუ.
7. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2008-2010 წ.წ.
8. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში (2012 წელი) 64-110 გვ. (www.nbg.gov.ge/uploads/.../2012/annual_report_04_30_saitistvis.pdf)
9. საქართველოს ეროვნული ბანკი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. <http://nbg.gov.ge/index.php?m=489>
10. სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი ვებ გვერდი. <http://www.family.ge/index.php?m=64&q=ფინანსური+რისკების+დაზღვევა> (26.10.2013)
11. სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის ვებგვერდი. http://www.gpih.ge/gpih/corporate/financialrisks.php?sphrase_id=11198 (26.10.2013)
12. სადაზღვევო კომპანია აისი ჯგუფის ვებ გვერდი. (<http://www.icgroup.ge/index.php?a=main&pid=15&lang=geo> (26.10.2013))
13. სადაზღვევო კომპანია ვესტის ვებ გვერდი. http://www.vesti.ge/index.php?search_text=ფინანსური+რისკების+დაზღვევა&georgiankb=checkbox&search=search&lang=geo (26.10.2013)
14. სადაზღვევო კომპანია ჩარტისი. http://www.chartisinsurance.com/financial-lines_890_218855.html (26.10.2013)
15. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში - 2009, საქართველოს ეროვნული ბანკი, გვ. 61., www.nbg.gov.ge
16. ცინარიძე რ. 2009. სადაზღვევო ბაზრის ფორმირება - განვითარების რეგიონული ასპექტები, ბიზნესი და კანონმდებლობა. №7-8,
17. Basel Committee on Banking Supervision. Strengthening the resilience of the banking sector, Bank of International Settlements, 2009, Part 2: The First Pillar – Minimum Capital Requirements, www.bis.org
18. Thoitys R 2010. Insurance Theory and Practice. Routledge; 1 edition.
19. Rejda G. E. 2010. Principles of Risk Management and Insurance (11th Edition). Prentice Hall.
20. Risk and Regulatory Policy IMPROVING THE GOVERNANCE OF RISK. OECD 2010
21. Risk Management and Asset and Liability Management in Banks, Technical Assistance Consultant's Report TA 6454 (REG) Asian Development Bank, 2008.
22. Strengthening the resilience of the banking sector, Basel Committee on Banking Supervision, Bank of International Settlements, 2009, www.bis.org
23. Воронин Ю.М., Управление банковскими рисками, М, 2007

FINANCIAL RISK INSURANCE TRENDS IN GEORGIA

Tengiz Verulava, Doctor of Medical Science. Iliia State University
Neli Kilasonia, Manager of SBA. Business Academy of Georgia

ABSTRACT

Precondition: The theme of article is financial risk management and Insurance system development trends in Georgia and formation of its key features. **Methodology:** We have studied the theoretical secondary materials: Risk, Financial Risk, The standards for worlds financial institutions, articles and publications published in various journals, the results of the research conducted by governmental and non-governmental organizations. All of this was followed by the primary information, such as: qualitative researches carried out by insurance companies and we learned from the officials what kind of financial risk insurance products work in Georgia. **Results:** This study allowed us to present how companies manage their financial risks in Georgia and if this risks are insured, what kind of financial risk are insured by Georgian insurance companies and what are the dynamics of financial risk insurance, etc. **Conclusion:** The development of the insurance sector primarily depends on several issues such as: formation of insurance companies' culture, stabilization of economy, if societies trust for insurance companies grows. These factors impede the development of insurance sector.